

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სტუდენტი: სალომე აბულაშვილი

სოციალური მუშაობა პრობაციის სისტემაში - სოციალური
მუშაკის როლი განმეორებითი დანაშაულის პრევენციისა და
ზიანის რისკის შემცირებაში - საქართველოს მაგალითის ანალიზი
და საერთაშორისო გამოცდილება

სოციალური მუშაობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სალომე ნამიჭიშვილი

სოციალური მუშაობის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი,

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი

თბილისი

2021

ანოტაცია

დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს სოციალური მუშაკის როლი და ფუნქცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, მათ შორის, პრობაციის სისტემაში აღნიშნული სპეციალისტის როლი ზიანის რისკის შემცირებასა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციაში. საერთაშორისო და ადგილობრივი ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, მკვლევარებისთვის დღესაც შესწავლის საგანია სოციალური მუშაობის განვითარება პრობაციის სისტემებში და მისი როლი მომსახურების მიმღებებისთვის ცვლილებების განხორციელებაში. საინტერესოა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არსებული თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული მიდგომები, პერსპექტივები, რომელიც იკვეთება პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაობის მომსახურების გაუმჯობესებისთვის.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია აღნიშნული საკითხების მიმოხილვა, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. საყურადღებოა, რამდენად იზიარებს ადგილობრივი პრაქტიკა მსოფლიოში არსებულ თეორიულ საფუძვლებსა და პრაქტიკულ მიდგომებს, განვითარების რა ეტაპზეა პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაკის როლი მსჯავრდებულებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენს სოციალური მუშაობის მიდგომებისა და მეთოდების გაანალიზება განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში, კერძოდ, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროებების შეფასების, მათი კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით. კვლევის ამოცანებია: პრობაციის სისტემის საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება მომსახურების მიმღებთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით, ამასთანავე, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, სოციალური მუშაკის როლის შესწავლა განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში; პრობაციის სისტემის ადგილობრივი პრაქტიკის გაანალიზება მომსახურების მიმღებთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით; სოციალური მუშაობის მეთოდებისა და ინტერვენციების თავისებურებების შესწავლა

პრობაციის სისტემაში განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში.

კვლევის შედეგების მიხედვით იკვეთება, რომ პრობაციის სისტემაში არაპატიმარ მსჯავრდებულებთან მომუშავე სპეციალისტები დგანან ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორც არის შემთხვევათა დიდი რაოდენობა და შეზღუდული დროითი რესურსი, რის გამოც, სავარაუდოა, რომ სრულყოფილად ვერ ხორციელდება ბენეფიციარებისათვის სისტემატური მომსახურების მიწოდება. სისტემაში არსებული საკადრო სიმცირე, ზოგიერთ შემთხვევაში, სპეციალისტთა ცოდნისა და კომპეტენციის სიმწირე ართულებს რელევანტური მიმართულებებით მუშაობის წარმართვას. სრულწლოვან მსჯავრდებულთა შემთხვევაში შეფასება მიმდინარეობს RNA ინსტრუმენტით, რითაც შესაძლებელია ქულობრივი სისტემით შეფასდეს ბენეფიციარის ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობა. არასრულწლოვნების შემთხვევაში აღნიშნული მექანიზმი ჯერ-ჯერობით პრაქტიკაში არ გამოიყენება, თუმცა აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა. პირველადი შეფასების შემდეგ, სხვადასხვა ფაქტორის გამო, სირთულეს წარმოადგენს სპეციალისტის მიერ 6 თვეში ერთხელ შემთხვევის ინსტრუმენტით გადასინჯვა. კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა პრობაციის სისტემაში არსებული გამოწვევები რისკის მართვის, ზედამხედველობისა და კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით, რაც ნაშრომში დეტალურად იქნება განხილული.

Abstract

Today one of the most important and topical issues is the role and function of the social worker in criminal justice, including the role of this specialist in the probation system in reducing the risk of harm and preventing recidivism in the world. Given the international and local historical past, the development of social work in probation systems and its role in making changes for service recipients is still a subject of study for researchers. It is a matter of concern the theoretical foundations and practical approaches in criminal justice, the perspectives that emerge for the improvement of social work services in the probation system.

I consider it is important to review these issues, taking into account both local and international experience. It is noteworthy how much local practice shares the theoretical foundations and practical approaches, which exist in the world, at what stage of development is the role of the social worker in the probation system in relation to convicts. Therefore, the aim of the research is to analyze the approaches and methods of social work in the prevention of recidivism and risk reduction, in particular, to analyze local and international practices in terms of assessing the risk and needs of the convict, their control and rehabilitation mechanisms. The objectives of the study are to analyze the international practice of the probation system in terms of mechanisms for assessing the risks and needs of service recipients and to control and rehabilitate mechanisms, also, to study the role of social workers in preventing recidivism and reducing the risk of harm, which is based on international experience; Analyze local practices of the probation system in terms of mechanisms for assessing the risks and needs of service recipients and mechanisms for control and rehabilitation; To study the peculiarities of social work methods and interventions in the prevention of repeated crime in the probation system and in reducing the risk of harm.

The results of the study show that specialists working with non-custodial convicts in the probation system face challenges such as a large number of cases and limited time resources, due to which it is likely that systematic services for beneficiaries are not fully delivered. The lack of staff in the system, in some cases, the lack of knowledge and competence of specialists make it difficult to work in relevant directions. In the case of adult convicts, the assessment is performed using an RNA instrument, thus making it possible to assess the risk of harm to the beneficiary

and the likelihood of recurrence of the crime on a point-by-point basis. In the case of juveniles, this mechanism has not yet been used in practice, although work is underway on this issue. After the initial assessment, due to various factors, it is difficult for the specialist to review the case tool every 6 months. The study identified challenges in the probation system in terms of risk management, supervision and control, which will be discussed in detail in the paper.

სარჩევი

შესავალი.....	1
თავი I - კვლევის მიზანი, მეთოდოლოგია, პროცედურები	4
კვლევის მიზანი.....	4
კვლევის ამოცანები	4
მეთოდოლოგია.....	4
კვლევის ეთიკა.....	5
კვლევის შეზღუდვები.....	6
თავი II - ლიტერატურის მოძიება.....	8
2.1. რისკის მართვის მოდელი და რეაბილიტაციისა და კონტროლის პარადიგმა, როგორც ნაშრომის კონცეპტუალური ჩარჩო.....	8
2.1.1. რისკის მართვის მოდელი.....	9
2.1.2. კონტროლისა და რეაბილიტაციის პარადიგმა	12
2.2. სოციალური მუშაობის მეთოდები და მიდგომები პრობაციის სისტემაში	14
2.2.1. სოციალური მუშაობის პრაქტიკა მომსახურების მიმღებთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებაში.....	14
2.2.2. სოციალური მუშაკის როლი განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში.....	26
2.2.3. სოციალური მუშაობის პრაქტიკა რისკის კონტროლისა და მომსახურების მიმღებთა რეაბილიტაციაში	38
თავი III კვლევის შედეგები.....	55
3.1. სოციალური მუშაკის როლი პრობაციის სისტემაში	55
3.2. რისკისა და საჭიროებების შეფასება.....	63
3.3. მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია	71

3.4. კონტროლის მექანიზმები	81
3.5. განმეორებითი დანაშაულის პრევენცია და ზიანის რისკის მართვა.....	91
თავი IV ძირითადი მიგნებები და დასკვნები	97
4.1. შემთხვევების პრიორიტეტულობა	98
4.2. მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია	101
4.3. კონტროლის მექანიზმები	104
4.4. რისკის მართვა	109
4.5. რეკომენდაციები	114
გამოყენებული ლიტერატურა	121
დანართი N 1	131
დანართი N 2	132
დანართი N 3	134
დანართი N 4	135

შესავალი

დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს სოციალური მუშაკის როლი და ფუნქცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, მათ შორის პრობაციის სისტემაში აღნიშნული სპეციალისტის როლი ზიანის რისკის შემცირებასა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციაში. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, თეორიული მოდელებისა და მიდგომების განხილვა, რის საფუძველზეც ქვეყნები იმუშავებენ პრაქტიკულ მეთოდებს. კერძოდ, ნაშრომში განხილული იქნება რისკის მართვის მოდელი, რეაბილიტაციისა და კონტროლის პარადიგმა და აღნიშნული მოდელების საფუძველზე, პრობაციის სისტემაში არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი მიდგომები, რომლებიც დღესაც განვითარების ეტაპზეა. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასა და კონტროლში საჭიროა სპეციალისტთა, მათ შორის სოციალური მუშაკების აქტიური ჩართულობა. დღეს, სოციალური მუშაკებს მოუწოდებენ, ისე როგორც არასდროს, იმოქმედონ კანონმდებლობის ფარგლებში და ითანამშრომლონ სხვა სისტემებთან სოციალური ცვლილებების მისაღწევად. თუ სოციალური მუშაობის პროფესია უნდა აკონტროლებდეს პროფესიის მომავალს, ის უნდა გახდეს იურიდიულ/საკანონმდებლო სისტემაზე გავლენის მომხდენი ადვოკატირების მეშვეობით (Maschi & Leibowitz, 2017).

ნაშრომში განხილულ თეორიულ საფუძვლებთან ერთად, მნიშვნელოვანია, პრობაციის სამსახურის მარეგულირებელი ისეთი საერთაშორისო სტანდარტების აღნიშვნა, როგორცაა „არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები“ („ტოკიოს წესები“), რომელიც ადგენს არასაპატიმრო ზომების გამოყენების ძირითად პრინციპებს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია *„ბალანსირება მოახდინოს არასაპატიმრო ზომების გამოყენების წახალისებასა და აღნიშნულზე შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას შორის, რაც ამ ზომებზე კონტროლის არაპროპორციულობის პრევენციას ისახავს მიზნად“* (არსომვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 286). ამასთანავე, საყურადღებო დოკუმენტია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის 20 იანვრის რეკომენდაცია, „კომიტეტის წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპის საბჭოს პრობაციის წესების შესახებ“, რომლის მიხედვით, პრობაციის სააგენტოს მიერ მსჯავრდებულის შეფასების პროცესში გათვალისწინებული

უნდა იყოს ინდივიდუალური გარემოებები, საჭიროებები, რათა თოთოეული საქმის წარმოება სამართლიანად იქნას უზრუნველყოფილი. აღნიშნული საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. პრობაციის სააგენტოებმა უნდა უზრუნველყონ მსჯავრდებულთა ინფორმირებული თანხმობა და მათთან თანამშრომლობა შესაბამისი ინტერვენციების გათვალისწინებით (Council of Europe, 2010).

პრობაციის სისტემაში სოციალურ მუშაკის როლისა და ფუნქცია-მოვალეობების განხილვისას, საყურადღებოა ბენეფიციარებზე ზედამხედველობის პროცესი, რასაც ხაზს უსვამს ევროსაბჭოს პრობაციის წესები. ზედამხედველობა უნდა მოიცავდეს მსჯავრდებულისთვის დახმარების აღმოჩენას, მის წახალისებას, რელევანტურ ტრენინგებს, რეაბილიტაციას და ა.შ. ასევე, ზედამხედველობისა და კონტროლის პროცესში, საჭიროებას წარმოადგენს მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებთან აქტიური კომუნიკაციისა და მუშაობის განხორციელება (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2020). შესაბამისად, ნაშრომში მიმოხილული იქნება, თუ რამდენად არის შესაძლებელი პრობაციის სისტემის სპეციალისტების მიერ მომსახურების მიმღებებისთვის სათანადო სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევა, ზედამხედველობა, კონტროლი და სათანადო მხარდაჭერის შეთავაზება, რომელიც მათ საუკეთესო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს სოციალური მუშაობის მიდგომებისა და მეთოდების გაანალიზება განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში, კერძოდ, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროებების შეფასების, მათი კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით. მიზნიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი ამოცანები: პრობაციის სისტემის საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება მომსახურების მიმღებთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით, ამასთანავე, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, სოციალური მუშაკის როლის შესწავლა განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში; პრობაციის სისტემის ადგილობრივი პრაქტიკის გაანალიზება მომსახურების მიმღებთა რისკებისა და

საჭიროებების შეფასებისა და კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით; სოციალური მუშაობის მეთოდებისა და ინტერვენციების თავისებურებების შესწავლა პრობაციის სისტემაში განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში. აღნიშნულის შესწავლის მიზნით, მკვლევრის მიერ შერჩულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები: სიღრმისეული ინტერვიუ და მეორეულ მონაცემთა ანალიზი.

ამრიგად, კვლევის მიზნისა და ამოცანების გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ნაშრომში განხილულ იქნას თუ როგორ მუშაობენ საერთაშორისო და ადგილობრივი პრობაციის სისტემები, რა როლი აქვს სოციალურ მუშაკს აღნიშნულ სფეროში და რა გამოწვევების წინაშეა დღეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა.

თავი I - კვლევის მიზანი, მეთოდოლოგია, პროცედურები

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს სოციალური მუშაობის მიდგომებისა და მეთოდების გაანალიზება განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში, კერძოდ, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება მსჯავრდებულების რისკისა და საჭიროებების შეფასების, მათი კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით.

კვლევის ამოცანები

- პრობაციის სისტემის საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება მომსახურების მიმღებთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით, ამასთანავე, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, სოციალური მუშაკის როლის შესწავლა განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში
- პრობაციის სისტემის ადგილობრივი პრაქტიკის გაანალიზება მომსახურების მიმღებთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და კონტროლისა და რეაბილიტაციის მექანიზმების მიმართულებით
- სოციალური მუშაობის მეთოდებისა და ინტერვენციების თავისებურებების შესწავლა პრობაციის სისტემაში განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში

მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის ისეთი მეთოდები, როგორცაა მეორეულ მონაცემთა ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ. „*ხშირად თვისებრივ მეთოდებზე დამყარებული კვლევა მოითხოვს ერთდროულად რამდენიმე კვლევითი ტექნიკის გამოყენებას, რაც მკვლევარს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა კუთხით შეისწავლოს მისთვის საინტერესო ფენომენი*“ (ზურაბიშვილი, 2006, გვ. 7).

აღნიშნული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია საკვლევი საკითხის სიღრმისეულად შესწავლა და არსებული პრაქტიკული გამოცდილების გაანალიზება. კვლევაში მიმოხილულია ელექტრონული სახელმძღვანელოები, რომლებშიც

აღწერილია რისკის მართვის მოდელისა და რეაბილიტაციისა და კონტროლის პარადიგმის თეორიული მიდგომები, თანამედროვე ტენდენციები, კვლევები, რომლებიც აფასებს ქართულ და საერთაშორისო გამოცდილებას პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაობის მიმართულებით და ისეთი ოფიციალური დოკუმენტები, როგორცაა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები. მეორეულ მონაცემთა ანალიზის არჩევის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზია ეკონომიკური ფაქტორები. კერძოდ, ნაჩმიასის მიხედვით, „*ბევრად უფრო იაფია არსებული მონაცემების გამოყენება, ვიდრე ახალი მონაცემების შეგროვება*“ (ფრანკფორტ-ნაჩმიასი, 2009, გვ. 432).

რაც შეეხება, სიღრმისეულ ინტერვიუებს, რესპონდენტები შერჩეულნი არიან მიზნობრივად საკვლევი საკითხის გათვალისწინებით. კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რელევანტური თანამშრომლები თბილისისა (N=9) და რეგიონის (N=1) მასშტაბით. ამასთანავე, საკითხის სპეციფიურობის გათვალისწინებით, რესპონდენტები არიან სფეროს ექსპერტები (N=2). კვლევისთვის სულ შერჩეულ იქნა 12 რესპონდენტი: 5 პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი, სოციალური მუშაკების 2 პროფესიული ზედამხედველი, პრობაციის ბიუროების 2 უფროსი, 1 უფროს მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული პირი, სფეროს 2 ექსპერტი. ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ხანგრძლივობა იყო 1 საათიდან 2 საათამდე, ჩაწერილი ვიდეო-აუდიო მასალიდან დაწერილ იქნა ინტერვიუების ტრანსკრიპტი და გაანალიზდა მიღებული შედეგები. ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ პლატფორმა „Zoom“-ის მეშვეობით.

შერჩევის პროცედურა: იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან“ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს იმ რესპონდენტებმა, რომლებიც ოფიციალური მიმართვის საფუძველზე, საკუთარი თანამშრომლებიდან თავად უწყებამ შეარჩია.

კვლევის ეთიკა

ეთიკის კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რესპონდენტთა უფლებების დაცვას - ისინი კვლევის უმთავრეს ობიექტებს წარმოადგენენ. რესპონდენტების კვლევაში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი (ზურაბიშვილი, 2006).

პირველ ეტაპზე, მკვლევრის მიერ ოფიციალური წერილი გაიგზავნა იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს კანცელარიაში კვლევის ჩატარებისთვის ნებართვის მიღების მიზნით. აღნიშნულის შემდეგ, უწყების მიერ მკვლევარი დაკავშირებულ იქნა რელევანტურ პირებთან.

რესპონდენტთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის კონფიდენციალობის დაცვა (ზურაბიშვილი, 2006). ინტერვიუების დაწყებამდე, მკვლევრის მიერ რესპონდენტებისათვის მიწოდებული იქნა ინფორმაცია კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის, კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ამასთანავე, მათთვის ელექტრონული ფორმით გაგზავნილ იქნა ინფორმირებული თანხმობის ფორმა, რომელზე ხელმოწერითაც რესპონდენტებმა დაადასტურეს თანხმობა კვლევაში მონაწილეობის თაობაზე. ინტერვიუების დამუშავების მიზნით აუდიო-ვიდეო მასალა ჩაწერილ იქნა რესპონდენტთა ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე. კვლევაში რესპონდენტთა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის გათვალისწინებით, მიღებული შედეგები წარმოდგენილია განზოგადებული სახით. ამერიკის სოციოლოგიური ასოციაციის ეთიკის კოდექსის მიხედვით, მკვლევრები აცნობიერებენ მეცნიერულ და პროფესიულ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. გამოკვლევის ჩატარების მიზანს წარმოადგენს, როგორც სოციოლოგიური მეცნიერების განვითარება, ასევე საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობა (ზურაბიშვილი, 2006).

კვლევის შეზღუდვები

კვლევის შეზღუდვად შესაძლოა განვიხილოთ რესპონდენტთა მცირე რაოდენობა, რის გამოც, ინტერვიუების შედეგად, სრულყოფილად ვერ იქნა ამოღებული ინფორმაცია საკვლევო საკითხის შესახებ. ამასთანავე, კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს რესპონდენტებზე ხელმისაწვდომობის საკითხი. კერძოდ, შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, კვლევაში მონაწილე რესპონდენტები არიან იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ქ.თბილისისა და ერთ-ერთი რეგიონის რელევანტური

თანამშრომლები, ასევე სფეროს ექსპერტები. შესაბამისად, კვლევა არ მოიცავს რესპონდენტებს საქართველოს მასშტაბით.

თავი II - ლიტერატურის მომოხილვა

2.1. რისკის მართვის მოდელი და რეაბილიტაციისა და კონტროლის პარადიგმა, როგორც ნაშრომის კონცეპტუალური ჩარჩო

რისკი ხშირად განისაზღვრება ზიანის წარმოშობის ალბათობით, თუმცა სოციალური მუშაობის პრაქტიკაში რისკის კონცეფცია ბევრად უფრო მრავალმხრივია. სოციალური მუშაობის პროფესია ეხება, როგორც კონკრეტული ზიანის სერიოზულობას (ე.წ. უარყოფით ღირებულებას), ასევე მისი წარმოშობის ალბათობასაც. რისკის მართვის პროცესში გასათვალისწინებელია ორგანიზაციული სისტემის ასპექტები, მათ შორის რისკის შეფასება და მართვა, რომლებიც პროფესიული თვალსაზრისით ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული ნაწილებია. რისკის პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია, უშუალოდ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების მუშაობა. სოციალურ მუშაობაში რისკის შესწავლა წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ საკითხს, რომელშიც მნიშვნელოვანი ურთიერთქმედებაა ადამიანის ქცევას, ემოციებს, მტკიცებულებებს, პროფესიულ ღირებულებებსა და ორგანიზაციულ სისტემებს შორის (Whittaker & Taylor, 2017).

სოციალური მუშაობა, როგორც ჰუმანიტარული პროფესია, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციაში. სოციალური სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, კოლექტიური პასუხისმგებლობისა და მრავალფეროვნების პატივისცემის პრინციპები არსებითია სოციალური მუშაობის პრაქტიკაში. აღნიშნულს ემყარება მსჯავრდებულებისთვის შეთავაზებული სარეაბილიტაციო პროგრამები, რომლებიც მოიცავს ცხოვრებისეული უნარების, სულიერი, ფსიქო-სოციალური, თერაპიული, საგანმანათლებლო, პროფესიული მიმართულებით მომსახურებების მიწოდებას (Zinyemba & Maushe, 2020). რეაბილიტაცია ცვლილების განხორციელებისთვის სისტემის მთავარი მიზანია. აღნიშნული მიზანი ემყარება დაშვებას, რომ პირებს შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობა და დანაშაულისთვის თავის არიდება. რეაბილიტაცია სხვა მიმართულებებთან ერთად მოიცავს ფსიქიკურ ჯანმრთელობასაც და მავნე ნივთიერებების ბოროტად გამოყენების პრევენციასაც (Huebner & Inzana, 2020).

დანაშაულის კონტროლის მოდელი ემყარება „დანაშაულის პრეზუმციას“ არა როგორც იურიდიული ნორმა, არამედ როგორც შედეგის ოპერატიული პროგნოზი. სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული კონტროლი და მათ წინაშე არსებული დანაშაულებრივი საქციელი განიხილება, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაუცველობა (Sota, 2013). დანაშაულის კონტროლის მოდელი ფოკუსირებულია ეფექტური სისტემის შექმნაზე, რომლის ფუნქციაცაა დანაშაულის კონტროლი, რათა უზრუნველყოს საზოგადოების უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი. ამ მოდელის თანახმად, დანაშაულის კონტროლი მნიშვნელოვანია ინდივიდუალური თავისუფლებისთვის. აღნიშნული უფრო მეტად კონსერვატიული პერსპექტივაა. საზოგადოების საფრთხისგან დასაცავად, დანაშაულის კონტროლის მოდელმა შესაძლოა ხელი შეუწყოს დანაშაულების სწრაფ და მკაცრ დასჯას (Sanchez, 2019).

მრავალი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ევროპასა და ამერიკაში პირობით გათავისუფლების აქცენტი დომინირებს დანაშაულის კონტროლსა და რისკის მენეჯმენტზე ნაცვლად იმისა, რომ ფოკუსირდეს რეაბილიტაციის ნაწილზე. აღნიშნული მიმართულებით გასათვალისწინებელია, რომ შემცირდა სოციალური განზომილება და მეტი წონა მიენიჭა ზედამხედველ ოფიცერთა ხელმძღვანელობის ქვეშ არსებულ საკონტროლო დავალებებს მათი მონიტორინგის ქვეშ მყოფ პირებთან მუშაობის მიმართულებით (Doekhie & Ginneken, 2018)

აღნიშნული კვლევის კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს, ზემოთ აღნიშნული, რისკის მართვის მოდელი და რეაბილიტაციისა და კონტროლის პარადიგმა, რომელზე დაყრდნობითაც ნაშრომში იქნება განხილული და გაანალიზებული რელევანტური საკვლევი საკითხები.

2.1.1. რისკის მართვის მოდელი

რისკი თანამედროვე ცხოვრების გავრცელებული მახასიათებელია. რისკი მთელ რიგ იურისდიქციებში გახდა სისხლის სამართლის პოლიტიკის, სასჯელის სისტემისა და სისხლის სამართლის სამსახურის ძირითადი მახასიათებელი. რისკი, როგორც „საფრთხის“ ან „საშიშროების“ აღბათობის გაანგარიშების მიდგომა, სათავეს იღებს XVI

საუკუნის მერკანტილური ვაჭრობიდან, რაც მნიშვნელობას იძენს შუა საუკუნეების პერიოდში იქამდე, სანამ რისკმა არ გადააჭარბა ყოველდღიური ცხოვრების სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებს. სისხლის სამართლის სისტემის მართვაში, რისკის შეფასების ერთ-ერთი პირველი ინსტრუმენტი იყო ბურგესის¹ მიერ მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების პროგნოზირება, რომელიც 1928 წელს შეიქმნა. აღნიშნული პერიოდის შემდეგ, სისხლის სამართლის სფეროში გაიზარდა რისკის შეფასების ინსტრუმენტების შექმნა-გამოყენების პრაქტიკა, თუმცა სადავოა მუშაობის პროცესში სპეციალისტების მიერ რამდენად არის შეფასებული და გამოკვლეული არსებული რისკი. საჩივრები ახალ პენოლოგიაზე², რომელიც ორიენტირებული იყო რისკზე, აქტიურად განიხილებოდა, ემპირიული მტკიცებულებები კი უფრო მეტი სიფრთხილით ისწრაფვოდა ასეთი მნიშვნელოვანი პარადიგმის შეცვლისკენ. რისკის პრევენციისა და მასზე პასუხისმგებლობის საკითხი ხშირად განიხილება რისკზე ფოკუსირებული მიდგომის მიმართულებით. რისკის შეფასება გამოიყენება არა მხოლოდ ამჟამინდელი დანაშაულის შესაფასებლად და პროგნოზირებისათვის, არამედ მომავალი დამნაშავეების, მაღალი რისკის მქონე დანაშაულის ადგილებისა და ადრეული ჩარევის საჭიროების დასადგენად. აღნიშნული სტრატეგიის ეთიკა, სიზუსტე და მორალური დასაბუთება ინტენსიურად განხილვის პროცესშია (Kemshall, 2017).

პრაქტიკაში არსებობს კრიტიკა რისკის პრევენციის ან დანაშაულის ჩადენის წინ მიზნობრიობის საკითხთან დაკავშირებით. სპეციალისტების პასუხისმგებლობის ნაწილი გულისხმობს პრაქტიკაში ისეთი ტექნიკების გამოყენებას, რომლის საშუალებითაც ხდება პირთა მიერ პასუხისმგებლობის აღება საკუთარი რისკის მართვასა და საკუთარი რისკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. სამართალდამრღვევ პირთა მიმართ აღნიშნულის იდენტიფიცირება და გამოხატვა შესაძლებელია ქცევის კორექციისკენ მიმართული პროგრამებისა და ისეთი მომსახურებების მიწოდების საშუალებით, რომლებიც ორიენტირებულია „სწორ აზროვნებასა“ და კანონდამრღვევ პირთა მიერ ხელახალი მორალური პასუხისმგებლობის აღებისაკენ უფრო სასურველი

¹ ერნესტ ბურგესი - სოციოლოგი, ამერიკის სოციოლოგიური საზოგადოების 24-ე პრეზიდენტი

² პენოლოგია - კრიმინოლოგიის ქვეკომპონენტი, რომელიც ეხება სხვადასხვა საზოგადოების ფილოსოფიასა და პრაქტიკას კრიმინალური ქმედებების აღკვეთის მცდელობაში, აკმაყოფილებს საზოგადოებრივ აზრს სისხლის სამართლის დანაშაულში მსჯავრდებულთათვის სათანადო რეჟიმის შექმნის მეშვეობით. ასევე, პენოლოგია მოიაზრებს დანაშაულის სასჯელისა და ციხის მენეჯმენტის შესწავლას.

სოციალური მიზნებისთვის. აღნიშნული მიმართულია კანონთან კონფლიქტში მყოფი იმ პირებისკენ, რომლებიც „მომწიფებულები“ არიან მორალური პასუხისმგებლობისათვის და, რომელთა ქცევაც მიეკუთვნება იმ რისკის დონეს, რომლის მართვაც შესაძლებელია საზოგადოებაში. ადამიანები, რომელთა რისკიც არ მიეკუთვნება აღნიშნულ კატეგორიას და არიან მაღალი რისკის ქვეშ, მათთვის განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები თავისუფლების აღკვეთის მიმართულებით. ამგვარი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს არა მხოლოდ რისკის პროგნოზირების სიზუსტის მაღალ დონეს, არამედ ეს გადაწყვეტილება სავსეა მკაცრი ეთიკური გამოწვევებითა და მორალური არჩევანით, განსაკუთრებით, რისკებს, უფლებებსა და თავისუფლებებს შორის სასურველი ბალანსის გათვალისწინებით (Kemshall, 2017).

რისკის მენეჯმენტი მოიაზრებს, სპეციალისტების მიერ ისეთი გეგმის განვითარება-განხორციელებას, რომელიც მიმართულია განმეორებითი დანაშაულის შემცირებისკენ (Henning, 2017). ეროვნული მართვის სამსახური³ რისკის დონეებს განსაზღვრავს შემდეგნაირად: დაბალი დონე - ამჟამინდელი მტკიცებულებები არ მიუთითებს სერიოზული ზიანის⁴ მიყენების ალბათობაზე. საშუალო დონე - არსებობს სერიოზული ზიანის საშიშროების იდენტიფიცირებადი მაჩვენებლები. სამართალდამრღვევს აქვს სერიოზული ზიანის მიყენების შესაძლებლობა, მაგრამ სავარაუდოა, რომ აღნიშნული არ განხორციელდეს თუ კი არ შეიცვლება გარემოება (მაგ: მედიკამენტების მიღება, საცხოვრებლის დაკარგვა და ა.შ.). მაღალი დონე - არსებობს სერიოზული ზიანის მიყენების პოტენციური რისკის იდენტიფიცირებადი ინდიკატორები. ზიანის მიყენება შესაძლოა ნებისმიერ დროს იქნას განხორციელებული სამართალდამრღვევი პირის მხრიდან, რომლის გავლენაც სერიოზული იქნება. ძალიან მაღალი დონე - სერიოზული მოსალოდნელი ზიანის მიყენების მაღალი რისკი, რომელსაც, სავარაუდოდ დაუყოვნებლივ ექნება სერიოზული უარყოფითი გავლენა (National Probation Service , 2011).

³ National Offender Management Service (NOMS)

⁴ სერიოზული ზიანი - „ზიანი, რომელიც სიცოცხლისთვის საშიში და/ან ტრავმულია და რომლისგანაც ფიზიკური ან ფსიქოლოგიური გამოკეთება, სავარაუდოდ, რთული ან შეუძლებელი იქნება“

ჰადსონი ვარაუდობს, რომ პრობაციის სისტემაში რისკის მენეჯმენტზე მზარდი ფოკუსირება უნდა დაბალანსდეს დამნაშავეთა უფლებების დაცვით. ჰადსონი გვთავაზობს, რომ პრაქტიკოსი სპეციალისტები უნდა გაუმკლავდნენ რისკებს, მაგრამ ამავდროულად საჭიროა ზრუნვა რისკის მენეჯმენტზე, სადაც არ იქნება „ჩადებული“ კონტროლი, რომელიც ცდილობს აღმოფხვრას რისკი თუნდაც რისკისა და უფლებების სამართლიანი ბალანსის ხარჯზე (Fenton, 2012).

2.1.2. კონტროლისა და რეაბილიტაციის პარადიგმა

დანაშაულის კონტროლის მოდელი ხაზს უსვამს ბრალდებულთათვის სტანდარტიზებული პროცედურების გავლას სასამართლო სისტემაში და მათთვის დანაშაულის შესაბამისი სასჯელით დასჯას. ამ მოდელს მივყავართ ისეთი პოლიტიკისკენ, რომელიც ფოკუსირებულია სისხლის სამართლის სისტემის დამნაშავეების დასჯასა და დაპატიმრებაზე, როგორც დანაშაულის შეკავებისა და კრიმინალური ქცევის აღკვეთის საშუალებაზე (Rich, 1977). დანაშაულის კონტროლის მოდელი ფოკუსირდება ეფექტური სისტემის ქონაზე, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა დანაშაულის ჩახშობა, კონტროლი საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით (Sanchez, 2019). დანაშაულის კონტროლის მოდელი ითვლება კონსერვატიულ მიდგომად, რომელიც მიმართულია საზოგადოების დამნაშავეებისგან დაცვაზე; უფრო მეტიც, ეს მოდელი აქცენტს აკეთებს მკაცრ და სწრაფ დასჯაზე დანაშაულის ჩადენისათვის. აღნიშნულის განხორციელების სანაცვლოდ, ამ პერსპექტივის მიხედვით, ეს სარგებელს მოუტანს საზოგადოებას, სამართალდამრღვევებს კი ეცოდინებათ, რომ ისინი დაისჯებიან. ამ მოდელის მიზანია საქმეთა სწრაფად განხილვა, თუნდაც სასამართლოების უფლებამოსილების გაფართოების გზით (Schubert, 2015).

პრობაციის სააგენტოებში მნიშვნელოვანია ცვლილებების განხორციელება იდეოლოგიის მიმართულებით, კერძოდ, დასჯასა და კონტროლზე ფოკუსირების ნაცვლად მეტად ორიენტირება თერაპიულ და სარეაბილიტაციო ფილოსოფიაზე (Viglione, 2018). პრობაციის სისტემაში არსებული RNR⁵ პრინციპი მოითხოვს, რომ პრაქტიკაში გამოყენებულ იქნას მოქმედი რისკის ინსტრუმენტი, რათა სპეციალისტებს

⁵ RNR - Risk-Need-Responsivity (რისკი-საჭიროება-რეაგირება)

ჰქონდეთ შესაძლებლობა განსაზღვრონ რეაბილიტაციისა და მკურნალობისთვის საჭირო დინამიური ფაქტორები, რელევანტური მომსახურებები, რომლებიც მოიცავს კლინიკურ და საკონტროლო პროგრამულ ელემენტებს (Taxman & Thanner, 2006).

რეაბილიტაცია კორექციული სისტემის მთავარ მიზანს წარმოადგენს. იგი ემყარება დაშვებას, რომ პირებს შეუძლიათ რეაბილიტაცია და დანაშაულისთვის თავის არიდება. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში რეაბილიტაცია კორექციული სისტემის ცენტრალური მახასიათებელი იყო. სარეაბილიტაციო პროგრამების უპირატესობა 1970-1980-იან წლებში შემცირდა, მაგრამ მოგვიანებით კვლავ მოიპოვა უპირატესობა. რეაბილიტაცია მოიცავს პროგრამების ფართო სპექტრს, მათ შორის, საგანმანათლებლო მომსახურებას, ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მავნე ნივთიერებების ავად მოხმარების პრევენციას. ამასთანავე, სარეაბილიტაციო მომსახურების ფარგლებში, შემუშავებულია სპეციალური პროგრამები ქალებისთვის, სექსუალურ დანაშაულში ნასამართლავი პირებისთვის, პირობით ვადამდე გათავისუფლების მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირებისთვის (Huebner & Inzana, 2020).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარეაბილიტაციო პროგრამების პოპულარობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ რეაბილიტაცია ყოველთვის იყო ქცევის ცვლილებისკენ მიმართული პროგრამის ნაწილი, მარტინსონის 1974 წლის "არაფერი მუშაობს"⁶ დასკვნებმა, 1970-იანი წლების მთავრობისადმი უნდობლობასთან ერთად ჩამოაგდო სარეაბილიტაციო იდეალი, რომელიც წინა ათწლეულების განმავლობაში პოპულარობით სარგებლობდა. მოგვიანებით, მკვლევარებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, თუ რა მუშაობს ინდივიდებისთვის კონკრეტულ გარემოებებში. კლინგელი გვთავაზობს მიზეზებს, რის გამოც დანაშაულის განმეორების მაჩვენებელი შეიძლება იყოს ცუდი საზომი რეაბილიტაციის წარმატების შეფასებისთვის და მხარს უჭერს უფრო ნიუანსურ მაჩვენებლებს (Huebner & Inzana, 2020). კლინგელის მიხედვით, დანაშაულის განმეორების მიმართულებით მონაცემები, რომლებზეც მახვილდება ყურადღება, ავლენს მხოლოდ იმ ქცევას, რის გამოც ადამიანმა მიიპყრო სამართალდამცავების ყურადღება და არ ავლენს იმას, როგორ იქცევა ადამიანი ქუჩასა

⁶ "nothing works" - რობერტ მარტინსონის დოქტრინა, რომლის მიხედვითაც ციხის რეაბილიტაციაში „არაფერი მუშაობს“

თუ სახლში. ძირითადი მონაცემები შესაძლოა დამახინჯებული იყოს პოლიციის, ცვლილების მიმართულებით ზედამხედველების შეუსაბამო პრაქტიკით. ადამიანის კეთილდღეობის მარკერები, შესაძლოა არ იყოს რაოდენობრივი მაჩვენებელი, თუმცა ისინი არანაკლებ მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ჩარევის განხორციელებისათვის, რის შედეგადაც შეიძლება გაუმჯობესდეს/გაუარესდეს ადამიანთა მდგომარეობა (Klinge , 2019).

2.2. სოციალური მუშაობის მეთოდები და მიდგომები პრობაციის სისტემაში

2.2.1. სოციალური მუშაობის პრაქტიკა მომსახურების მიმღებთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებაში

საერთაშორისო პრაქტიკა

საჭიროება ფარდობითი ტერმინია, რომელსაც სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა პიროვნებისა და საზოგადოებისთვის. არ არსებობს ერთიანი გზა საჭიროებების შეფასებისათვის. იგი შესაძლოა მიმართული იყოს მომსახურებების გაცნობაზე, ხელმისაწვდომობაზე, მომსახურების მიმღებლობაზე. საჭიროებების შეფასება არის პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების ციკლის ნაწილი, რომელიც მოიცავს საჭიროებების მქონე ადამიანებზე ინტერვენციის გავლენის შეფასებას. სოციალური მუშაკები საჭიროებების შეფასებას იყენებენ იმისათვის, რათა უზრუნველყონ რესურსები მაკრო პრობლემების გადასაჭრელად, პოლიტიკაში ცვლილებების განსახორციელებლად, მომსახურებების გასაუმჯობესებლად და ა.შ. (Royse & Staton-Tindall, 2009).

რაც შეეხება რისკს, ის თავდაპირველად გულისხმობდა მოვლენათა ალბათობის გამოთვლას, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური თვალსაზრისით, თუმცა სოციალურ მუშაობაში აღნიშნული უფრო მეტად ნეგატიურ კონტექსტთან ასოცირდება. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს რისკის მკაფიო განმარტება, არსებობს თანმიდევრულობა რისკის დონეებთან (დაბალი, საშუალო, მაღალი) მიმართებით, განსაკუთრებით სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, რომელიც უკავშირდება დანაშაულის ალბათობას, სიხშირეს, ხანგრძლივობასა და სერიოზულობას. რისკფაქტორები მოიცავს სტატიკურ და დინამიკურ ფაქტორებს. სტატიკური ფაქტორები(ასაკი, სქესი, დანაშაული და ა.შ.) არ იცვლება და აღნიშნული

მიმართულებით უფრო მეტია სამომავლო რისკის საიმედო მაჩვენებლები. დინამიკურ ფაქტორებს შორისაა ნარკოტიკების მოხმარება, დასაქმების სტატუსი, ტრავმული მოვლენები, შემოსავალი და ა.შ., იგი ცვალებადია და ხშირად ახდენს გავლენას ინდივიდზე (Barry, 2007).

რისკის მენეჯმენტი განისაზღვრება, როგორც სისტემური მიდგომის შემუშავება, რომელიც იძლევა რისკთან მიმართებით სტრატეგიების დაგეგმვის, მონიტორინგისა და განხილვის საშუალებას. ამავდროულად, რისკის მენეჯმენტი გულისხმობს ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ შემუშავებულ პროცესებს იმ ნეგატიური შედეგების შესამცირებლად, რომელიც შესაძლოა წარმოიშავს სოციალური მომსახურების მიწოდებისას. ამასთანავე, რისკის მართვა მოიაზრებს პოტენციური სარგებელის მაქსიმიზაციას. მომსახურების მომხმარებლებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ რისკის მართვაში ორგანიზაციებთან ერთად (Barry, 2007).

რისკის შეფასება განისაზღვრება, როგორც რისკის გაგებისა და შეფასების პროცესი, როგორც სასარგებლო, ასევე ნეგატიური მოსალოდნელი შედეგების დადგომის შესაძლებლობის მიხედვით. მნიშვნელოვანია, აღნიშნულის დადგენა განსაზღვრულ ვადებში. რისკის შეფასების ნაწილში შესაძლებელია ორი მოდელის გამოყოფა: რისკის გამოვლენის (risk-taking model) და რისკის შემცირების (risk minimisation model). რისკის გამოვლენის მოდელი აქცენტს აკეთებს გონებრივ კეთილდღეობაზე, უფლებებზე, შესაძლებლობებზე, არჩევანსა და მონაწილეობაზე. რისკის შემცირების მოდელის სამიზნეა ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ მყოფი პირები, რომელთა შეფასებაც ფოკუსირებულია ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, საფრთხეზე, კონტროლსა და ფუნქციონირების უნარზე (Barry, 2007).

რისკის შეფასების ინსტრუმენტთა უმრავლესობა მოიცავს ფორმას ან ცხრილს, რომელსაც მომუშავე ავსებს ერთჯერადად ან რამდენჯერმე გარკვეული პერიოდის განმავლობაში. არსებობს 3 ტიპის შეფასების ინსტრუმენტი: კლინიკური, აქტუარული და სტრუქტურირებული. კლინიკური მეთოდები გულისხმობს ინდივიდთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებასა და რისკის ფაქტორების მოკვლევას. ასევე, მნიშვნელოვანია პრაქტიკაში მტკიცებულებების მოძიება. აღნიშნული ნაწილი ცუდად

პროგნოზირებს სამომავლო ზიანს. აქტუარული მიდგომა მოიცავს რისკის მათემატიკურ გაანგარიშებას, „გასაღები“ ინდივიდუალური ფაქტორების შედარებას სტატისტიკურ სიხშირესთან შესატყვისი ნიმუშის ფარგლებში. აღნიშნულით შესაძლოა უფრო მეტად პროგნოზირებადი გახდეს სამომავლო ზიანის რისკის განსაზღვრისათვის, მაგრამ, ის არ გვთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს რისკის მართვისათვის. სტრუქტურირებული მიდგომა აერთიანებს კლინიკურ და აქტუარულ მეთოდებს, რათა შესაძლებელი იყოს რისკის შეფასება და მართვა. იგი მოიცავს სტატისტიკური და დინამიკური ფაქტორების ერთობლიობასა და მულტიდისციპლინარულ მიდგომას. ამასთან ერთად, მკვლევრები სიფრთხილით ეკიდებიან მუშაობის პროცესში „ცრუ ნეგატივებისა“⁷ და „ცრუ პოზიტივების“⁸ გაჩენას რისკის შეფასებისას, რამაც შესაძლოა დაამახინჯოს დასკვნები და მიღებული შედეგები (Barry, 2007). რისკის შეფასებას შეუძლია მხოლოდ ზიანის ალბათობის დადგენა, გავლენის შეფასებით კი შესაძლებელია ინდივიდებისათვის ისეთი სტრატეგიული ინტერვენციის დაგეგმვა, რომელსაც შეუძლია შეამციროს რისკი ან ზიანი. მხოლოდ შეფასების განხორციელებით არ არის შესაძლებელი რისკის პრევენცია (Hope & Sparks, 2015).

რისკი დასავლური საზოგადოების დომინანტური „გატაცება“ მე-20 საუკუნეში გახდა, იქ, სადაც ახლა ამბობენ რომ ცხოვრობენ „რისკის საზოგადოებაში“. აღნიშნულ პერიოდში აქცენტი გაკეთდა გაურკვეველობაზე, ინდივიდუალიზაციასა და ბრალეულობაზე. დროთა განმავლობაში შეინიშნებოდა მზარდი უნდობლობა პროფესიონალებისადმი, რომლებიც სოციალური მუშაობის სფეროებში იყვნენ დასაქმებულები და ამავდროულად, გაიზარდა დამოკიდებულება პროფესიისადმი, რომელიც კომპლექსურად განახორციელებდა შეფასებას, მონიტორინგსა და ხარისხის კონტროლს რისკთან მიმართებით. „საზოგადოების დადანაშაულება“ უფრო მეტად ეხებოდა რისკის თავიდან აცილებასა და თავდაცვით პრაქტიკას, ვიდრე პროფესიულ გამოცდილებასა და კეთილდღეობის განვითარებას. ამავდროულად, რისკი არის ნორმალური და ხშირად ცხოვრების სასარგებლო ნაწილი, მაგრამ პოტენციური

⁷ „ცრუ ნეგატივები“ (false negatives) შესაძლოა მოხდეს მუშაობის პროცესში, როდესაც მაღალი რისკის არსებობა ფასდება, როგორც არარსებული რისკი

⁸ „ცრუ პოზიტივები“ (false positives) შესაძლოა მოხდეს მუშაობის პროცესში, როდესაც არარსებული რისკი ფასდება, როგორც მაღალი რისკი

დესტრუქციული ქმედებების შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდვის დაწესება. კუპერი ამტკიცებს, რომ კულტურულ ფაქტორებსა და ოჯახებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოზიტიური ცვლილებების განხორციელებაში. ის თვლის, რომ „ავტომატური“ რისკის შეფასების სისტემებზე ზედმეტი ხაზგასმა შეამცირებს იმის ალბათობას, რომ დაიდენტიფიცირდეს და იმართოს რისკი. ჰუდი და ელისონი აღნიშნავენ, რომ ზოგადად არსებობს რისკის შეფასებისა და მენეჯმენტის გაგების სიმწირე. მათი აზრით, იკვეთება მკაფიო დიქტომია ნებისმიერი რისკის მართვის სტრატეგიასა და პროფესიულ რისკებს შორის, რომელთანაც სოციალური მუშაკები უფრო კომფორტულად „გრძნობენ თავს“ (Barry, 2007).

მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია, რომ მუშაობის პროცესი ფოკუსირებული იყოს ორივე საკითხზე და არა მხოლოდ ერთ ვიწრო ხედვაზე. შეფასებები უნდა იყოს ჰოლისტური, პრაქტიკოსის მიერ შეგროვებულ უნდა იქნას ინფორმაცია პიროვნების ფიზიკურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ, სულიერ საჭიროებებზე. ამასთანავე, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი მუშაობას უნდა იწყებდეს იქიდან, სადაც მისი მომსახურების მიმღები „დგას“. ზოგადად, პროფესიული სოციალური მუშაობა განვითარდა რისკებზე რეაგირების მიზნით. გასათვალისწინებელია, რომ კანონი და სოციალური პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყანაში სოციალური მუშაობის მოწოდების გზას (Seden, 2016).

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, პრობაციის სისტემაში პრაქტიკოსები უნდა ხელმძღვანელობდნენ რისკებისა და საჭიროებების შეფასებას ინსტრუმენტის გამოყენებით. გასათვალისწინებელია, რომ მტკიცებულებების მიხედვით, რისკისა და საჭიროებების შეფასება კავშირშია ახალგაზრდა სამართალდამრღვევ პირთა შემთხვევების მენეჯმენტთან. კერძოდ, პრაქტიკაში საჭიროებების პრინციპის დაცვა უკავშირდება დანაშაულის განმეორების შემცირებას (Luong & Wormith, 2011).

ამერიკის შეერთებულ შტატებში რისკისა და საჭიროებების შეფასება ხდება სისტემატურად სისტემებში, სადაც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო პროგრამები, რათა შეფასებულ იქნას პირის მიერ დანაშაულის განმეორების განხორციელების ალბათობა და განხორციელდეს შესაბამისი ჩარევა. კერძოდ, პრობაციის სისტემაში, მსჯავრდებულებს

სპეციალისტი აცნობს განაჩენს, განსაზღვრას რეაბილიტაციის საჭიროებას და შესაბამისი ხასიათის პროგრამებს, აცნობს გადაწყვეტილებებს პირობითი გათავისუფლების და პრობაციის ოფიცრების მონიტორინგისა და სუპერვიზიის შესახებ ისე, რომ აქცენტი პარალელურად გაკეთდეს პიროვნების ძლიერ მხარეებზე, უნარებსა და რეინტეგრაციის პროცესის გამოწვევებზე. რისკისა და საჭიროებების შეფასება წარმოადგენს ეფექტური ცვლილების, სარეაბილიტაციო ინიციატივების „საგზაო რუქას“. როდესაც სწორად იქნება განსაზღვრული რისკები და საჭიროებები, ქცევის ცვლილებისკენ მიმართული პროგრამები ემპირიულად უნდა დაუკავშირდეს დანაშაულის განმეორების შემცირებას (Hanson & Bourgon, 2017).

ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების გათვალისწინებით, რისკისა და საჭიროებების შეფასების განხორციელების მიუხედავად, აღნიშნული მიმართულებით ახალი ინსტრუმენტების შექმნამ პრაქტიკაში ერთგვარი გამოწვევები გააჩინა. არსებული ინსტრუმენტების მეშვეობით სპეციალისტი აფასებს რისკსა და საჭიროებებს. ყველა მათგანი უნიკალურია იმ კუთხით, რომ ის შეიძლება შედგებოდეს განსხვავებული ფაქტორებისგან. ზოგიერთი ინსტრუმენტის მიხედვით, რისკისა და საჭიროებების კატეგორიები 3 ნაწილად იყოფა: დაბალი, საშუალო, მაღალი. ზოგიერთი ინსტრუმენტის მიხედვით იყენებენ 4 ნომინალურ კატეგორიას: დაბალი, დაბალი-საშუალო, საშუალოდ მაღალი და მაღალი. ზოგი ინსტრუმენტის მიხედვით კი გამოყოფილია 5 კატეგორია: დაბალი, დაბალი საშუალო, საშუალო, საშუალო-მაღალი, მაღალი. აღნიშნულ საკითხს ართულებს ის, რომ არ არსებობს ერთი სტანდარტი რისკებთან დაკავშირებით. მაგალითად, „დაბალი რისკი“ შეიძლება იყოს განსხვავებული განმარტებით ერთი ინსტრუმენტიდან მეორეზე ინფორმაციის შედარებისას. არ არსებობს სტანდარტიზებული, ზუსტი ენა აღნიშნულის განსაზღვრისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ერთი და იგივე ადამიანების კატეგორია შეიძლება სხვადასხვაგვარად აღიწეროს სხვადასხვა ინსტრუმენტით (Hanson & Bourgon, 2017).

რისკისა და საჭიროებების შეფასებას უნდა ჰქონდეს ემპირიული საფუძველი და უნდა შეესაბამებოდეს ქცევის მახასიათებლების ამოცნობას. რისკისა და საჭიროებების დონეების განსაზღვრა მნიშვნელოვანი და გამოყენებადია ინდივიდუალურ დონეზე კლიენტთან მუშაობისას. კლიენტისათვის მიწოდებულ უნდა იქნას ინფორმაცია მისი

ქვევის/ემოციების მართვის საჭიროებებთან და სტრატეგიებთან დაკავშირებით (Hanson & Bourgon, 2017).

2018 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებულ იქნა აქტი რისკისა და საჭიროებების შეფასების სისტემის შესახებ⁹. აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს დანაშაულის განმეორების შემცირებასა და ციხის ფედერალური სისტემის რეფორმის განხორციელებას ისე, რომ აღარ განხორციელდეს ადამიანის სისტემაში დაბრუნება, რისთვისაც მნიშვნელოვანია, მსჯავრდებულთათვის პრობაციის სისტემის მიერ აქტიური და ეფექტური მუშაობა (U.S. Department of Justice, 2018). ამავდროულად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ისეთი ინსტრუმენტის შექმნის თაობაზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პრობაციის სისტემაში არსებული სპეციფიკური მონაცემების შესახებ. ასევე, აღნიშნული აქტის მიღების შემდეგ, განხილულ იქნა საკითხი შეფასების საიმედოობაზე, სარეაბილიტაციო პროგრამებსა და პრობაციის ოფიცრების შესახებ, რომელიც იძლევა თანმიმდევრულ შედეგებს პრობაციის სისტემაში. ასევე, ადმინისტრაციული მხარის¹⁰ მიერ გაცემულ იქნა სახელმძღვანელო რეკომენდაციები საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით პრობაციონერებში დადებითი ცვლილებების განსახორციელებლად: 1. ინტენსიური ცვლილებისკენ მიმართული ჩარევები მიმართული უნდა იყოს უფრო მეტად მაღალ, ვიდრე დაბალ რისკის ქვეშ მყოფ პირებზე; 2. დინამიური რისკის ფაქტორები მიზნად უნდა ისახავდეს ცვლილებებს (საჭიროების პრინციპი); 3. სტრატეგიები, როგორცაა კოგნიტური, ქვევითი თერაპია უნდა განხორციელდეს სპეციფიკური ინდივიდუალური მაჩვენებლებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით (პასუხისმგებლობის პრინციპი) (U.S. Department of Justice, 2018).

მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე, პრობაციის ოფიცრების როლის განხილვა მსჯავრდებულებთან მიმართებით. ისინი დიდი ხანია ისეთი გამოწვევების წინაშე დგანან, როგორცაა დიდი რაოდენობით სამუშაო დატვირთვა, შეზღუდული რესურსები, დამნაშავეთა მართვის სირთულეები და დანაშაულის განმეორების მაჩვენებელთან დაკავშირებული საფრთხე, რომელიც

⁹ The First Step Act of 2018: Risk and Needs Assessment System

¹⁰ Administrative Office of the U.S. Courts for Federal Probation

ამავდროულად კავშირშია საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან. დღეისათვის, პრობაციის ოფიცრის როლი არის უკვე იმ ეტაპზე, რომ მის მიერ განხორციელდეს რეაბილიტაციისა და კანონის აღსრულების კონტროლი, ასევე მასშტაბური ცვლილებების განხორციელება საზოგადოებაში. პრობაციის ოფიცრების ფუნქციაა დააბალანსონ სამართალდამცავი ორგანოების ჩარევა და პარალელურად, სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება, იმუშაონ დანაშაულის განმეორების შემცირებაზე და ა.შ. (Hsieh & Hafoca, 2015). რაც შეეხება, პრობაციის ოფიცრის დავალებების სპეციფიკურ პროპორციებს სამუშაო დატვირთვის მიხედვით, აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ოფიცრების დავალებების მხოლოდ 26% ითვალისწინებდა პრობაციონერებთან პირისპირ კონტაქტს; სპეციალიზებული ოფიცრები უფრო მეტად აკონტროლებდნენ მაღალი რისკის მქონე პირებს. სასამართლოს ოფიცრებს პრობაციონერებთან პირისპირ კონტაქტის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ აღნიშნულ პირებს შორის (Martin, 2020), რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგან აღნიშნულის გათვალისწინებით, შედარებით ნაკლებია მსჯავრდებულთა კონტაქტი სასამართლო სისტემასთან. რაც შეეხება, პრობაციის ოფიცრების მხოლოდ 26%-იან მაჩვენებელს პრობაციონერებთან პირისპირი კომუნიკაციისა, სავარაუდოა, რომ საჭიროებას წარმოადგენდეს უფრო მეტი მომსახურების მიმღების მოცვა მათი მხრიდან.

აღნიშნულთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე, მნიშვნელოვანია, რომ მკვლევრებისათვის სრულად იყოს ხელმისაწვდომი პრობაციის ოფიცრებისთვის კანონით მინიჭებული როლები და ფუნქციები, რადგან ამ ტიპის ინფორმირებულობა დაეხმარებოდა კანონმდებლებსა და პოლიტიკოსების, რომ დაინახონ განსხვავება იდეოლოგიასა და პრაქტიკაში არსებულ რეალობას შორის. აღნიშნულის გათვალისწინებით, სრულყოფილად იქნება შესაძლებელი იმის შესწავლა, შეესაბამება თუ არა მათთვის დაწესებული სამუშაო მოთხოვნები დააბალანსებულ მიდგომას (Hsieh & Hafoca, 2015).

რაც შეეხება, ამერიკის შეერთებული შტატების წარსულ გამოცდილებას, პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაკის როლს, მან აქტიური როლი ითამაშა კორექციული ხასიათის მომსახურებებში 1980-იან წლებამდე, სანამ არ დაიწყო პრაქტიკაში უფრო მეტად კონსერვატორული მიდგომების განხორციელება

სარეაბილიტაციო ეთიკის მიმართულებით. სოციალური მუშაობის სფეროში განხორციელებულმა ცვლილებებმა, ხელი შეუწყო სოციალური მუშაკების როლის შემცირებას კორექციული ტიპის სამუშაოში. გასათვალისწინებელია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფცია ხაზს უსვამს მსხვერპლთა, საზოგადოებისა და დამნაშავეთა დახმარებას დანაშაულის შედეგად მიღებული შედეგების მოგვარებაში. აღნიშნული მიმართულება იკვეთება აშშ-ისა და სხვა ქვეყნების კორექციული ხასიათის მიმართულებით მუშაობაში. მნიშვნელოვანია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციამ კიდევ უფრო გააცოცხლოს სოციალური მუშაობა ცვლილებების განხორციელებისთვის სისტემაში (Gumz, 2004).

სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში სოციალური მუშაობის სტანდარტების მიხედვით, სამუშაო პრაქტიკის ჩარჩო მოიცავს შემდეგს: შეფასება, შემთხვევის მართვა, შეზღუდვები, რეაბილიტაცია, რეპარაცია, რეინტეგრაცია (The Scottish Government, 2010). რისკის მართვისა და შეფასების მიმართულებით, მნიშვნელოვნად მიმაჩნია განვიხილოთ შეფასების ნაწილი. შეფასება იყოფა 3 ნაწილად, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და დაცვას, განმეორებითი დანაშაულის შემცირებას, სოციალური ინკლუზიის მხარდაჭერას დანაშაულისგან თავის არიდებისათვის. საზოგადოების უსაფრთხოება და დაცვა გულისხმობს სპეციალისტის მიერ რისკების, მოსალოდნელი ზიანის გამოვლენას, შეფასებასა და განხილვას. დანაშაულის განმეორების შემცირების ნაწილში ყურადღება გამახვილებულია განმეორებითი დანაშაულის რისკებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რომელიც ამოცნობილ უნდა იქნას მსჯავრდებულთან მომუშავე სპეციალისტის მიერ. რაც შეეხება სოციალური ინკლუზიის საკითხს, ინდივიდს აქვს შესაძლებლობა გაიაზროს გარემოებების გავლენა საკუთარ ცხოვრებაზე, სპეციალისტის მხრიდან უნდა განხორციელდეს მისი საჭიროებების „აღიარება“, ცვლილების გეგმის შედგენა და წვდომის უზრუნველყოფა სათანადო მხარდაჭერისთვის (The Scottish Government, 2010). აღნიშნულის გათვალისწინებითა და საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია სპეციალისტების მიერ რისკისა და საჭიროებების სწორად იდენტიფიცირება, განხილვა, შეფასება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის

განხორციელება, რათა შესაძლებელი გახდეს კლიენტისათვის რელევანტური მომსახურებების მიწოდება.

ადგილობრივი პრაქტიკა

საქართველოს კანონის „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ მე-7 მუხლის მიხედვით, სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მიზანს წარმოადგენს *„კანონით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების აღსრულებით, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებითა და მსჯავრდებულისა და ყოფილი პატიმრის რესოციალიზაციითა და რეაბილიტაციით საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა“* (საქართველოს პარლამენტი, 2007). აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სააგენტო საქმიანობას ახორციელებს მსჯავრდებულთა რისკისა და საჭიროებების შეფასებას, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ დაგეგმვას, მსჯავრდებულზე ზედამხედველობასა და კონტროლს და სხვა შესაბამის საქმიანობებს (საქართველოს პარლამენტი, 2007). ამავდროულად, საყურადღებოა, რომ *„კრიმინოლოგიური დასავლური ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე საზოგადოებრივი კონტროლი ნაკლებად არის, მაგრამ შესაძლოა გაძლიერდეს, რადგანაც მეტი მონაცემების შეგროვება და შესწავლა ხდება და საჭირო იქნება რეაბილიტაციური მიდგომის წარმატების მტკიცებულება“* (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 26).

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის 20 იანვრის რეკომენდაციით, *„კომიტეტის წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპის საბჭოს პრობაციის წესების შესახებ“*, მიხედვით, პრობაციის სააგენტოს მიერ მსჯავრდებულის შეფასების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ინდივიდუალური გარემოებები, საჭიროებები, რათა თოთოეული საქმის წარმოება სამართლიანად იქნეს უზრუნველყოფილი. აღნიშნული საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამავდროულად, პრობაციის სააგენტოებმა უნდა უზრუნველყონ მსჯავრდებულთა ინფორმირებული თანხმობა და მათთან თანამშრომლობა შესაბამისი ინტერვენციების გათვალისწინებით (Council of Europe, 2010). ამასთანავე, *„ცალკეული მსჯავრდებულების პროგრესი უნდა შეფასდეს რეგულარული ინტერვალობით და ეს პროცესი უნდა აისახოს*

სამუშაო გეგმაზე ზედამხედველობის დარჩენილი ვადის განმავლობაში“ (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, p. 247).

საქართველოს კანონის მიხედვით, პრობაციის სისტემაში არსებული მომსახურება სავალდებულო ხასიათისაა. კერძოდ, მსჯავრდებულის რისკებისა და საჭიროებების შეფასების შემდგომ, მას ეკისრება სარეაბილიტაციო მომსახურებაში ჩართვის ვალდებულება. „კანონის თანახმად, პირობით მსჯავრდებულისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის მიმართ დადგენილი რეჟიმი მოიცავს პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროს და ადგილას კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას“ (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 103).

რაც შეეხება, პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაობის განხორციელებას, სოციალური მუშაკები კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან მუშაობენ შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: მსჯავრდებულებისთვის სარეაბილიტაციო მომსახურებების მიწოდება, კრიზისული შემთხვევების მართვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ინდივიდუალური შემთხვევების მართვა, განრიდების პროგრამაში სოციალური მუშაკის ჩართულობა, დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ პირებთან მუშაობა, სრულწლოვანი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობა. პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაკი თავის საქმიანობას ახორციელებს მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად, რომელშიც შედიან ფსიქოლოგი და პრობაციის ოფიცერი (კილაძე & ფირცხალაშვილი, 2018). ამავდროულად, საქართველოს კანონის სოციალური მუშაობის შესახებ, 52-ე მუხლის მიხედვით, სოციალური მუშაკი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის და დანაშაულის პრევენციის მიზნით: „ა) აფასებს სრულწლოვანი/არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულის რისკებსა და საჭიროებებს; ბ) მონაწილეობს მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობაში ბენეფიციარის ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობის დასადგენად და სხვა სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავებს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ გეგმას“ (საქართველოს პარლამენტი, 2018) რაც შეეხება, განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულ 14 წლიდან 21 წლამდე პირებთან სოციალური მუშაკის მუშაობას, „ა) უზრუნველყოფს განრიდება-მედიაციის

პროგრამისთვის მართლმსაჯულების სისტემისგან განრიდებული პირის მდგომარეობის ინდივიდუალურ შეფასებას შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით; ბ) ხელს უწყობს ბენეფიციარის სოციალურ აქტიურობას, სერვისების მოძიების მიზნით თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან; გ) მონიტორინგს უწევს განრიდებული პირის ხელშეკრულების პირობების შესრულებას“ (საქართველოს პარლამენტი, 2018) და ახორციელებს კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრობაციის სისტემაში დანერგილია რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მიმართულია დანაშაულის პრევენციისკენ. პრობაციის ოფიცრები, მსჯავრდებულთან გასაუბრებისა და სხვა საჭირო ინფორმაციების გაანალიზების გზით, აფასებენ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს და შესაბამისად, ინდივიდუალურად უდგენენ სასჯელის მოხდის გეგმას. 2010 წლიდან რეფორმების გატარების შემდეგ, პრობაციის ბიუროებში მუშაობენ სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები, რომლებიც ინდივიდუალური მუშაობის მეშვეობით ახორციელებენ ბენეფიციართა საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათ შესაბამის მომსახურებებთან დაკავშირებას (პრობაციის ეროვნული სააგენტო, 2021).

პრობაციის სისტემაში რეაბილიტაციის პროგრამებში ჩართვამდე, პენიტენციურ სისტემაში მყოფი პირებისთვის მნიშვნელოვანია დაწესებულების დატოვებამდე იმ ეტაპების გავლა, რომელიც, მოგვიანებით მას სავალდებულო სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვასთან ერთად უნდა დაეხმაროს საზოგადოებაში რესოციალიზაციისათვის. დღეისათვის, განახლებული შეფასების ინსტრუმენტების მეშვეობით ხორციელდება კრიმინოგენული ფაქტორების¹¹ განსაზღვრა, საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების გამოკვეთა. პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა შეფასების ინსტრუმენტებია: მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი(RNA), რომლის მეშვეობით შესაძლებელია ობიექტური (ქულობრივი) შეფასების შედეგად დადგინდეს კონკრეტული მსჯავრდებულის დანაშაულის განმეორების ალბათობა; ასევე, პრაქტიკაში გამოიყენება მნიშვნელოვანი ზიანის რისკის

¹¹ პირის დანაშაულბრივი ქცევის გამომწვევი ნებისმიერი ფაქტორი (რისკი და საჭიროება), რომლის პოზიტიური ცვლილებაც ამცირებს დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობას

სკრინინგი, რომელიც ზომავს მსჯავრდებულის მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დონეს, როგორც სხვა ადამიანების, ასევე საკუთარი თავის მიმართ; ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება ძალადობის მსხვერპლი ქალების იდენტიფიცირების სკრინინგი, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს ქალ ბრალდებულების/მსჯავრდებულების იდენტიფიცირება იყო თუ არა ის ძალადობის მსხვერპლი და რა ტიპის დახმარება/მხარდაჭერას საჭიროებს (სპეციალური პენიტენციური სამსახური, 2021).

რისკისა და საჭიროებების შეფასების განხილვისას, მნიშვნელოვნად მიმაჩნია გავანალიზოთ რისკის 2 განზომილება: დანაშაულის მოხდენის შესაძლებლობა/ალბათობა და ზიანი, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს ჩადენილმა ქმედებამ. აღნიშნულ განზომილებებს ერთმანეთისგან ვერ განვაცალკევებთ. პრობაციის სისტემის კონტექსტში სრულიად გასაგებია პრაქტიკაში ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ამცირებს დანაშაულის განმეორების რისკს. ამავდროულად, მუშაობის პროცესში განსაკუთრებით სხვა შემთხვევებთან ერთად, საყურადღებოა ისეთი რისკების არსებობა, რომელიც შესაძლოა სხვებისთვის საშიშროებას წარმოადგენდეს. აღნიშნული ეხება ისეთ შემთხვევებს, სადაც არსებობს სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხე (არსოშვილი & მიქანაძე, 2015).

სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში სოციალური მუშაობის განხორციელებისას მნიშვნელოვანია მოდელის „რისკი-საჭიროება-რეაგირება“ გაანალიზება. ის ერთ-ერთი გავრცელებული მოდელია, რომელიც გამოიყენება სამართალდამრღვევთა შეფასებისა და რეაბილიტაციისათვის. აღნიშნული მოდელის პრინციპები ეფუძნება *„ფსიქოლოგიურ თეორიას, ქცევის შეცვლის ყველაზე ეფექტურ ტექნიკებს, ორგანიზაციისა და მომსახურე პერსონალის მახასიათებლებს, რაც შესაძლებელს გახდის სამართალდამრღვევის ქცევის მაქსიმალურ ცვლილებას“* (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 241). იმის გათვალისწინებით, რომ დღეს პრობაციის სისტემაში რისკისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის მეშვეობით რისკის გამოთვლა ხდება ობიექტურ საზომებზე დაყრდნობით - ქულების საშუალებით (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, 2020), შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ხელს უწყობს რისკის იდენტიფიცირებას,

რელევანტური საჭიროებების გამოკვეთისა და შემდგომ უკვე რეაგირების განსაზღვრის პროცესს.

2.2.2.სოციალური მუშაკის როლი განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში

საერთაშორისო პრაქტიკა

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე სოციალური მუშაკები ემსახურებიან უშუალოდ სისტემაში წინა ხაზზე მყოფ პერსონალსა და ადმინისტრატორებს. სისხლის სამართლის სისტემა მოიცავს, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში არსებულ მომსახურებებს, სააგენტოებს. სპეციალისტები სოციალურ მომსახურებას აწვდიან ისეთ სახელმწიფო და ფედერალურ დაწესებულებებს, რომლებიც მუშაობენ მსჯავრდებულთათვის სარეაბილიტაციო პროგრამებზე, პენიტენციურ დაწესებულებებს, პრობაციის სააგენტოებს, ფედერალურ, სახელმწიფო და ადგილობრივ სასამართლოებს, საზოგადოებაში დაფუძნებულ არაკომერციულ სააგენტოებს, რომლებიც ემსახურებიან დამნაშავეებისთვის მომსახურების მიწოდებას, ჯანდაცვის პირველადი რგოლის პროვაიდერებს, რომლებიც ემსახურებიან დაბალი შემოსავლის მქონე, დანაშაულის ჩამდენ პირებს და ა.შ. სოციალურ მუშაკებთან ერთად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, მომუშავე პირებს წარმოადგენენ ისეთი პროფესიის წარმომადგენლები, როგორებიც არიან: პოლიციელები, პრობაციის ოფიცრები, სასამართლოს პერსონალი პროკურორისა და დაცვის მხარის ჩათვლით, სახალხო დამცველი, ბიო-ფსიქო-სოციალური მომსახურების მიმწოდებელი პროვაიდერები, როგორცაა სამედიცინო პერსონალი, ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტები, სოციალური მუშაკები (Kelly & Clark, 2010).

სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში სოციალურ მუშაობას ესაჭიროება ადაპტირება იმ ცვლილებებთან მიმართებით, რომლებიც სისტემაში მიმდინარეობს. ამავდროულად, სოციალური მუშაკის მიერ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას შესაძლოა საჭირო გახდეს ბალანსის მოძებნა საზოგადოებრივი უსაფრთხოების საჭიროებასა და დამნაშავეთა ბიო-ფსიქო-სოციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მათთვის ერთგვარ ეთიკურ გამოწვევას წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის საჭიროებების შეფასება კანონთან კონფლიქტში მყოფ

პირთა მიმართ. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხდება სოციალური მუშაკის ჩართულობა საკანონმდებლო ღონისძიებებში სოციალური პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად, სისტემაში ბალანსის შესაქმნელად სამართლიანობასა და კანონდამრღვევ პირთა შორის. სოციალური მუშაკს შეუძლია დაეხმაროს მართლმსაჯულების სისტემას დამნაშავეებისთვის ეფექტური მომსახურების მიწოდებაში (Kelly & Clark, 2010).

ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე, ქვეყანა არის ერთგვარ გზაჯვარედინზე სისხლის სამართლის სისტემაში. სისტემამ აუცილებლად უნდა გააფართოოს ფსიქო-სოციალური მომსახურებების სპექტრი ხელახალი დაპატიმრებისა და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით. ამ მიმართულებით, სოციალური მუშაობის პროფესიას აქვს შესაძლებლობა აღიდგინოს „ხელმძღვანელის როლი“ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მოდელის შეთავაზებაში ეფექტური ფსიქო-სოციალური მომსახურების მისაწოდებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიზნების მიღწევას (Kelly & Clark, 2010).

ამერიკის შეერთებული შტატების პრობაციის სისტემის გამოცდილების გათვალისწინებით, დამნაშავეთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად რჩება. დანაშაულის განმეორების შესამცირებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზად სოციალური რეინტეგრაციის პროგრამები სახელდება. ინდივიდუალურ დონეზე, განმეორებითი დანაშაულის პრევენცია ხორციელდება, როცა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი არიდებს თავს დანაშაულს (Kelly & Clark, 2010). აღნიშნულისთვის, რასაკვირველია, საჭიროებას წარმოადგენს სოციალური მუშაკისა და შესაბამისი სპეციალისტების აქტიური ჩართულობა და შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება, რათა ხელი შეეწყოს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პრევენციას. პრობაციის სისტემაში არსებული პროგრამები ხაზს უსვამს გრძელვადიან ცვლილებებს მოკლევადიანი კონტროლის მიმართ. ასევე, დასაშვებია, რომ სავარაუდოდ, პროგრესი არ იქნება პირისპირი და უწყვეტი. სოციალური მუშაკისა და სხვა რელევანტური სპეციალისტების მუშაობისას ყურადღება გამახვილებულია დამნაშავეთა მხარდაჭერაზე, რათა მათ შეძლონ საკუთარი თავის „ახალ ჭრილში“ დანახვა. წარმატებული სოციალური რეინტეგრაციისათვის პრაქტიკაში არსებული მიდგომა გულისხმობს, რომ დამნაშავეს რეინტეგრაცია ემყარება მოტივაციასა და ადამიანური,

სოციალური კაპიტალის კომბინაციას. „ადამიანური კაპიტალი“ გარკვეულწილად ეხება ინდივიდუალურ შესაძლებლობებს ქცევაში ცვლილებების შეტანისა და სასურველი მიზნების მისაღწევად. „სოციალური კაპიტალი“ მოიცავს ფაქტორებს, როგორცაა დასაქმება, დამხმარე ოჯახი, სხვა ადამიანებთან ურთიერთობები (Kelly & Clark, 2010).

ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად ციხიდან გათავისუფლებული 650 000-ზე მეტი ყოფილი სამართალდამრღვევის დაახლოებით ორი მესამედი ხელახლა იქნა დაპატიმრებული დაახლოებით 3 წლის განმავლობაში (U.S. Department of Justice, 2007). აღნიშნულთან მიმართებით, სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი განმეორებითი დანაშაულის შემცირებაში სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულობის მეშვეობით, რაც ხელს შეწყობს მათ საზოგადოებაში დაბრუნებას და ფართო სოციალური პრობლემების ნაწილობრივ მოგვარებას. ასევე, სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ პასუხისმგებელი იყვნენ ყოფილი დამნაშავეებისთვის შესაბამისი რესურსის მიწოდებაზე, როგორცაა დასაქმება, ფსიქიკური ჯანმრთელობა, მავნე ნივთიერებების მოხმარების მიმართულებით კონსულტაცია, განათლებაზე წვდომა, რაც გააუმჯობესებს მათ პერსპექტივებს. სოციალური მუშაკების ჰოლისტიური მიდგომა პრობაციონერებს საშუალებას აძლევს გააცნობიერონ ჩადენილი დანაშაული, მისი შედეგები და განახორციელონ ამ ცოდნის ინტეგრირება თავიანთ საქმიანობაში. სოციალური მუშაკების ერთ-ერთ მთავარ როლს წარმოადგენს ადამიანის საჭიროებების ყურადღებით მოსმენა, მისი გაცნობიერება განსჯის გარეშე და ჯანსაღი მომავლის დაგეგმვის ხელშეწყობა. სოციალურ მუშაკებს ასევე შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ყოფილი სამართალდამრღვევების ოჯახების ემოციურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაში ადამიანის ციხიდან გამოსვლის შემდეგ. სოციალური მუშაკის მიერ აღნიშნული მომსახურებების გაწევისას, მნიშვნელოვანია უშუალოდ სპეციალისტისთვის სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ტრენინგების ჩატარება, მათი პროფესიული მხარდაჭერა, რათა შესაძლებელი იყოს შემთხვევების ეფექტურად მართვა, აქტიური მუშაობის განხორციელება განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაზე (MSW Careers, 2019).

საყურადღებოა, რომ კლიენტთა რისკისა და საჭიროებების შეფასება რელევანტური ინსტრუმენტების გამოყენების მეშვეობით მნიშვნელოვანია განმეორებითი დანაშაულის პრევენციისა და ზიანის რისკის შემცირებისთვის. კერძოდ, რისკი შესაძლოა მოიცავდეს ზიანის მიყენებას, როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვებისათვის. ზიანი შესაძლოა მოიცავდეს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, სულიერ, იურიდიულ, ფინანსურ და სხვა საკითხებს. მას შემდეგ, რაც კლიენტთან მუშაობისას სოციალური მუშაკი შეარჩევს „მოქმედების კურსს“, მან უნდა გამოიყენოს შესაბამისი სტრატეგიები განმეორებითი დანაშაულის პრევენციისა და ზიანის რისკის შემცირებისთვის. რისკის მართვის მიზანია მოსალოდნელი პრობლემების შემცირება, მათ პრევენციაზე მუშაობა, რაც საშუალებას აძლევს სოციალურ მუშაკსა და პრობაციის სააგენტოს შეამციროს პოტენციური ზიანი. ზოგიერთ სააგენტოს აქვს შესაბამისი კომპეტენტური პირების დანიშვნის გამოცდილება, რომლებიც ეხმარებიან მათ რისკის მართვაში. იქ, სადაც არ არის აღნიშნული გამოცდილება, რისკის მართვა მნიშვნელოვანია განხორციელდეს პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისა და მათი ზედამხედველების მიერ. სოციალური მუშაკების მიერ რისკის მენეჯმენტზე მუშაობის განხორციელება ხდება შემდეგი მიდგომების გამოყენებით: დიალექტიკური ქცევითი თერაპია (DBT), რომელიც მოიცავს ქცევითი უნარების, ემოციების დარეგულირების გაუმჯობესებას; კოგნიტური ქცევითი თერაპია (CBT), რომელიც ეხმარება კლიენტებს არასწორი, ნეგატიური აზრების ცვლილებასა და ახალი პრაქტიკული უნარების გამომოშავებაში, სომატური ხელახალი გამოცდილების თერაპია (SRT), რომლის დროსაც კლიენტი იკვლევს საკუთარი ტრავმის გამოცდილებას (მაგ: სექსუალური ძალადობა), რათა ხელახლა გაიზაროს და გადაჭრას კონკრეტული პრობლემური საკითხები (Barsky, 2015).

რაც შეეხება, რისკის განსაზღვრისა და შეფასების სარგებელს, პრობაციის სააგენტოები, უშუალოდ სოციალური მუშაკები აიდენტიფიცირებენ კლიენტთან მუშაობისთვის საჭირო მოქმედების კურსს, იღებენ ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს ყველა მხარის სარგებლისა და რისკის გათვალისწინებით (Barsky, 2015), რომელიც ხაზგასმულია სოციალური მუშაკების ეროვნული ასოციაციის (NASW) ეთიკის კოდექსის 1.01 სტანდარტში (National Associations of Social Workers, 2008).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკის შეერთებულ შტატებში პრობაციის სისტემა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივაა, რომელიც პირებს უწყებს კონკრეტულ წესებს კანონმდებლობის ფარგლებში. მაგალითად, პირობით მსჯავრდებულს შეიძლება დაევალოს ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე ტესტირება, შრომითი შეზღუდვები, გაუთვალისწინებელი ვიზიტები, რათა გაკონტროლდეს დაცულია თუ არა სასჯელის მოთხოვნები. აშშ-ში პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და პრობაციის ოფიცრებს აქვთ დისკრეციული უფლებამოსილებების გამოყენების დიდი რაოდენობა. აღნიშნული შესაძლოა მნიშვნელოვნად იყოს განპირობებული იმ გარემოებებით, რომ აშშ-ში ბევრია პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევები (Andersen & Wildeman, 2014). აღნიშნულ სისტემაში, სოციალური მუშაკების გარდა, განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებაში მნიშვნელოვანი როლი აქვთ პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და პრობაციის ოფიცრებს. კვლევები აჩვენებს, რომ აღნიშნული სპეციალისტები შესაძლოა იყვნენ „საზოგადოებაში დაბრუნებული პირებისთვის“ მნიშვნელოვანი სოციალური დახმარების წყარო, რამაც ერთგვარად ხელი უნდა შეუწყოს დანაშაულის განმეორების შემცირებასა და ზიანის რისკის პრევენციას. პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის ოფიცრის დახმარება (მაგ: სწორი ინფორმაციის მიწოდება მსჯავრდებულისთვის) უფრო ძლიერ ეფექტს ახდენს, ვიდრე პიროვნების მხარდაჭერა (მაგ: მოსმენა და ზრუნვა). მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის შემმუშავებელმა პირებმა განიხილონ შესაბამისი პროგრამები პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის ოფიცრსა და „დაბრუნებულ პირს“ შორის პროფესიული ურთიერთობისა და შესაბამისი მომსახურების მიწოდების განმტკიცების მიზნით (Bares, 2019).

სოციალური მუშაკებისა და პრობაციის ოფიცრების მიერ პროფესიული ვალდებულებებისა და მომსახურების განხორციელებისას, მნიშვნელოვანია რელავანტური სამართლებრივი დოკუმენტებისა თუ გაიდლაინების განხილვა, რათა სპეციალისტების მიერ სწორად იქნას განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობა. სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია პრობაციის ევროპული წესები, რომელიც მიმართულია პრობაციის სისტემაში მყოფ ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე, ეთიკურ ვალდებულებებზე,

რომელსაც 47 ქვეყანა იზიარებს. ასევე, აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პრობაციის სააგენტოს პრაქტიკის განხორციელებას, რომელიც სხვა მიზნებთან ერთად უნდა ემსახურებოდეს დანაშაულის თავიდან აცილებას. ამ მხრივ, საჭიროებას წარმოადგენს რისკი-საჭიროება-რეაგირების პარადიგმის პრაქტიკაში აქტიურად განხორციელება. აღნიშნულ პარადიგმაზე დაფუძნებული მიდგომები პიონერია კანადასა და აშშ-ში. იგი ფართოდ გავრცელდა შემდგომ დიდ ბრიტანეთსა და ევროპის ბევრ სხვა ნაწილში. პრობაციის სისტემაში პრაქტიკის განვითარება, მათ შორის ქცევითი პროგრამების, მნიშვნელოვნად უკავშირდება რისკი-საჭიროება-რეაგირების პარადიგმას. პრობაციის ევროპული წესების ძირითადი პრინციპის მიხედვით, პრობაციის სააგენტოები მიზნად ისახავენ შეამცირონ ხელახალი დანაშაულის ჩადენა და პოზიტიური ურთიერთობა დაამყარონ დამნაშავეებთან (Canton, 2015).

სოციალური მუშაკების ეროვნული ასოციაცია განიხილავს სოციალური სამართლიანობის პრიორიტეტებს, რომლის შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილია სწორედ სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, მათ შორის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. იგი მოიცავს სისტემაში ხელახლა დაბრუნების საკითხს, გირაოს გადახდას, სასჯელის სამართლიანად განსაზღვრას, სამართალდამცავ ორგანოებს, ციხის რეფორმებს, ასევე არასრულწლოვანთა დაპატიმრებას, არასრულწლოვანთა საკითხს პირობითი მსჯავრის პირობებში (National Association of Social Workers, 2018), რომლის სამართლიანად განხორციელებაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თითოეული ქვეყნის პოლიტიკასა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე.

სოციალური მუშაკების ეროვნული ასოციაციის 2018-2019 წლების სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პრიორიტეტებთან დაკავშირებით, საჭიროდ მიმაჩნია, „სოციალური მუშაკები განმარტოების წინააღმდეგ“-ის (Social Workers Against Solitary Confinement (SWASC) რეკომენდაციების განხილვა. რეკომენდაციებში ყურადღება გამახვილებულია სოციალური მუშაკის მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობის პროცესზე. დღემდე, სოციალურმა მუშაკებმა და მასთან დაკავშირებულმა სხვა პროფესიის წარმომადგენლებმა ბევრი რამ არ იციან პატიმრობის შესახებ. SWASC-მა პრიორიტეტად დააყენა ინსტრუქტორების, სტუდენტების, პრაქტიკოსი პროფესიონალებისა და ინდივიდუალური პირებისათვის სასწავლო მოდულების

შემუშავება. აღნიშნული მოდელები შეეხება ადამიანის უფლებებს, საგანმანათლებლო პოლიტიკასა და აკრედიტაციის საკითხს. აშშ-ში არსებობს ეროვნული ასოციაცია სოციალური მუშაკის განათლების შესახებ(CSWE), რომელიც გასცემს შესაბამის აკრედიტაციას სოციალური მუშაობის განხორციელებისათვის (Social Workers Against Solitary Confinement, 2018).

რაც შეეხება, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას, აღნიშნული მიმართულებით საერთაშორისო დონეზე არსებობს ისეთი სამართლებრივი დოკუმენტები, როგორცაა: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკინის წესები“), „გაეროს“ წესები თავისუფლებაადკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ („ჰავანას წესები“), „გაეროს“ სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით („რიადის სახელმძღვანელო პრინციპები“)¹ (აბულაშვილი, 2019, გვ. 10). ჩამოთვლილი თითოეული დოკუმენტი ხაზს უსვამს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოსა და შესაბამისი სისტემებისა და ინსტიტუტების მიერ. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მიმართებით, როგორც სოციალური მუშაკის, ასევე სხვა ნებისმიერი სპეციალისტის მუშაობის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს ბავშვის უფლებები და „*მართლმსაჯულების სისტემა არასრულწლოვანთა მიმართ უნდა იქნას მიმართული პირველ რიგში არასრულწლოვნის კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ, რათა არასრულწლოვან სამართალდამრღვევზე ზემოქმედების ზომები იყოს ყოველთვის თანაზომადი როგორც სამართალდამრღვევის პიროვნების, ასევე სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებებთან*“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2017, გვ. 5).

ადგილობრივი პრაქტიკა

პრობაციის სისტემაში მომუშავე სოციალური მუშაკების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ისეთი პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება, რომელიც მოემსახურება კლიენტთა განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებას. საქართველოს კანონის, „სოციალური მუშაობის შესახებ“, 52-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ სოციალური მუშაკი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის და დანაშაულის პრევენციის მიზნით: „აფასებს სრულწლოვანი/არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულის რისკებსა და საჭიროებებს; მონაწილეობს მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობაში ბენეფიციარის ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობის დასადგენად და სხვა სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავებს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ გეგმას; სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის ფარგლებში ბენეფიციარებს აწვდის სარეაბილიტაციო მომსახურებას... მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს კოორდინირებული საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოფს პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიისთვის მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების შესახებ დასკვნის მომზადებას“ (საქართველოს პარლამენტი, 2018) და ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ სხვა საქმიანობას. რაც შეეხება, პრობაციის ოფიცრის ფუნქცია-მოვალეობებს, საქართველოს კანონის, „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, მე-40 მუხლის მიხედვით, „აკონტროლებს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას; აკონტროლებს მსჯავრდებულის ყოფაქცევას და დახმარებას უწევს მას; მსჯავრდებულთან ატარებს აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს; შეძლებისდაგვარად ეხმარება მსჯავრდებულს შრომით მოწყობაში; ახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, ამყარებს საქმიან ურთიერთობებს მუნიციპალიტეტის ორგანოებთან, სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებთან“ (საქართველოს პარლამენტი, 2007).

როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი გამოცდილების გათვალისწინებით, პირობითი მსჯავრი ემსახურება ტრადიციულ სასჯელთა (თავისუფლების აღკვეთა) ალტერნატიული, უფრო ჰუმანური ფორმით დამნაშავეთა რესოციალიზაციას,

განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ამავროულად, საზოგადოების უსაფრთხოების ხელშეწყობას. შესაბამისად, „საერთაშორისო სტანდარტები და წარმატებული სისხლის სამართლის პოლიტიკის განმახორციელებელი ქვეყნები უპირატესობას ანიჭებენ პირობით მსჯავრს და სადაც ეს შესაძლებელია, ახალისებენ პირობითი მსჯავრისა და სხვა სახის არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებას“ (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2020, გვ. 4). სწორედ აღნიშნული ალტერნატიული არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების პროცესში უმნიშვნელოვანესია თავად პრობაციის სისტემის როლი ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და ზიანის რისკის შემცირებაში. „საქართველოში 2014 წლიდან მოქმედებს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და დანაშაულის რევიდივის რისკების შემცირების ორგანო - პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ერთეული სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით ფსიქო-სოციალური სერვისების დანერგვა“ (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2020, გვ. 31). აღნიშნული ფსიქო-სოციალური სერვისების მიზანმიმართულად განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს მსჯავრდებულთა საზოგადოებაში რესოციალიზაციას, განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირებას. შესაბამისად, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისა და პრობაციის ოფიცრების მიერ საჭიროებას წარმოადგენს აქტიური მუშაობა რისკებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიმართულებით, რომლისთვისაც დღეს, პრობაციის სისტემაში, ფუნქციონირებს შესაბამისი შესაფასებელი ინსტრუმენტი. იგი საშუალებას იძლევა ობიექტური (ქულობრივი) შეფასების შედეგად დადგინდეს კონკრეტული მსჯავრდებულის განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობა (სპეციალური პენიტენციური სამსახური, 2021). 2015 წლის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანების, „მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“, მიხედვით განსაზღვრულია ზიანის რისკის 3 დონე: დაბალი, საშუალო და მაღალი. აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლის მიხედვით, „ზიანის რისკის დონე განისაზღვრება მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმის მე-2 ნაწილის საინფორმაციო ველებისათვის მინიჭებული ქულების ჯამის მიხედვით“ (საქართველოს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, 2015). მსჯავრდებულის ინდივიდუალური შეფასების დასრულების შემდგომ, ზიანის რისკის დაბალი დონის გამოკვეთის შემთხვევაში, პრობაციის ოფიცერი ადგენს მსჯავრდებულის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხს მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმის შესაბამისი პუნქტების ანალიზის საფუძველზე. ამავდროულად, მე-4 მუხლის მიხედვით, *„განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის დაბალი ხარისხის დადგენისას, პრობაციის ოფიცერი დამოუკიდებლად ადგენს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ გეგმას“* (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, 2015). განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის საშუალო დონის გამოვლენის შემთხვევაში, *„პრობაციის ოფიცერი, საჭიროების შემთხვევაში, ხოლო განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის მაღალი ხარისხის დადგენისას, სავალდებულო წესით, დაუყოვნებლივ მიმართავს პრობაციის ბიუროს/პრობაციის ოფიცერთა ჯგუფის უფროსს მსჯავრდებულის სოციალურ მუშაკთან/ფსიქოლოგთან შეხვედრის თაობაზე“* (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, 2015). სოციალური მუშაკი/ფსიქოლოგი პრობაციის ბიუროს უფროსისგან შესაბამისი მიმართვის მიღების შემდეგ, მსჯავრდებულის პრობაციის ბიუროში მომდევნო გამოცხადების დღიდან 7 სამუშაო დღის ვადაში მაქსიმუმ ორჯერ ხვდება მსჯავრდებულს და ავსებს ბრძანების შესაბამის ფორმებს. აღნიშნული ფორმა სოციალური მუშაკის/ფსიქოლოგის მიერ წარედგინება პრობაციის ოფიცერს და 5 დღის ვადაში მულტიდისციპლინარული გუნდი (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, პრობაციის ოფიცერი) ადგენს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ გეგმას და აცნობს მსჯავრდებულს (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, 2015).

რაც შეეხება, ზიანის რისკის განსაზღვრასა და აღნიშნულთან მიმართებით სოციალური მუშაკის ფუნქციის საკითხს, საშუალო ხარისხის იდენტიფიცირებისას, პრობაციის ოფიცერი დაუყოვნებლივ ახორციელებს მიმართვას პრობაციის ბიუროს/პრობაციის ოფიცერთა ჯგუფის უფროსთან მსჯავრდებულის რისკის შეფასების პროცესში სოციალური მუშაკის ჩართვასთან დაკავშირებით. ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, *„საქმის მიღების შემდეგ, სოციალური მუშაკი პრობაციის*

ბიუროში მსჯავრდებულის არაუგვიანეს მომდევნო გამოცხადებიდან 12 სამუშაო დღის ვადაში ახორციელებს მსჯავრდებულთან არაუმეტეს 3 შეხვედრას, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში, მსჯავრდებულის თანხმობით, 1 ვიზიტს ახორციელებს მსჯავრდებულის ოჯახში...“ (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, 2015). იმ შემთხვევაში, თუ სოციალური მუშაკის მიერ შეფასების პროცესში გამოიკვეთა ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროება, შესაბამისი მიმართვა ხორციელდება აღნიშნულ სპეციალისტთან კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით. რაც შეეხება, ზიანის რისკის მაღალი დონის იდენტიფიცირებას, „პრობაციის ოფიცერი დაუყოვნებლივ მიმართავს პრობაციის ბიუროს/პრობაციის ოფიცერთა ჯგუფის უფროსს მსჯავრდებულის რისკის შეფასების პროცესში ფსიქოლოგის ჩართვასთან დაკავშირებით, რომელიც საქმეს გადაუმისამართებს შესაბამის ფსიქოლოგს“. იმ შემთხვევაში, თუ შეფასების პროცესში ფსიქოლოგის მიერ გამოკვეთილ იქნა მსჯავრდებულის სოციალურ მუშაკთან შეხვედრის საჭიროება, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების ფარგლებში ხდება შემთხვევის მართვის პროცესში სოციალური მუშაკის ჩართვა. „განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხის განსაზღვრა ხორციელდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ...“ (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, 2015).

რაც შეეხება, პრობაციის სისტემაში კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საკითხს განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირების მიმართულებით, სოციალური მუშაკი, როგორც წესი, რისკისა და საჭიროებების შეფასების პროცესში ერთვება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის აღრიცხვაზე აყვანის დღიდან. ის პრობაციის ოფიცერთან და ფსიქოლოგთან ერთად ახორციელებს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას (არსოშვილი & მიქანაძე, 2015). ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის რეკომენდაციით, ინტერვენცია მიზნად უნდა ისახავდეს რეაბილიტაციასა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციას. პრობაციის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ მომსახურების მიმღებებთან მუშაობისას გამოყენებულ იქნას სხვადასხვა რელევანტური მეთოდი (Council of Europe, 2010). პრობაციის სისტემაში „განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის განსაზღვრასთან ერთად, შეფასების დაწყების პირველ ეტაპზე ფასდება

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ ზიანის მიყენების რისკი და რისკის დონის განსაზღვრის მიხედვით მსჯავრდებული ერთვება სავალდებულო ან ნებაყოფლობით სარეაბილიტაციო პროგრამაში“ (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 116). სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის ვალდებულება/ნებაყოფლობითობა განისაზღვრება „მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-8 მუხლის მიხედვით (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, 2015). სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი ხორციელდება გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის/პირების მიერ (ქელბაქიანი & ცაგარელი, 2020).

2020 წლის კვლევის მიხედვით, პრობაციის ბიუროებში მომსახურების ძირითადი მიმწოდებლები (70%) არიან უშუალოდ პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები. სისტემაში არის გამოწვევები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. რეგიონები, სადაც ხელმისაწვდომი არ არის სოციალური მუშაკი/ფსიქოლოგი, სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით იკვეთება ხარვეზები. „პრობაციის ბიუროს იმ სამოქმედო ტერიტორიაზე, რომელზეც არ ხორციელდება სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურება, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასებას და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას პრობაციის ოფიცერი უზრუნველყოფს“ (ქელბაქიანი & ცაგარელი, 2020, გვ. 55). აღნიშნულის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ საჭიროებას წარმოადგენდეს ადამიანური რესურსით სააგენტოს სრულად შევსება, რამაც შესაძლოა გააუმჯობესოს სოციალური მუშაკის მუშაობის ხარისხის მაჩვენებელი განმეორებითი დანაშაულის პრევენციისა და ზიანის რისკის შემცირების მიმართულებით. ამასთანავე, მნიშვნელოვანი კვლევის საგანია რამდენად სწორად ხდება რისკისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პრაქტიკაში გამოყენება და რამდენად რელევანტურია მსჯავრდებულებისათვის შეთავაზებული კონკრეტული მომსახურებები, რომლებიც პრობაციის სისტემის ბაზაზე ფუნქციონირებს.

რაც შეეხება, პრობაციის სისტემაში განმეორებითი დანაშაულის სტატისტიკას, იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა

აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2011 წელს 1525 არასაპატიმარ მსჯავრდებულთა 3,9%-მა, 2012 წელს 1601 ბენეფიციარის 4,8%-მა, 2013 წელს 1515 პირის 13,2%-მა, 2014 წელს 637 მომსახურების მიმღების 4,1%-მა, 2015 წელს - 455-ის 2,4%-მა, 2016 წელს - 575-ის 2,7%-მა, 2017 წელს 380-ის 1,7%-მა, 2018 წელს 661-ის 3,2%-მა, 2019 წელს 643-ის 3,1%-მა, 2020 წელს 605-ის 3%-მა, 2021 წლის 31 აპრილის ჩათვლით არსებული მონაცემებით, 177 პირის 1%-მა განახორციელა განმეორებითი დანაშაული. ამავე სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „არასაპატიმარ მსჯავრდებულთა რეციდივის მაჩვენებელს სქესის და ასაკის მიხედვით სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტო არ აწარმოებს“¹².

2.2.3. სოციალური მუშაობის პრაქტიკა რისკის კონტროლისა და მომსახურების მიმღებთა რეაბილიტაციაში

საერთაშორისო პრაქტიკა

არასაპატიმრო ღონისძიებების განხორციელების ძირითად მიზანს წარმოადგენს კანონდამრღვევი პირისთვის პატიმრობის ნაცვლად ეფექტური ალტერნატივების შერჩევა ინდივიდუალური საჭიროებებისა და ჩადენილი დანაშაულის პროპორციულობის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, პრობაციის სამსახურის მარეგულირებელი ისეთი საერთაშორისო სტანდარტები, როგორცაა „არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები“ („ტოკიოს წესები“), რომელიც ადგენს არასაპატიმრო ზომების გამოყენების ძირითად პრინციპებს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია „ბალანსირება მოახდინოს არასაპატიმრო ზომების გამოყენების წახალისებასა და აღნიშნულზე შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას შორის, რაც ამ ზომებზე კონტროლის არაპროპორციულობის პრევენციას ისახავს მიზნად“ (არსომვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 286).

არასაპატიმრო ღონისძიებების განხორციელებისას გაწეული ზედამხედველობა მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის პრევენციას, მსჯავრდებულის

¹² შენიშვნა: აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები დანაშაულის განმეორების მაჩვენებელთან დაკავშირებით წარმოდგენილია მხოლოდ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“ წარმოებული შემთხვევების საფუძველზე და ის არ მოიცავს ინფორმაციას ისეთი დანაშაულის განმეორების მაჩვენებელზე, რომელიც შესაძლოა იდენტურ პირზე აღრიცხული იყოს სხვა სახელმწიფო უწყებაში

საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობას. ზედამხედველობის გაწევას, ერთი მხრივ, აქვს კონტროლის წარმოების, ხოლო მეორე მხრივ-კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის წახალისების ფუნქცია, რათა არ განახორციელოს ხელახალი დანაშაული. ასევე, საყურადღებო საკითხია, რომ დანაშაულის ჩამდენ პირს, საჭიროების შემთხვევაში, გაეწიოს ფსიქოლოგიური, სოციალური თუ სხვა ტიპის დახმარება, რომელიც ასევე მოიცავს სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებასაც. პრობაციის სააგენტოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიზანი უნდა იყოს მსჯავრდებულის წახალისება და მისი რეაბილიტაცია. გასათვალისწინებელია, რომ „*მსჯავრდებულის მიერ დადგენილი პირობების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს არასაპატიმრო ღონისძიების პირობების შეცვლა ან გაუქმება, თუმცა, აღნიშნული არ უნდა გულისხმობდეს არასაპატიმრო ღონისძიებების თავისუფლების აღკვეთით ავტომატურად ჩანაცვლებას*“ (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 292).

„ტოკიოს წესებთან“ ერთად საყურადღებო დოკუმენტია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის რეკომენდაცია პრობაციის ევროპული წესების შესახებ (Council of Europe, 2010). აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, პრობაციის ბიუროების მიზანს უნდა წარმოადგენდეს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან დადებითი ურთიერთობის ჩამოყალიბების მეშვეობით განმეორებითი დანაშაულის პრევენცია, რათა ამით, თავის მხრივ, ზედამხედველობა, კონტროლი გაუწიონ მათ. ასევე, სარეაბილიტაციო და სხვა ტიპის მომსახურებებით ხელი შეუწყონ პრობაციონერთა ინტეგრაციას საზოგადოებაში. პრობაციის ორგანოებმა სრულად უნდა გაითავისონ და გაითვალისწინონ მსჯავრდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლები, რადგან მაგალითად, ზედამხედველობის ფორმები, რომელიც შესაძლოა თავსებადი იყოს მამაკაცისთვის, შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალისთვის. განმეორებითი დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული მოვალეობები, რომელიც აკისრია პრობაციის სააგენტოებს, შესაძლოა ითხოვდეს ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც ეწინააღმდეგება კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების სურვილებს. აღნიშნულ შემთხვევაში, საჭიროა მსჯავრდებულს განემარტოს კონკრეტული ვალდებულებები, გარემოებები, რათა მან შეძლოს მიღებული გადაწყვეტილების ლეგიტიმურად აღქმა და გააზრება. პრობაციის ევროპული წესები

ავალდებულებს პრობაციის ორგანოებს სისტემატური კომუნიკაცია აწარმოონ „სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც განსაზღვრავენ სასჯელის შეფარდებამდე ანგარიშების მომზადების პირობებს“ (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 299). აღნიშნული მნიშვნელოვანია, რათა პრაქტიკული თვალსაზრისით, სწორად იქნას განსაზღვრული თითოეული სპეციალისტის, მათ შორის სოციალური მუშაკების, პრობაციის ოფიცრების როლი რისკის კონტროლისა და მომსახურების მიმღებთა რეაბილიტაციაში. მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის გაუმჯობესებისთვის ხელშემწყობია სოციალური მუშაკისა და სხვა შესაბამისი სპეციალისტების მიერ მათი ოჯახების გაძლიერება, რადგან რეაბილიტაციის პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვანია ოჯახის წევრთა დახმარება და მხარდაჭერა. პრობაციის ევროპული წესები სხვა საკითხებთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მსჯავრდებულის ოჯახთან მუშაობაზე, რადგან, როგორც საპატიმრო, ასევე არასაპატიმრო სასჯელი გავლენას ახდენს არა მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირზე, არამედ მის მხარდამჭერ ქსელზეც, დამოკიდებულ პირებზე. პრობაციის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი მხარდაჭერის გაწევა მსჯავრდებულის ოჯახისათვის (არსოშვილი & მიქანაძე, 2015).

რაც შეეხება, კონტროლის განხორციელების მიმართულებით, საერთაშორისო გამოცდილებას, ტრადიციულად, პრობაციის ორგანოების მუშაობა დაფუძნებული იყო პირად ურთიერთობებზე იქამდე, სანამ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში არ დამკვიდრდა ელექტრონული მონიტორინგის სისტემა, რაც მსჯავრდებულის ადგილსამყოფელის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა. მას ასევე შეუძლია წვლილის შეტანა პირის რეაბილიტაციაში, შესაძლოა დამხმარე აღმოჩნდეს ადამიანების ჩვევების, ცხოვრების სტილის შეცვლაში. ელექტრონული მონიტორინგი წარმოადგენს სასჯელის აღსრულების ზედამხედველობის ნაწილს. გარე კონტროლი კი გამოყენებულ უნდა იქნას მსჯავრდებულის მიერ თვითკონტროლის გამომუშავების მიზნით. „მნიშვნელოვანია, რომ ტექნოლოგიური მეთვალყურეობის დონე არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭიროა კონკრეტულ შემთხვევაში, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და საზოგადოების უსაფრთხოებისთვის შესაძლო რისკების გათვალისწინებით“ (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 304). ამასთანავე, პრობაციის

ევროპული წესების მიხედვით, მსჯავრდებულ პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს თავისი წვლილი შეიტანოს შეფასებაში, სამოქმედო გეგმაში, რათა მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მისი ინდივიდუალური საჭიროებები. ინტერვენციის, მათ შორის სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელების, ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უშუალოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის ჩართულობაზე. ჩარევა განხორციელებულ უნდა იქნას მულტიდისციპლინარული მიდგომით შესაბამისი კვლევებსა და არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. პრობაციის ევროპული წესების 96-ე წესის მიხედვით, რეაბილიტაცია კანონდამრღვევი პირისგან მოითხოვს საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობის აღებას, რაც ამავედროულად მოიცავს მიყენებული ზიანის აღიარებას. „ზედამხედველობის პერიოდის დასრულებისას უნდა ჩატარდეს საბოლოო შეფასება. მსჯავრდებულს უნდა ეცნობოს, რომ ეს შეფასება დარჩება მის პირად საქმეში და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალში“ (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 309).

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, მათ შორის პრობაციის სისტემაში, სპეციალისტთა მუშაობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია პასუხისმგებლობა და რისკის კონტროლი. კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდგომ საჭიროებას წარმოადგენს ზიანის რისკის შემცირებასა და კონტროლზე მუშაობის გაგრძელება. პირებს, რომელთაც განვითარებული არ აქვთ პიროვნული პასუხისმგებლობა, ვალდებულებისა და საკუთარი თავის კონტროლის უნარი, შესაძლოა დაუბრუნდნენ ძველ დევიაციურ ქცევას. არსებობს მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც დანაშაულისგან „განდგომის“ შედეგი შესაძლოა იყოს დამნაშავესათვის მოტივაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა. ამასთანავე, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის რეაბილიტაციის განხორციელების პროცესის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს კონტროლი, რათა პირს ხელი შეეწყოს გააკონტროლოს საკუთარი ქცევა. კრიმინოგენული საჭიროების პრინციპიდან გამომდინარე, მსჯავრდებულისთვის არსებული პროგრამები ფოკუსირებული უნდა იყოს დინამიკურ ფაქტორებზე. ყველაზე პერსპექტიული სამიზნე ცვლილება მოიცავს ანტისოციალური დამოკიდებულებების, ფიქრების ცვლილებასა და პირადი კონტროლის განხორციელების საკითხებს, მათ შორის მავნე ნივთიერებების

მოხმარებას, აგრესიას. ამასთანავე, მსჯავრდებულებზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის. მტკიცებულებების მიხედვით, გარე კონტროლი დაიცავს საზოგადოებას და ამავედროულად, შესაძლებელი იქნება საზოგადოებასთან ურთიერთთანამშრომლობის შენარჩუნება (The Scottish Government, 2010).

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასა და კონტროლში საჭიროა სპეციალისტთა, მათ შორის სოციალური მუშაკების აქტიური ჩართულობა. დღეს, სოციალური მუშაკებს მოუწოდებენ, ისე როგორც არასდროს, იმოქმედონ კანონმდებლობის ფარგლებში და ითანამშრომლონ სხვა სისტემებთან სოციალური ცვლილებების მისაღწევად. თუ სოციალური მუშაობის პროფესია უნდა აკონტროლებდეს პროფესიის მომავალს, ის უნდა გახდეს იურიდიულ/საკანონმდებლო სისტემაზე გავლენის მომხდენი ადვოკატების მეშვეობით (Maschi & Leibowitz, 2017).

დამნაშავეებთან სოციალური მუშაობის მიზნები და სტატუსი იყო და დღესაც რჩება პოლიტიკური და პროფესიული კამათის საგნად. აღნიშნული დებატების განსახილველი საკითხი მიემართება კეთილდღეობასა და სამართლიანობას, ზრუნვას, კონტროლსა და მომსახურების მიძღვრებას მეთვალყურეობას (Smith, 1998). დღესაც არსებობს კრიტიკა „პრობაციის ოფიცერი როგორც სოციალური მუშაკის“ საკითხთან მიმართებით, რადგან სულ უფრო მეტად ძნელია სასჯელაღსრულების სისტემაში ფუნქციების ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯვნა და პარალელურად, კონტროლის განხორციელება (Harris, 1989). ევროპაში პრობაციის სისტემის წარსული გამოცდილებით, პრობაციის ოფიცრები გაცემდნენ არასათანადო რეკომენდაციებს მსჯავრდებულთა კონტროლის მიმართულებით და შეუსაბამოდ რეაგირებდნენ კონკრეტულ შემთხვევებზე. ამავედროულად, დროთა განმავლობაში, პრობაციასა და სოციალურ მუშაობას შორის გარკვეული საკითხების გამიჯვნა განხორციელდა კულტურული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გარდაქმნების შედეგად. მოგვიანებით, გამოიკვეთა რომ რისკის შეფასებისა და სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის, ის ამავედროულად გამოყენებულ იქნა კონტროლისათვის, რისი საჭიროებაც პრაქტიკაში გამოიკვეთა. პრობაციის სისტემას შეუძლია ფართოდ ისარგებლოს სოციალური მუშაობის პროფესიასთან მჭიდრო კავშირის დამყარებისთვის

(Raynor, 2015). საერთაშორისო სტანდარტები და ანგარიშები ხაზს უსვამს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის, მეთვალყურეობისა და კონტროლის საჭიროებას. პრობაციის სისტემაში არსებული ზედამხედველობა მნიშვნელოვანია დანაშაულის შესამცირებლად (Miller, 2012).

პრობაციის სისტემაში სოციალურ მუშაობაში მომსახურების მიმღებებზე ზედამხედველობის ფუნქცია ემყარება საქმის წარმოების მოდელს (casework model). ზედამხედველობა წარმოადგენს მკურნალობის პროგრამის საფუძველს. პრობაციის ოფიცერი იყენებს დამნაშავის შესახებ არსებულ ყველა ინფორმაციას პირის საჭიროებების და ინდივიდუალური გეგმის განსასაზღვრელად. კანონდამრღვევ პირთა ზედამხედველობა, როგორც წესი, მოიცავს სამართალდამრღვევთა მეთვალყურეობასა და დახმარებას, რაც ხელს შეუწყობს მას დანაშაულისგან „განდგომაში“. პრობაციის ოფიცრის მიერ როდესაც სწორად ხორციელდება მეთვალყურეობა, სამართალდამრღვევს შეუძლია გააცნობიეროს საკუთარი ქმედებების შესაძლო შედეგები. კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს შეუძლია სასარგებლო შედეგი მიიღოს პრობაციის ოფიცერთან სისტემატური შეხვედრების შედეგად (Latessa, 2021).

პრობაციის სისტემაში რეაბილიტაციისა და კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით არსებობს ერთგვარი ეთიკური დილემა ორივე მომსახურების გაწევის თვალსაზრისით. შესაძლოა განისაზღვროს პრობაციის ოფიცერთა 4 ტიპი: სამართალდამცავი ოფიცერები, რომლებიც საზოგადოების ინტერესებს აყენებენ კლიენტთა ინტერესებზე მაღლა; სოციალური მუშაკები/თერაპიული მიმართულებით მომუშავე პირები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ დამნაშავეთა მკურნალობასა და რეაბილიტაციაზე; სახელმწიფო მოსამსახურეები, რომლებიც უმეტესად საკუთარ თავზე ზრუნავენ; სინთეზური/კომბინირებული კატეგორიის ოფიცერები, რომლებიც აერთიანებენ მკურნალობის, რეაბილიტაციისა და კონტროლის კომპონენტებს და ეძებენ „ოქროს შუალედს“ კლიენტის კეთილდღეობასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას შორის. საერთო ჯამში, პრობაციის ოფიცრები უნდა ხელმძღვანელობდნენ ზრუნვის ეთიკით. ზრუნვის ეთიკა აღიარებს პიროვნების ძირითად უფლებებსა და ფასეულობებს, მაგრამ მათ არ აყენებს საზოგადოებაზე მაღლა. სპეციალისტების მიერ საჭიროებას წარმოადგენს საჭიროებების, პასუხისმგებლობისა და უფლებების მუდმივი გადაფასება,

რათა უზრუნველყოფილ იქნას ყველა მხარის კეთილდღეობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, „ეთიკური პრობაციის ოფიცრები“ მზად უნდა იყვნენ დამნაშავეთა საჭიროებების გადასალახავად, რათა ამავედროულად უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების უსაფრთხოება (Jones & Lurigio , 1997).

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი დაცვის უწყებათაშორისი მექანიზმის არსებობა(MAPPA)¹³, რომელიც პოლიციას, ადგილობრივ ხელისუფლებას, ციხის სამსახურს, ჯანდაცვის ორგანოებს აკისრებს პასუხისმგებლობას შექმნან ერთობლივი ღონისძიებები მაღალი რისკის კატეგორიის კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რისკის შეფასებისა და მართვისათვის. აღნიშნულზე პასუხისმგებელი უწყებები არიან: პოლიცია, პრობაციის სისტემა, პენიტენციური სისტემა (National MAPPA Team, 2012). აღნიშნული მექანიზმი მნიშვნელოვანია სექსუალური და ძალადობრივი ხასიათის სამართალდარღვევების სამართავად. MAPPA-ს მექანიზმის გამოყენებითა და დახმარებით უწყებებს შეუძლიათ უკეთ შეასრულონ თავიანთი საწესდებო პასუხისმგებლობა და კოორდინირებული მუშაობით დაიცვან საზოგადოება. ქვეყნებში არსებული სააგენტოები ნებისმიერ დროს ინარჩუნებენ თავიანთ სამართლებრივ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს. სამართალდამრღვევი პირები, რომლებიც MAPPA-ს კომპეტენციაში არიან, შემდეგნაირად კლასიფიცირდებიან: პირველი კატეგორიის კანონდამრღვევი პირები - სექსუალური ხასიათის დანაშაულის განმახორციელებელი პირები, მეორე კატეგორია - ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის განმახორციელებელი პირები, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 12 თვის ან მეტი დროის განმავლობაში, მესამე კატეგორია - პირები, რომელთაც შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენონ საზოგადოებას, მაგალითად, მაღალი რისკის მქონე პირები, რომლებიც გასამართლებულნი არიან ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე (Kent Safeguarding Children Partnership , 2018).

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, პრობაციის სისტემის მიერ კონტროლის განხორციელებასთან ერთად, უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდება. წარმატებული რეაბილიტაციის მიზნით,

¹³ MAPPA - Multi Agency Public Protection Arrangements

პრობაციონერებს უწყვეტად სჭირდებათ ყურადღება, კონსულტაცია, პრობაციის ოფიციალური პირების მიერ გაწეული რელევანტური დახმარება. სარეაბილიტაციო მოდელი მორგებული უნდა იყოს არასრულწლოვან/სრულწლოვან მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე (Hsieh & Hafoca, 2015).

აშშ-ის მაგალითზე, სოციალურმა მუშაობამ აქტიური როლი ითამაშა „ამერიკულ კორექციაში“ 1980 წლებამდე, სანამ რეაბილიტაციის ეთიკამ უფრო მეტად არ შეიცვალა კონსერვატიული დოქტრინა. პრობაციის სისტემაში სარეაბილიტაციო მომსახურების მიმართულებით გრძელდება აქტიური ძალისხმევის გაწევა აღდგენითი მართლმსაჯულებისა და კორექციული მიმართულებით სამუშაოს კუთხით. გასათვალისწინებელია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და რეაბილიტაციის განხორციელების გარდა, აშშ-ის პენიტენციურ დაწესებულებებში სოციალური მუშაობა დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა. 1970-იან წლებამდე, სოციალური მუშაკები აშშ-ის ციხეებში აქტიურად მონაწილეობდნენ ისეთი სერვისების მიწოდებაში, როგორცაა პატიმართა მეთვალყურეობა, მათთვის კონსულტაციის გაწევა, ციხის გარემოს მართვა. სოციალური მუშაკების წვლილი ქცევით ცვლილებაზე მუშაობის მიმართულებით შემცირდა, როდესაც რეაბილიტაციის კონცეფციამ დაკარგა უპირატესობა, რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყოს მარტინსონის 1974 წლის ანგარიშით, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა მრავალი სახის მკურნალობის პროგრამების ეფექტურობას. ამ პერიოდში სოციალური მუშაობა განაგრძობდა პროფესიად ჩამოყალიბებას, მან დროებით მიატოვა „შესწორებების სფერო“. 1970-იან წლების შუა პერიოდში უფრო კონსერვატიული იდეოლოგიის პირობებში, კორექციის მიმართულება უფრო მეტად სადამსჯელო კუთხით განვითარდა. დღეს, სოციალური მუშაობის პრინციპები, როგორც პრობაციის სისტემაში, ასევე სხვა სფეროებში, ემყარება ინდივიდუალურ თანდაყოლილ ღირსებას, კლიენტის თვითგამორკვევას, კონფიდენციალობის დაცვას, რომელიც ამავდროულად მიემართება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას კონტროლისა და რეაბილიტაციის კუთხით (Gumz, 2004).

ჰეარსტონის მიხედვით, აშშ-ში სოციალური მუშაკების მიერ სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისას თვითგამორკვევის საჭიროება დაჩრდილა კონტროლის სისტემამ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა აშენებდა უფრო და უფრო მეტ ციხეს

უმეტესად ღარიბი მოსახლეობისთვის, სოციალური მუშაობა, როგორც პროფესია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დუმდა. აღნიშნულმა ფაქტორებმა გავლენა მოახდინა კორექციულ სამუშაოებზე. დღეს, სოციალურ მუშაკებს კომუნიკაცია აქვთ პირებთან, რომლებიც მათთან ერთად ჩართულები არიან მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამებში, ქცევითი პატერნების ცვლილებაში, რაც პროფესიაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია (Gumz, 2004).

ისტორიულად, ამერიკის სოციალურმა მუშაობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სარეაბილიტაციო სფეროში, არასრულწლოვნების მონაწილეობის გაზრდაში შემთხვევის მართვის პროცესში, სასამართლო და სასჯელადასრულების სისტემაში. სოციალური მუშაობის მეშვეობით კონკრეტული კორექტივები, მათ შორის სარეაბილიტაციო მომსახურებაში, ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის სისტემაში. სარეაბილიტაციო მომსახურების განხორციელებისას გასათვალისწინებელი საკითხია რეაბილიტაციის ეთიკა. დღეისათვის, რეაბილიტაციისათვის და სხვა მიზნებისთვის, სოციალური მუშაობა ამერიკაში სულ უფრო მეტ დროს უთმობს ფსიქოთერაპიას. აქვე, გასათვალისწინებელია, რომ სოციალური მუშაობის სკოლებში სტუდენტები ნაკლებად სპეციალიზირდებიან ისეთ სფეროებში, როგორცაა კორექტირება, სიღარიბე, ეთნიკური უმცირესობები (Gumz, 2004). ზოგადად, სათანადო სარეაბილიტაციო და ქცევის კორექციისკენ მიმართული პროგრამების განსახორციელებლად პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები საჭიროებენ ცოდნით, მტკიცებულებებით აღჭურვას, რათა სწორად იქნას წარმართული შემთხვევის მართვა.

სარეაბილიტაციო პროცესის წარმატება, აშშ-ის მაგალითზე, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სოციალურ მუშაკსა და მის მიერ განხორციელებულ სარეაბილიტაციო პროგრამებზე. ისინი მომსახურებას უწევენ, როგორც ციხეში მყოფ მსჯავრდებულებს, ასევე დაწესებულების დატოვების შემდგომ პირებს, რომლებიც პირობით ან პირობით ვადამდე არიან გათავისუფლებულები. კორექციული ტიპის მკურნალობისა და მომსახურების მიმწოდებელი სპეციალისტები მუშაობენ სასჯელადასრულების დაწესებულებებში, სასამართლო სისტემებსა და არაკომერციულ ორგანიზაციებში. ბევრი მათგანი მხარს უჭერს საჯარო პოლიტიკის ცვლილებას, რათა გაუმჯობესდეს და გაფართოვდეს მომსახურება მათი კლიენტებისთვის. ციხეში მომუშავე სოციალურ

მუშაკს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი სოციალურ მუშაობაში და უნდა გაიაროს სკრინინგის მკაცრი პროცესი. ამავდროულად, ზოგიერთი დამსაქმებლის მოთხოვნა სარეაბილიტაციო მუშაობის წარსამართად არის მაგისტრის ხარისხი სოციალურ მუშაობაში. ყველა შტატსა და ფედერალურ მთავრობას აქვს თავისი მოთხოვნები (Social Work Degree Guide, 2020).

მსჯავრდებულის ქცევის, ემოციების კორექციის მიმართულებით მომუშავე სოციალური მუშაკები (Corrections Social Workers), პირველ რიგში, ქმნიან სარეაბილიტაციო გეგმებს განმეორებითი დანაშაულის პრევენციისთვის და კლიენტთა დახმარებისთვის, რომ ისინი გახდნენ საზოგადოების პროდუქტიული წევრები. ეს პროცესი შეიძლება მოიცავდეს ოჯახის, მეგობრების, პრობაციის ოფიცერის გასაუბრებას. ამისათვის, კორექციული მიმართულებით მომუშავე სოციალური მუშაკები კოორდინაციას უწევენ პროგრამებს, რომლებიც განთავისუფლებულ პატიმრებს ეხმარება განივითარონ კარიერული უნარ-ჩვევები, ჩაერთონ მავნე ნივთიერებების მკურნალობის პროცესში და სპეციალისტთა დახმარებით გაიუმჯობესონ მენტალური ჯანმრთელობა (Social Work Degree Guide, 2020).

რაც შეეხება, პრობაციის ოფიცრებს, რომლებსაც ხშირად საზოგადოებრივი უსაფრთხოების ოფიცრებადაც მოიხსენიებენ, ეკისრებათ მსჯავრდებულთა მონიტორინგის პასუხისმგებლობა, რათა მოხდეს განმეორებითი დანაშაულის პრევენცია და ამავდროულად, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა. ისინი მუშაობენ, როგორც არასრულწლოვან, ისე სრულწლოვან მსჯავრდებულებთან პრობაციის სისტემაში. ისინი ქმნიან მკურნალობის ინდივიდუალურ გეგმას პირისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევისთვის, რათა მომსახურების მიმღებებმა გაიარონ რეაბილიტაციის კურსი. მათი მომსახურების მეშვეობით ბენეფიციარებს სისტემა სთავაზობს ტრენინგების რესურსს, ნარკოლოგიური შემოწმების მეთვალყურეობას, ქცევის ცვლილებაზე მუშაობას, რათა თავიდან იქნას აცილებული განმეორებითი დანაშაული. პრობაციის ოფიცრებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი ადამიანური მომსახურების სფეროში. ისინი აღჭურვილნი უნდა იყვნენ შესაბამისი ცოდნითა და უნარებით სამართალდამრღვევებთან, ოჯახებთან, მოსამართლეებთან, სამართალდამცველებთან და მკურნალობის სფეროში სპეციალისტებთან რეგულარული

კომუნიკაციისთვის. შესაბამის აკადემიურ ცოდნასთან ერთად, პრობაციის ოფიცრებს ესაჭიროებათ მთავრობის მიერ მომზადებული სპეციალური სასწავლო პროგრამის გავლა, სასერთიფიკაციო გამოცდის ჩაბარება და დამნაშავეებთან ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება. უმაღლესი აკადემიური განათლების მიღებისას, ბევრი პრობაციის ოფიცერი ირჩევს სოციალურ მუშაობას, რათა მოემზადოს ინტერპერსონალური, ორგანიზაციული, ანალიტიკური და სხვა ტიპის უნარების განვითარებისთვის პრობლემების გადასაჭრელად. აღნიშნული მნიშვნელოვანია მკურნალობის ინდივიდუალური გეგმის სწორად დასახვისათვის (Social Work Degree Guide, 2021).

ამრიგად, საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, რისკის კონტროლისა და მომსახურების მიმღებთა რეაბილიტაციაში, უმნიშვნელოვანესი როლი აქვს თითოეულ იმ სპეციალისტს, რომელიც ჩართულია კლიენტთა მკურნალობის, რეაბილიტაციის პროცესსა და მათ ზედამხედველობაში.

ადგილობრივი პრაქტიკა

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს პირობით მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და დანაშაულის პრევენცია. „პრობაციის ოფიცრების ერთ-ერთი ფუნქციაა პირობით მსჯავრდებულებისთვის სარეაბილიტაციო და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დანაშაულის რეციდივი“ (წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო ცენტრი, 2011, გვ. 42). სავარაუდოა, რომ პრობაციის ოფიცრების ინდივიდუალურ მუშაობას სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად აფერხებდეს „მემკვიდრეობა“, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროდან „გადავიდა“ იუსტიციის სამინისტროში: „საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ევროპის ერთიან სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობასთან ინტეგრირების შედეგად, არაპატიმარი მსჯავრდებულების და პირობით მსჯავრდებულების მიმართ კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება 2001 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციიდან იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაში გადავიდა“ (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 38).

2011 წლის კვლევის მიხედვით, პირობით მსჯავრდებულები აფასებდნენ პრობაციის სააგენტოს საქმიანობას რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიმართულებით. ყველაზე ეფექტურად ისინი მიიჩნევდნენ დახმარების გაწევას ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და დასაქმებაში, თუმცა, საყურადღებოა, რომ სამსახურში დასაქმებას პროცენტულად საკმაოდ მცირე მაჩვენებელი აქვს. ამავე კვლევის მიხედვით, პირობით მსჯავრდებულები ყველაზე ნაკლებ ეფექტურად მიიჩნევდნენ ტრენინგებზე დასწრებასა და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების ნაწილს (წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო ცენტრი, 2011).

აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, დასაშვებია, რომ ადგილობრივ პრაქტიკაში რეაბილიტაციის პროცესის განხორციელებას ჰქონდეს გარკვეული ხარვეზები და „ჩავარდნები“, რაც ხელს უშლის პრობაციის სისტემის ბენეფიციართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობას. ასევე, გასათვალისწინებელი ფაქტორია პენიტენციურ სისტემაში არსებული მდგომარეობა, სადაც მწირია პროგრამები მსჯავრდებულებისათვის, ასევე ციხეებში სათანადოდ არ არის გაცნობიერებული სოციალური სამსახურის როლი. მტკიცებულებები აჩვენებს, რომ აქცენტი დამნაშავეთა დასჯაზე და არა დანაშაულის/მისი განმეორების პრევენციაზე ხანმოკლე ეფექტს იძლევა (წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო ცენტრი, 2011). დღეისათვის, პენიტენციურ სისტემაში არსებული სარეაბილიტაციო პროგრამები(დანაშაულზე ფოკუსირებული პროგრამები; დანაშაულთან დაკავშირებული პროგრამები; საბაზისო კლინიკური და სოციალური უნარების განვითარების პროგრამები; რესოციალიზაცია-რეინტეგრაციის პროგრამები და ა.შ) (სპეციალური პენიტენციური სამსახური, 2021) სრულად ვერ უზრუნველყოფს მომსახურებების მიმღებთა საჭიროებების დაკმაყოფილებას, მათი ფუნქციონირების გაუმჯობესებაზე ზრუნვას, რაც ხელს უშლის პატიმარს ყოველდღიური უნარების განვითარებაში, დაწესებულების დატოვების შემდეგ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაში. აღნიშნული მიმართულებით, დგას სპეციალისტთა უწყვეტი კომუნიკაციის, ინფორმაციის გაზიარების სირთულე, რაც სისტემურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი. პენიტენციურ და პრობაციის სისტემებს შორის არსებული „ჩავარდნა“ აფერხებს მსჯავრდებულისთვის სათანადო მუშაობის გაწევას. როგორც პრობაციის, ასევე პენიტენციური სამსახურის სისტემაში სოციალური

მუშაკების საქმიანობის გაანალიზებისას სხვა ფაქტორებთან ერთად გასათვალისწინებელია სოციალური მუშაკთა და მსჯავრდებულთა თანაფარდობა, სპეციალისტთა კვალიფიკაცია, რადგან აღნიშნულ სისტემებში მუშაობა საკმაოდ სპეციფიკურია და „*ფართო პროფილის მქონე სოციალურმა მუშაკმა შესაძლოა ვერ იმუშაოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში*“ (წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო ცენტრი, 2011, გვ. 56).

პრობაციის სისტემაში მომსახურების უშუალო ძირითადი მიმწოდებლები არიან სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები (ქელბაქიანი & ცაგარელი, 2020, გვ. 54). კვლევის განხორციელებისას, პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ 2021 წელს მოწოდებული ინფორმაციით, დღეს სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულებისთვის ფუნქციონირებს შემდეგი ფსიქო-სოციალური და პრო-სოციალური, საინფორმაციო ხასიათის სარეაბილიტაციო პროგრამების ტრენინგ-მოდულები: ადამიანის უფლებების, მოწყვლადი ჯგუფებისადმი ტოლერანტობის განვითარების ტრენინგ პროგრამა, ადიქტოლოგია-ჩავარდნის პროფილაქტიკა, ეფექტური კომუნიკაცია, თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული, საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროგრამა, სოციალურ გარემოში ადაპტაციის პროგრამა, საინფორმაციო ხასიათის მოდული უფლება-მოვალეობების გაცნობისა და არსებული გარე მომსახურებების შესახებ ინფორმაციის მიმართულებით, ასევე საინფორმაციო ხასიათის მოდული ტრეფიკინგის შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ცხოვრებისეული ფასეულობები, ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები, მომავლის დაგეგმვა, დანაშაულის გაცნობიერება, ძალადობა და მისგან დაცვის საკანონმდებლო მექანიზმი, პენიტენციური სტრესის მართვის სატრენინგო მოდული, კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა, ბრაზის მართვა, პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების პროგრამა, ინტერვენციის პროგრამა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირობით მსჯავრდებულთათვის, ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა, მოზარდის ფსიქო-სოციალური განვითარება და ქცევითი თავისებურებები და მოზარდის სოციალურ გარემოსთან მუშაობის ასპექტები, როგორ დავეხმაროთ მოზარდებს (მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის).

საქართველოს კანონის „სოციალური მუშაობის შესახებ“ მე-17 მუხლის მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან სოციალური მუშაობა სხვა ეტაპებთან ერთად, გულისხმობს „*მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით მასთან დაკავშირებული რისკებისა და მისი საჭიროებების შეფასებას, ინდივიდუალური გეგმის შედგენას, მისთვის სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებას, მისი რეაბილიტაციის პროცესის ზედამხედველობას, კრიზისული შემთხვევების მართვას*“ (საქართველოს პარლამენტი, 2018). სოციალური მუშაკის მიერ თავისი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიმართულებით შესაძლოა იყოს კომპეტენციის ამაღლების, უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობის, პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ კვალიფიციური ადამიანური რესურსის დამატების საჭიროება, ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც სპეციალისტები განახორციელებენ რელევანტურ მუშაობას. პრობაციის სისტემაში მოქმედი რისკისა და საჭიროებების შეფასების განახლებული სისტემა, რომლის მიხედვითაც ქულობრივად არის შესაძლებელი რისკის დონის განსაზღვრა, წინ გადადგმული ნაბიჯია სათანადო მომსახურების განხორციელებისთვის. აღნიშნულის მიუხედავად, საჭიროებას წარმოადგენს დამატებით ისეთი ინსტრუმენტების შექმნა და განვითარება, რომელიც სოციალურ მუშაკს საშუალებას მისცემს ეფექტურად იმუშაოს თოთოეულ სპეციფიკურ შემთხვევაზე და შეძლოს პრიორიტეტულობის განსაზღვრა რისკების გათვალისწინებით. უშუალოდ მომსახურების მიმღებისთვის სათანადო სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევის გარდა, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროებას წარმოადგენს არა მხოლოდ მიკრო და მეზო დონეზე მუშაობის გაწევა, არამედ საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობაც, რაც, ამ ეტაპზე, საჭიროებს კვლევის განხორციელებასა და შესწავლას. „*მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის. თუ არ მოხდება მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია, იგი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს*“ (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 50).

პრობაციის სისტემაში მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასთან ერთად საჭიროებას წარმოადგენს რისკის კონტროლიც, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს შესაბამის

ინსტრუმენტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრობაციის სისტემაში განახლებული რისკის ინსტრუმენტის (RNA) მიხედვით, რისკის დონის შეფასება უკვე შესაძლებელია ქულობრივი სისტემით, რომლის მიხედვითაც იკვეთება დაბალი, საშუალო ან რისკის მაღალი დონე. აღნიშნულსა და სხვა რელევანტური ინფორმაციაზე დაყრდნობით, საჭიროებას წარმოადგენს რისკის კონტროლის განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება მსჯავრდებულისა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვისკენ. ამ ეტაპზე, რელევანტური კვლევების გაანალიზების შემდგომ, ბუნდოვანია რამდენად ხორციელდება სოციალური მუშაკების/სხვა სპეციალისტების მიერ რისკის კონტროლი მსჯავრდებულებთან მიმართებით და არსებობს თუ არა სახელმძღვანელო პრინციპები ადგილობრივი გამოყენებისათვის, რომელის საფუძველზეც შესაძლებელია კონტროლის განხორციელება. ასევე, ბუნდოვანია არის თუ არა სოციალური მუშაკი ამ პროცესში ჩართული ან თუ ხდება მისთვის სისტემატური ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ.

კონტროლის მექანიზმთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე, არსებული ინფორმაციით, პირობით მსჯავრდებულთა რეგისტრაცია ხდება დაქტილოსკანერების (თითის ანაბეჭდების) გამოყენებით, GPS ტექნოლოგიების გამოყენებით დაინერგა ელექტრონული მონიტორინგის სისტემა (პრობაციის ეროვნული სააგენტო, 2021), თუმცა *„კრიმინოლოგიური დასავლური ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე საზოგადოებრივი კონტროლი ნაკლებად არის...“* (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 26). შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული ადგილობრივი კონტროლის მექანიზმი არ არის საკმარისი რელევანტური საქმიანობის სრულყოფილად განსახორციელებისთვის.

ადგილობრივი პრაქტიკის გათვალისწინებით, პრობაციის სისტემაში კონტროლის ძირითადი ფუნქცია აქვს პრობაციის ოფიცერს, რომელიც *„აკონტროლებს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას; აკონტროლებს მსჯავრდებულის ყოფაქცევას და დახმარებას უწევს მას; მსჯავრდებულთან ატარებს აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს...“* (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 86). აღნიშნულის განხორციელების პარალელურად, საერთაშორისო გამოცდილების

მიხედვით, გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ამ ტიპის კონტროლი არ არის საკმარისი მსჯავრდებულისთვის სათანადო მომსახურების გაწევისათვის. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, *„ტოკიოს წესების მსგავსად, ზედამხედველობა გაგებული უნდა იყოს არა მხოლოდ როგორც კონტროლის, არამედ როგორც მსჯავრდებულისათვის დახმარების აღმოჩენის საშუალება“* (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2020, გვ. 10). ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით CM/Rec (2010) წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების მიხედვით, ის უნდა მოიცავდეს მსჯავრდებულისთვის დახმარების აღმოჩენას, მის წახალისებას. ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, ზედამხედველობა უნდა მოიცავდეს რელევანტურ ტრენინგებს, რეაბილიტაციას და ა.შ. ასევე, ზედამხედველობისა და კონტროლის პროცესში, საჭიროებას წარმოადგენს მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებთან აქტიური კომუნიკაციისა და მუშაობის განხორციელება (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2020).

ადგილობრივ პრაქტიკაში გასათვალისწინებელია საერთაშორისო გამოცდილება, რომლის მიხედვითაც, მსჯავრდებულისთვის დაკისრებული პირობების დარღვევის შემთხვევაში არასაპატიმრო ღონისძიების გაუქმება აუცილებლად არ იქნას ჩანაცვლებული საპატიმრო ღონისძიებებით. *„კომპეტენტური ორგანო უნდა შეეცადოს, მოიძიოს შესაფერისი ალტერნატიული ზომა. პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ სხვა შესაბამისი ალტერნატიული ღონისძიების არარსებობის შემთხვევაში... პირობების შეცვლის შემთხვევაში, მსჯავრდებულს უფლება უნდა ჰქონდეს, გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში ან სხვა შესაბამის ორგანოში“* (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2020, გვ. 10).

ამრიგად, პრობაციის სისტემაში საჭიროებას წარმოადგენს მრავალფეროვანი კონტროლის მექანიზმების დანერგვა და განვითარება, რათა ხელი შეეწყოს, რისკის კონტროლის განხორციელებას ინდივიდუალური და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის. მნიშვნელოვანია, რეაბილიტაციისა და კონტროლის მექანიზმის დაბალანსებულად გამოყენება. კეთილსინდისიერი ქცევის შემთხვევაში მსჯავრდებულმა შესაძლოა ისარგებლოს რიგი შეღავათებით, რაც ზედამხედველობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამავე დროს, კანონით მკაფიოდაა განსაზღვრული იმ

ინტერვენციების ჩამონათვალი, რომელიც მოსდევს მოვალეობების შეუსრულებლობას (არსოშვილი & მიქანაძე, 2015). შესაბამისად, საჭიროებას წარმოადგენს სპეციალისტების მიერ დაბალანსებულად მუშაობის განხორციელება, როგორც რისკის კონტროლის, ასევე სარეაბილიტაციო მომსახურების მიმართულებით და აღნიშნულისთვის შესაბამისი მრავალფეროვანი მექანიზმების დანერგვა-განვითარება.

თავი III კვლევის შედეგები

3.1. სოციალური მუშაკის როლი პრობაციის სისტემაში

რესპონდენტთა ინტერვიუებზე დაყრდნობით, კვლევის მიმდინარეობისას გამოკვეთილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სოციალური მუშაკის როლისა და მისი ფუნქციის აღქმა პრობაციის სისტემაში. კერძოდ, პრობაციის სისტემაში მომუშავე სპეციალისტთა მოსაზრებების ნაწილი განსხვავებულია ამავე უწყებაში მომუშავე თანამშრომელთა მოსაზრებებისგან. პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილი, სოციალური მუშაკის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად ასახელებს ზიანის რისკის შემცირებას, „*ზიანის, რომელიც ადამიანმა შესაძლოა მიაყენოს თავის თავს ან საზოგადოებას*“, ასევე, განმეორებითი დანაშაულის პრევენციას. პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა უმეტესობა აღნიშნავს დიდი ძალისხმევის საჭიროებას საკუთარი როლისა და ფუნქციის დანახვისათვის მსჯავრდებულისთვის. ასევე, აღნიშნულ სპეციალისტთა ნაწილი ხაზს უსვამს ასაკის მნიშვნელობას ქცევის ცვლილების მიმართულებით, „*თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ დახმარება გაეწიოს ყველა ასაკის ადამიანს, ვისაც კი შეგვიძლია რომ დახმარება გავუწიოთ*“.

ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი აღნიშნავს: „*მიუხედავად იმისა, რომ პრობაციის ოფიცერი ერთ-ერთი პირველი რგოლია, ვინც ხვდება ამ ადამიანს [მსჯავრდებულს], სოციალური მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ვცდები, მაგრამ ჩემი პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, ნდობას ზოგჯერ მეტად ვიმსახურებთ ბენეფიციარების მხრიდან... არ გამოვრიცხავ, რომ პრობაციის ოფიცრებსაც უკავშირდებოდნენ [მსჯავრდებულები]... მაგრამ მათი როლი უფრო სხვა არის სამართლებრივი თვალსაზრისით*“. პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილის აზრით, განმეორებითი დანაშაულის პრევენციისთვის სხვა საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანია „*განათლების საკითხის მოწესრიგება... ფსიქოლოგის, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის ჩართვა მიმდინარე შემთხვევაში*“. ასევე, ერთ-ერთი სპეციალისტი აღნიშნავს, რომ „*მუშაობის პროცესში უნდა მიყვე იმ რისკებს, რომელიც გამოიკვეთება კონკრეტულ ბენეფიციართან მიმართებით*“.

ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ სოციალური მუშაობის სფეროში სხვა სამიზნე ჯგუფებთან მუშაობის გამოცდილება არ აქვს, რაც პრობაციის სისტემის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, პრაქტიკული მუშაობის განხორციელებისას შესაძლოა გარკვეულ სირთულეებს ქმნიდეს. ერთ-ერთი ადგილობრივი კვლევის მიხედვით, პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში მუშაობა საკმაოდ სპეციფიკურია და „*ფართო პროფილის მქონე სოციალურმა მუშაკმა შესაძლოა ვერ იმუშაოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში*“ (წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო ცენტრი, 2011, გვ. 56).

პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაობის ფუნქციასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის აზრით, აღნიშნული სპეციალისტის როლი მნიშვნელოვანია მსჯავრდებულისთვის საზოგადოებაში წარმატებული რესოციალიზაციისათვის: „...*ასე მგონია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ადამიანებისადმი დამოკიდებულება უფრო მეტად „მბრალდებელია“, ვიდრე მხარდამჭერი... მგონია, რომ საზოგადოება ნაკლებად განიცდის ამ ადამიანებს...*“ სოციალურ მუშაკთა ნაწილი მსჯავრდებულის საზოგადოებაში ფუნქციონირებას განიხილავს სოციუმში არსებული სტერეოტიპებთან მიმართებით, რაც, სავარაუდოა, რომ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პრობაციონერის ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე. ამავდროულად, პრაქტიკოსები ვერ ასახელებენ კონკრეტულ მექანიზმს, ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც შეუძლიათ მომსახურების მიმღებთან ისეთი მუშაობის წარმართვა, რომლითაც განხორციელდება განმეორებითი დანაშაულისა და ზიანის რისკის პრევენცია საზოგადოების უსაფრთხოების დაცვისთვის. პრაქტიკოსთა მხოლოდ მცირე ნაწილი ასახელებს სოციუმის უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელობას, თუმცა მათთვის სირთულეს წარმოადგენს კონკრეტული მეთოდის, ინტერვენციის დასახელება აღნიშნული მიმართულებით. ამასთანავე, პრაქტიკოსთა მიერ რისკის დონისა და დანაშაულის განმეორებითობის ალბათობის გამოვლენაზე მუშაობა სახელდება, როგორც შეფასების პროცესის ნაწილი, თუმცა სამომავლო ინტერვენციებში უმეტესწილად მოსაზრებელია სარეაბილიტაციო მომსახურებები და, შესაძლებლობის ფარგლებში, ქვეყანაში არსებული გარე მომსახურებები, რასაც ამავდროულად სისტემურ პრობლემებამდეც მივყავართ.

საერთაშორისო გამოცდილებით, შეფასება იყოფა 3 ნაწილად, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და დაცვას, განმეორებითი დანაშაულის შემცირებას, სოციალური ინკლუზიის მხარდაჭერას დანაშაულისგან თავის არიდებისათვის. საზოგადოების უსაფრთხოება და დაცვა გულისხმობს სპეციალისტის მიერ რისკების, მოსალოდნელი ზიანის გამოვლენას, შეფასებასა და განხილვას. რეციდივის შემცირებისთვის ყურადღება გამახვილებულია განმეორებითი დანაშაულის რისკებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რომელიც ამოცნობილ უნდა იქნას მსჯავრდებულთან მომუშავე სპეციალისტის მიერ. რაც შეეხება სოციალური ინკლუზიის საკითხს, ინდივიდს აქვს შესაძლებლობა გაიაზროს გარემოებების გავლენა საკუთარ ცხოვრებაზე, სპეციალისტის მხრიდან უნდა განხორციელდეს მისი საჭიროებების „ადიარება“, ცვლილების გეგმის შედგენა და წვდომის უზრუნველყოფა სათანადო მხარდაჭერისთვის (The Scottish Government, 2010).

სოციალურ მუშაკთა ნაწილი, აღნიშნავს რომ სოციალური მუშაკის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა საჭიროებების სწორად იდენტიფიცირება და ამავდროულად, ცნობიერების შეცვლაზე მუშაობის განხორციელება. ასევე, ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის მოსაზრებით, *„სოციალური მუშაობის პროფესიისა და განსაკუთრებით, ღირებულებების როლი იკვეთება მსჯავრდებულებთან მუშაობისას... პრობაციის ოფიცრები, თითქოს უფრო სამართლებრივ ჭრილში უყურებენ საკითხს, სოციალური მუშაკები, უფრო ფართო ჭრილში აღიქვამენ შემთხვევას“.*

ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი თავის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად მიიჩნევს მომსახურების მიწოდებას, მათ შორის რეაბილიტაციის მიმართულებით, ასევე, გადამისამართების როლს. საკუთარ პროფესიულ როლთან დაკავშირებით, სოციალური მუშაკების მხოლოდ ნაწილი ასახელებს ზიანის რისკის შემცირებასა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მნიშვნელობას. პრაქტიკოს სპეციალისტთა ნაწილი ახსენებს დანაშაულებრივი ქცევის ცვლილებას. ასევე, აღნიშნული სპეციალისტთა ნაწილის მიერ კონკრეტულად არ ხდება სახელდება იმისა, რომ პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაობის განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია დანაშაულებრივი ქცევის ცვლილებაზე მუშაობაა. ისინი, ქცევის ცვლილების მიმართულებით უმეტესად ასახელებენ სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებას, თუმცა

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს, სისტემაში არ იზომება სარეაბილიტაციო პროგრამების წარმატების მაჩვენებელი კონკრეტულ შემთხვევებთან მიმართებით. ზოგიერთ შემთხვევაში, სირთულეს წარმოადგენს სპეციალისტის მიერ საკუთარი ფუნქციების დასახელება ზიანის რისკის შემცირებისა და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებისთვის, თუმცა მათ მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები ნაწილობრივ მოიცავს აღნიშნულ მიმართულებებსაც.

სოციალური მუშაკის როლთან დაკავშირებით, ასევე, მნიშვნელოვანია შუა მენეჯერული რგოლის მოსაზრებები და მათი დამოკიდებულება პრაქტიკოს სპეციალისტთა ფუნქციასთან დაკავშირებით. აღნიშნული მენეჯერული რგოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ *„თუ შეიძლება, რომ 2 ნაწილად გავყოთ, პირველი არის მხარდაჭერა, რადგან სისტემაში როცა მოდის ადამიანი აქვს განცდა რომ დასჯაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულები... მეორე ფუნქცია არის რისკის შემცირება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ ვმუშაობთ რისკ-ჯგუფებთან...“* სპეციალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ზიანის რისკის შეფასებას, სრულწლოვნების შემთხვევაში, ახდენს პრობაციის ოფიცერი, დანაშაულის ჩადენის განმეორებით აღბათობას - სოციალური მუშაკი. სოციალური მუშაკების ერთ-ერთი პროფესიული ზედამხედველი აღნიშნავს, რომ მუშაობის დაწყებიდან *„6 თვის შემდეგ შესაძლოა მოხდენს რისკის დონის გადახედვას, ეს გაწერილია N 502 ბრძანებაშიც, თუმცა ჩვენი პრაქტიკა ამ წამს სხვანაირია. პრაქტიკამ აჩვენა, რომ დატვირთვა სოციალურ მუშაკებზე იმდენად მაღალია, რომ რთულია 6 თვის შემდეგ სპეციალისტს მოთხოვო გადახედვა. სანამ სოციალური მუშაკებით არ შეივსება ჩვენი სისტემა, იქამდე, აღბათ გაგვიჭირდება მოვთხოვოთ სპეციალისტს 6 თვეში გადაფასება“.* საერთაშორისო პრაქტიკით, რისკისა და საჭიროებების შეფასება ხდება სისტემატურად სისტემებში, სადაც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო პროგრამები, რათა შეფასებულ იქნას პირის მიერ განმეორებითი დანაშაულის განხორციელების ალბათობა და განხორციელდეს შესაბამისი ჩარევა. ასევე, სწორად განსაზღვრულ რისკებსა და საჭიროებებს, სპეციალისტთა მიერ ქცევის ცვლილებისკენ შერჩეული პროგრამები ემპირიულად უნდა დაუკავშირდეს დანაშაულის განმეორების შემცირებას (Hanson & Bourgon, 2017).

ინტერვიუების შედეგად გამოკვეთილი ინფორმაციით, ადგილობრივ პრაქტიკაში არსებული მწირი ადამიანური რესურსებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით, ვერ ხორციელდება სისტემატური მუშაობა რისკის მართვასა და არსებული RNA ინსტრუმენტით ზიანის რისკის დონისა და დანაშაულის ჩადენის ალბათობით ხელახალი შეფასება. აღნიშნულთან დაკავშირებით, შუა მენეჯერული რგოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი აწარმოებს ჩანაწერებს, რომლის მეშვეობითაც შესაძლოა მოახდინოს გადასინჯვა, მაგრამ არა თვითონ ინსტრუმენტით. აღნიშნული საკითხის სირთულე და სპეციფიკა, სავარაუდოა, რომ მნიშვნელოვნად უკავშირდებოდეს კვალიფიციური სპეციალისტების სათანადო რაოდენობის საჭიროებას პრობაციის სისტემაში. ასევე, სოციალურ მუშაკთა ერთ-ერთი პროფესიული ზედამხედველის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების მხარდამჭერი და პოზიტიური მხარე მსჯავრდებულებთან მიმართებით.

რაც შეეხება, პრობაციის ბიუროს უფროსების მოსაზრებას, ისინი აღნიშნავენ, რომ სოციალურ მუშაკებთან პირისპირ კომუნიკაცია არ აქვთ. ამ ეტაპზე, აღნიშნული მიმართულებით, გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომ მენეჯერული თვალსაზრისით, სოციალური მუშაკები არ არიან პრობაციის ბიუროს უფროსებს დაქვემდებარებულები. ერთ-ერთი მათგანის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, *„შემთხვევის მმართველი არის პრობაციის ბიუროს ოფიცერი. სტანდარტულ შემთხვევებში სოციალურ მუშაკებთან კომუნიკაცია არ გვაქვს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ კი არის ამის საჭიროება და ოფიცერი ხედავს ჩართვის საჭიროებას, მაშინ ვერთვებით“*. პრობაციის ბიუროს ერთ-ერთი უფროსის მოსაზრებით, *„ზოგადად, სოციალური მუშაკის როლი არის საჭიროებების დადგენა, მათ მოგვარებაში ხელშეწყობა და ბენეფიციარის უნარების განვითარება“*. ამასთანავე, პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსის მოსაზრებით, *„სოციალური მუშაკის ძირითადი მიზანი არის რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია“*. აღნიშნული სპეციალისტი ყურადღებას ამახვილებს ზიანის რისკის იდენტიფიცირებაზე, შეფასების მექანიზმზე, სოციალური მუშაკისა და პრობაციის ბიუროს ოფიცერის მოვალეობებზე, თუმცა ცალკეულად არ აკონკრეტებს სოციალური მუშაკის როლის მნიშვნელობას რისკის შემცირებისა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციისთვის. ინტერვიუებისას გამოკვეთილი ინფორმაციით, პრობაციის ბიუროს

უფროსები, სავარაუდოა, რომ უფრო მეტად ორიენტირებულნი არიან პრობაციის ბიუროს ოფიცრებთან კომუნიკაციაზე, ასევე, ასახლებენ, რომ სოციალური მუშაობის განვითარება მნიშვნელოვანია პრობაციის სისტემაში, თუმცა, მათ მიერ არ ხდება სახელდება იმისა, თუ რა როლი აქვს ამ სისტემაში სოციალური მუშაობის სფეროსა და მის წარმომადგენელს. სოციალური მუშაკის ფუნქციის შესახებ კითხვარში არსებულ კითხვებთან მიმართებით, ისინი თვლიან, რომ კონკრეტული კითხვები მხოლოდ სოციალურ მუშაკებს მიემართებათ და არა მათ, როგორც პრობაციის ბიუროს უფროსებს. სავარაუდოა, რომ პრობაციის ბიუროების უფროსებისთვის სირთულეს წარმოადგენს აღნიშნული სპეციალისტის როლისა და ფუნქციის სიღრმისეულად გააზრება მსჯავრდებულებთან მიმართებით.

აღნიშნული საკითხის გარდა, საყურადღებოა, რომ დღეს პრობაციის ბიუროს ყველა ფილიალში არ არის სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, რის გამოც შემთხვევებზე უმეტესი დატვირთვით მუშაობს პრობაციის ბიუროს ოფიცერი, რომელსაც ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, არ აკისრია სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევის ვალდებულება. ერთ-ერთი რეგიონის პრობაციის ბიუროს უფროსის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მის რეგიონულ ერთეულებში სრულად არ არის შევსებული სოციალურ მუშაკთა რაოდენობა, რის გამოც ზოგიერთ შემთხვევაზე უმეტესად პრობაციის ბიუროს ოფიცრები მუშაობენ. ამ მიმართულებით განსაკუთრებით საყურადღებოა არასრულწლოვანთა შემთხვევები. პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არასრულწლოვნის შემთხვევაში ადგილზე სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის რესურსის არარსებობის მიუხედავად, სხვა ტერიტორიული ერთეულის სოციალური მუშაკი აწარმოებს მუშაობას. ლიტერატურის მიხედვით, პრობაციის სისტემაში კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა შემთხვევებში განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და ზიანის რისკის შემცირების მიმართულებით, სოციალური მუშაკი, როგორც წესი, რისკისა და საჭიროებების შეფასების პროცესში ერთვება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის აღრიცხვაზე აყვანის დღიდან. ის პრობაციის ოფიცრებთან და ფსიქოლოგთან ერთად ახორციელებს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას (არსოშვილი & მიქანაძე, 2015).

რაც შეეხება, უფროსი მენეჯერული რგოლის წარმომადგენლის მოსაზრებას, ის ყურადღებას ამახვილებს სისტემაში სოციალური მუშაკის როლის დაფუძნებასა და განვითარებაზე: „სოციალური მუშაკი არ იყო სისტემაში 2010 წლამდე, არც პრობაციის, არც პენიტენციურ სისტემაში... ესეც იყო გამომწვევი[სირთულეების], რადგან სისტემას შეწინააღმდეგებას თუ არ უწევს ისეთი ჰუმანური პროფესიის წარმომადგენელი, როგორც არის სოციალური მუშაკი, სისტემაში ხდება ასეთი რაღაცები[პრობლემები]... და სოციალური მუშაკების შესვლით დაიწყო სისტემის ჰუმანიზაცია...“ უფროსი მენეჯერული რგოლის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაკის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ბიო-ფსიქო-სოციალური საჭიროებების კომპლექსური შეფასება, რაც სჭირდება მას მიკრო და მაკრო დონეზე რელევანტური მუშაობის წარსამართავად. ამასთანავე, სპეციალისტი ყურადღებას ამახვილებს პენიტენციური დაწესებულებიდან მსჯავრდებულის განთავისუფლებაზე, რომელსაც „დაწესებულების გარეთ უნდა დახვდეს შესაბამისი გარემო რეაბილიტაციარესოციალიზაციისათვის“. სპეციალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „სოციალური მუშაკი ამზადებს გარკვეულ ბაზას იმისთვის, რომ ოჯახმა მიიღოს მსჯავრდებული დაწესებულებიდან განთავისუფლების შემდეგ. სამწუხაროდ, გამოწვევაა ჩვენთვის სათანადო რაოდენობის კადრების არსებობა“. ასევე, აღნიშნული სპეციალისტი თვლის, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფომ და სოციალურმა მუშაკმა სათანადოდ იზრუნოს თითოეულ მსჯავრდებულზე, რომელიც თავისუფლდება პენიტენციური სისტემიდან. ადგილობრივი კვლევის მიხედვით, პენიტენციურ და პრობაციის სისტემებს შორის არსებული „ჩავარდნა“ აფერხებს მსჯავრდებულისთვის სათანადო მუშაობის გაწევას. როგორც პრობაციის, ასევე პენიტენციური სამსახურის სისტემაში სოციალური მუშაკების საქმიანობის გაანალიზებისას სხვა ფაქტორებთან ერთად გასათვალისწინებელია სოციალური მუშაკთა და მსჯავრდებულთა თანაფარდობა, სპეციალისტთა კვალიფიკაცია (წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო ცენტრი, 2011, გვ. 56).

რაც შეეხება სფეროს ექსპერტთა მოსაზრებას სოციალური მუშაკის როლზე პრობაციის სისტემაში, ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ „კონცეპტუალურად სოციალური მუშაკის როლი მართლმსაჯულების სისტემაში არის სწორედ დანაშაულის

გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირება და მათზე მუშაობა. პრობაციის სისტემაში დღეს კონკრეტული მეთოდოლოგიაა დანერგილი ზიანის რისკის, დანაშაულის განმეორებითობის ალბათობის შეფასებისთვის... სპეციფიური დანაშაულის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და მათზე მუშაობა არის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია“.

სფეროს ექსპერტი ასევე ყურადღებას ამახვილებს ისტორიულ პერსპექტივაზე, სადაც წარსული გამოცდილების გათვალისწინებით სხვა მიდგომები დომინირებდა მსჯავრდებულებთან მიმართებით. „ამ სისტემაში დომინირებდა სასჯელზე ორიენტირებული მიდგომები. შესაბამისად, ამ პროფესიისთვის პრობაციის სისტემაში არის გამოწვევა, რომ სწორად შეიყვანოს მისი როლი ამ სისტემაში“. ასევე, სფეროს ექსპერტი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია სოციალურმა მუშაკმა დომინანტური გახადოს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი და პროფესიული მიდგომები მომსახურების მიმღებებთან მუშაობისთვის: „სასჯელზე ორიენტირებული მიდგომიდან სისტემა ნელ-ნელა გადაეწეოს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე... ადგილობრივი და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოები, სისტემაც უბიძგებს შესაბამისი მიმართულებით მუშაობაზე... განსაკუთრებით ეს იგრძნობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში... აქცენტი, რა თქმა უნდა, ამავდროულად კეთდება სრულწლოვან პირებზეც...“

სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს სოციალური მუშაკის როლსა და სოციალური მუშაობის სფეროს მნიშვნელობაზე სასჯელსრულების, მათ შორის პრობაციის სისტემაში: „სისტემის სტუმრებისთვის [მომსახურების მიმღები პირები] უდიდესი მნიშვნელობა აქვს[სოციალური მუშაკის არსებობას] მათი ინდივიდუალური მხარდაჭერისთვის, გამოწვევების დაძლევაში ხელშეწყობისთვის, დაკავშირებისთვის გარე სამყაროსთან მით უფრო, თუ სასჯელსრულების ნაწილშია ადამიანი, გარემოს შემზადებისთვის...“

სპეციალისტი აღნიშნავს, რომ სოციალურ მუშაკს ბევრი მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია აქვს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სისტემური ბარიერების დაძლევისთვის. ამასთანავე, სფეროს ექსპერტი ხაზს უსვამს, როგორც მომსახურების მიმღების, ასევე საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელობასა და ამავდროულად, სფეროს სპეციფიკას: „[სპეციალისტის მიერ მნიშვნელოვანია] მხარდაჭერის, შიდა და გარე რესურსების

იდენტიფიცირების, დროში და სივრცეში სწორად დაორიენტირების ხელშეწყობა, რეალისტური მოლოდინების შექმნა...“ ასევე, ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის მიერ რისკებზე მუშაობის მნიშვნელობაზე: „...გარკვეული გარანტია საზოგადოებისთვის, რომ მისი[სოციალური მუშაკის] დასკვნით, თემში დაბრუნებული ადამიანი არ არის რისკის შემცველი მათი [თემის] უსაფრთხოებისათვის“.

3.2. რისკისა და საჭიროებების შეფასება

რესპონდენტთა ინტერვიუებზე დაყრდნობით, კვლევის მიმდინარეობისას გამოკვეთილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პრობაციის სისტემაში მყოფ მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასება. კერძოდ, აღნიშნულ საკითხზე საუბრისას, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები ყურადღებას ამახვილებენ პრობაციის სისტემაში დანერგილ RNA ინსტრუმენტზე, რომლის მიხედვითაც ქულობრივი სისტემით ხდება ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორებითობის ალბათობის განსაზღვრა.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, პრობაციის სისტემაში არსებულ „რისკი-საჭიროება-რეაგირების“(RNR) პრინციპსა და მის პრაქტიკაში დაცვასთან დაკავშირებით, სოციალურ მუშაკთა ნაწილი აღნიშნავს, რომ სწორედ დანერგილი ინსტრუმენტის მეშვეობით არის შესაძლებელი რისკებისა და საჭიროებების სწორად გამოვლენა და შემდეგ შესაბამისი ინტერვენციის დაგეგმვა. აღნიშნულ პრინციპთან დაკავშირებით, რეაგირების ნაწილში პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები უმეტესად ასახელებენ შიდა სარეაბილიტაციო მომსახურებების შეთავაზებასა და არსებულ გარე მომსახურებებს. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საშუალო და მაღალი რისკის გამოვლენის შემთხვევაში, პრობაციის ოფიცერი შემთხვევას ამისამართებს სოციალურ მუშაკთან და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგთან. დაბალი რისკის შემთხვევაში, საქმე რჩება პრობაციის ოფიცერთან და ის აგრძელებს შემთხვევაზე მუშაობას. გასათვალისწინებელია, რომ RNA ინსტრუმენტი თავად „უჩვენებს“ პრობაციის ოფიცერს რისკის ქულობრივ მაჩვენებელსა და შესაბამის სპეციალისტთან გადამისამართების საჭიროებას. პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე, RNA ინსტრუმენტით მუშაობა

ხორციელდება სრულწლოვან მსჯავრდებულებთან. რაც შეეხება, არასრულწლოვნებს, მათთან მუშაობა ხორციელდება სოციალური მუშაკის მიერ.

პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ზედამხედველობის მეშვეობით განსაზღვრავს მომსახურების მიმღებთა ახალ საჭიროებებს. ზედამხედველობაში სპეციალისტები მოიაზრებენ პრობაციონერთან და მის ოჯახის წევრებთან კომუნიკაციას, თუმცა აღნიშნული ზედამხედველობის ნაწილში სპეციალისტები ნაკლებად გამოყოფენ კონტროლსა და კონტროლისათვის საჭირო ინსტრუმენტების/მექანიზმების არსებობის საჭიროებას. 18 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან დაკავშირებით, სირთულეს წარმოადგენს ის საკითხი, რომ ჯერ-ჯერობით არასრულწლოვანთა რისკი და საჭიროებები არ ფასდება ისეთივე ინსტრუმენტით, როგორც სრულწლოვნების შემთხვევაში RNA-ის მეშვეობით. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ პრაქტიკაში მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს რისკისა და საჭიროებების სწორად განსაზღვრა და შემდეგ შესაბამისი ინტერვენციის დაგეგმვა. სათანადო ინსტრუმენტების გარეშე, სავარაუდოა, რომ სწორად ვერ იქნას იდენტიფიცირებული არასრულწლოვნის ზიანის რისკი და დანაშაულის განმეორებითობით ჩადების ალბათობა. არსებული მტკიცებულებების მიხედვით, რისკისა და საჭიროებების შეფასება წარმოადგენს ეფექტური ცვლილების, სარეაბილიტაციო ინიციატივების „საგზაო რუქას“. როდესაც სწორად იქნება განსაზღვრული რისკები და საჭიროებები, ქცევის ცვლილებისკენ მიმართული პროგრამები ემპირიულად უნდა დაუკავშირდეს დანაშაულის განმეორების შემცირებას (Hanson & Bourgon, 2017).

პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილი, მუშაობის პროცესში პრიორიტეტულ მიმართულებად ასახელებს არასრულწლოვანთა შემთხვევებს. ასევე, სპეციალისტთა უმეტესობა აღნიშნავს ოჯახის როლსა და მათთან მუშაობის საჭიროებას. ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის აზრით, ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროებას წარმოადგენს სისტემის შიგნით ისეთი სპეციალისტის არსებობა, როგორც არის ფსიქიატრი. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, პრობაციისა და სხვა სისტემებში სხვადასხვა ტიპის მომსახურების მიმწოდებლები არიან გარე პირები/ორგანიზაციები. სისხლის სამართლის სისტემა მოიცავს, როგორც საჯარო, ასევე

კერძო სექტორში არსებულ მომსახურებებს, სააგენტოებს. სპეციალისტები სოციალურ მომსახურებას აწვდიან ისეთ სახელმწიფო და ფედერალურ დაწესებულებებს, რომლებიც მუშაობენ მსჯავრდებულთათვის სარეაბილიტაციო პროგრამებზე, პენიტენციურ დაწესებულებებს, პრობაციის სააგენტოებს, ფედერალურ, სახელმწიფო და ადგილობრივ სასამართლოებს, საზოგადოებაში დაფუძნებულ არაკომერციულ სააგენტოებს, რომლებიც ემსახურებიან დამნაშავეებისთვის მომსახურების მიწოდებას, ჯანდაცვის პირველადი რგოლის პროვაიდერებს, რომლებიც ემსახურებიან დაბალი შემოსავლის მქონე, დანაშაულის ჩამდენ პირებს და ა.შ. სოციალურ მუშაკებთან ერთად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, მომუშავე პირებს წარმოადგენენ ისეთი პროფესიის წარმომადგენლები, როგორებიც არიან: სახალხო დამცველი, ბიო-ფსიქო-სოციალური მომსახურების მიმწოდებელი პროვაიდერები, როგორცაა სამედიცინო პერსონალი, ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტები და ა.შ. (Kelly & Clark, 2010).

ინტერვენციის განხორციელების კუთხით, სოციალურ მუშაკთა ნაწილი უმეტესად აღნიშნავს მწირ გარე რესურსებს, რომელიც, მათი შეფასებით, ამ ეტაპზე არ არის საკმარისი. ასევე, სოციალური მუშაკები საუბრობენ მომსახურების დროულად მიწოდების სირთულეებზე. ერთ-ერთი სპეციალისტი აღნიშნავს, რომ შესაძლოა ვერ იქნას მიწოდებული კონკრეტული რესურსი ინდივიდუალური საჭიროების დაკმაყოფილებისთვის და ამის ერთ-ერთ მიზეზად მომსახურებებისა და ადამიანური რესურსების სიმწირეს ასახელებს. სპეციალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სოციალური მუშაკების დატვირთვით გათვალისწინებით, მისი მუშაობა მთლიანად მიმართულია შემთხვევების პრიორიტეტულობაზე დროითი ფაქტორის გათვალისწინებით. ამ კუთხით, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი მოიზრებს ვადებს, რომელიც მას აქვს კონკრეტული შემთხვევის შეფასებისთვის. შემთხვევებზე მუშაობის პროცესში, საერთაშორისო გამოცდილება განსხვავდება ადგილობრივი პრაქტიკისგან იმ თვალსაზრისით, რომ შემთხვევის მმართველი და მომსახურების მიმწოდებელი, ქვეყანაში არსებულ სხვა რესურსებთან ერთად, არის პრობაციის ოფიცერი, რომელსაც უნდა ჰქონდეს მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი ადამიანური მომსახურების სფეროში და ასევე, უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყნის სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მოთხოვნებს. კერძოდ, ისინი აღჭურვილნი უნდა იყვნენ შესაბამისი ცოდნითა და

უნარებით სამართალდამრღვევებთან, ოჯახებთან, მოსამართლეებთან, სამართალდამცველებთან და მკურნალობის სფეროში სპეციალისტებთან რეგულარული კომუნიკაციისთვის. ამერიკის შეერთებულ შტატების მაგალითზე, პრობაციის ოფიცრები ქმნიან მკურნალობის ინდივიდუალურ გეგმას პირისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევისთვის, რათა მომსახურების მიმღებებმა გაიარონ რეაბილიტაციის კურსი. მათი მომსახურების მეშვეობით ბენეფიციარებს სისტემა სთავაზობს ტრენინგების რესურსს, ნარკოლოგიური შემოწმების მეთვალყურეობას, ქცევის ცვლილებაზე მუშაობას, რათა თავიდან იქნას აცილებული განმეორებითი დანაშაული (Social Work Degree Guide, 2021).

როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოცდილებით, პრობაციის სისტემაში სპეციალისტები დიდი ხანია ისეთი გამოწვევების წინაშე დგანან, როგორცაა დიდი რაოდენობით სამუშაო დატვირთვა, შეზღუდული რესურსები, დამნაშავეთა მართვის სირთულეები და დანაშაულის განმეორების მაჩვენებელთან დაკავშირებული საფრთხე, რომელიც ამავედროულად კავშირშია საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან. ადგილობრივი პრაქტიკისგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე, დღეისათვის, პრობაციის ოფიცრის როლი არის უკვე იმ ეტაპზე, რომ მის მიერ განხორციელდეს რეაბილიტაციისა და კანონის აღსრულების კონტროლი, ასევე მასშტაბური ცვლილებების განხორციელება საზოგადოებაში. პრობაციის ოფიცრების ფუნქციაა დააბალანსონ სამართალდამცავი ორგანოების ჩარევა და პარალელურად, სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება, იმუშაონ დანაშაულის განმეორების შემცირებაზე და ა.შ. (Hsieh & Hafoca, 2015). რაც შეეხება, პრობაციის ოფიცრის დავალებების სპეციფიკურ პროპორციებს სამუშაო დატვირთვის მიხედვით, აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ოფიცრების დავალებების მხოლოდ 26% ითვალისწინებდა პრობაციონერებთან პირისპირ კონტაქტს; სპეციალიზებული ოფიცრები უფრო მეტად აკონტროლებდნენ მაღალი რისკის მქონე პირებს. სასამართლოს ოფიცრებს პრობაციონერებთან პირისპირ კონტაქტის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ აღნიშნულ პირებს შორის (Martin, 2020).

ინტერვიუების შედეგად გამოკვეთილი ინფორმაციით, სოციალურ მუშაკთა ნაწილი ასახელებს, რომ ზოგიერთი მათგანის დატვირთვა 100-ზე მეტი შემთხვევა

შეიძლება იყოს, რისი გათვალისწინებითაც სპეციალისტი სათანადო რესურსს ვერ მიმართავს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ნაწილზე. ასევე, რისკებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიმართულებით, საყურადღებოა, რომ მაღალი რისკის შემთხვევაში, საქმე გადადის ფსიქოლოგთან, რომელიც მომსახურების მიმღებს აწვდის სარეაბილიტაციო მომსახურებას. სავარაუდოა, რომ რისკების მიხედვით, სამუშაოს „დანაწევრება“ ერთგვარად ხელისშემშლელი ფაქტორი იყოს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისა და კონტროლის პროცესის ერთობლივად განხორციელებისთვის, თუმცა ადგილობრივი პრაქტიკა და მენეჯმენტის სტრუქტურა ნაწილობრივ განსხვავებულია დასავლური გამოცდილებისგან.

პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დაბალი რისკის შემთხვევაში, უმეტესად საქმე რჩება პრობაციის ბიუროს ოფიცერთან, საშუალო და მაღალი რისკის დონის დადგენის დროს, შემთხვევა გადადის სოციალურ მუშაკთან და მაღალი რისკის შემთხვევაში, უმეტესად პირდაპირ ერთვება ფსიქოლოგი. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის მოხდის გეგმა შემუშავებულია მულტიგუნდის (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, პრობაციის ოფიცერი) მიერ, დასაშვებია, რომ „დანაწევრებული“ მომსახურება ნაკლებად ეფექტიანი იყოს მომსახურების მიმღებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ პრობაციის სისტემის თანამშრომელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სპეციალისტებს ერთმანეთთან აქვთ პროფესიული კომუნიკაცია მსჯავრდებულებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ კვლევასა და შესწავლას.

სოციალურ მუშაკთა ერთ-ერთი პროფესიული ზედამხედველი აღნიშნავს, რომ სოციალური მუშაკის ერთ-ერთი ფუნქციაა რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება. ასევე, მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შემთხვევათა მასობრივი გადასინჯვა რისკის დონის ხელახალი შეფასების მიმართულებით არ განხორციელებულა: *„საჭიროების მიხედვით, თუ შევამჩნევთ, რომ არის სირთულეები, შესაძლებელია გადაისინჯოს და ახლიდან დაიწეროს მსჯავრდებულის გეგმა“.*

რაც შეეხება, სოციალური მუშაკებისთვის ზედამხედველობის გაწევას, სუპერვიზორები აღნიშნავენ, რომ პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა შემთხვევებში

ერთვებიან უმეტესად სუპერვიზიის ყველა დონის მიმართულებით: საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული, მხარდამჭერი, საადვოკატო. ასევე, ისინი აღნიშნავენ, რომ შემთხვევაში მათი ჩართვა ხდება სპეციალისტის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს იმას, რომ რაც უფრო „ახალია“ სოციალური მუშაკი პრობაციის სისტემაში, მით უფრო სისტემატური ხასიათი აქვს პროფესიული ზედამხედველების ჩართულობას. სავარაუდოა, რომ არსებული მწირი რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ ზედამხედველთა აქტიური ჩართულობა უფრო მეტად მიმართული იყოს ახალ კადრებზე და რთულ, პრიორიტეტულ შემთხვევებზე, თუმცა აღნიშნული საკითხი ცალკე მიმართულებით საჭიროებას კვლევასა და შესწავლას.

პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პერიოდულად ხდება რისკის დონის გადასინჯვა: *„ყოფილა შემთხვევები, რომ პირველადი შემთხვევის დროს რისკი მაღალი ან საშუალო ყოფილა და სპეციალისტების მუშაობის შემდეგ, რისკი დადაბლებულა და შემთხვევა გადასულა პრობაციის ოფიცერთან“*. პრობაციის ბიუროს უფროსები რისკის მიმართულებით უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებენ მენეჯმენტის ნაწილზე, რაც გულისხმობს რისკის დონის მიხედვით შესაბამისი სპეციალისტების ჩართვას. მათი მხრიდან, ნაკლებად ხორციელდება სახელდება იმისა, თუ რა არის რისკისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათზე მუშაობის მთავარი მიზანი სოციალური მუშაკის მიერ. პრობაციის ბიუროს ერთ-ერთი ოფიცერის აზრით, *„რისკებისა და საჭიროებების შეფასების მიზანი არის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია“*. რაც შეეხება, პრიორიტეტულ შემთხვევებს მუშაობის პროცესში, პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსი ასახელებს ოჯახში ძალადობის შემთხვევებს, რომელზეც უფრო აქტიურად მიმდინარეობს სპეციალისტთა მუშაობა. არასრულწლოვანზე ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსი ყურადღებას ამახვილებს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ჩართულობის საჭიროებაზე შემთხვევის მიმდინარეობის პროცესში.

უფროსი მენეჯერული რგოლის წარმომადგენელი რისკის იდენტიფიცირების მიმართულებით ასახელებს 3 დონეს: *„პირველი დონე იყო, როდესაც სოციალური მუშაკი*

ინტერვიუს შედეგად ინიშნავდა ინფორმაციას და გარკვეულწილად, სუბიექტიურად მაინც, შეფასებას ახორციელებდა. მეორე დონე იყო უკვე ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენება, ნახევარი შეფასება იყო მაინც სუბიექტური და აღნიშნულზე დაყრდნობით წერდა[სოციალური მუშაკი] შეფასების ანგარიშს. მესამე დონის ინსტრუმენტი, რომელიც ჩვენ ახლა დავამტკიცეთ, არის დეტალური და ინფორმაციული... თუმცა, ჩვენ გვაქვს თვითშეფასების კითხვარი, ტესტები, რომელსაც იყენებს სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი..." ასევე, საყურადღებო საკითხია, ინსტრუმენტის სწორად გამოყენებისთვის რამდენად ხდება სპეციალისტთა გადამზადება და შემდგომ მათი მუშაობის განხორციელება. მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის დეპარტამენტში, უფროსი მენეჯერული რგოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სოციალური მუშაკი გადის 5 დღიან საბაზისო კურსს პრობაციის ოფიცრებთან ერთად, საიდანაც 3 დღე ეთმობა რისკისა და საჭიროებების ინსტრუმენტის დასწავლას. ასევე, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ წელიწადში რამდენჯერმე სპეციალისტები ჩართულები არიან ტრენინგებში, რომლებიც მიმართულია მათი პროფესიული უნარების გაუმჯობესებაზე. ასევე, უფროსი მენეჯერული რგოლის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ არის რეგიონები, სადაც არ არის სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი: „კრიზისულ შემთხვევებში, აუცილებლად ერთვება სოციალური მუშაკი, მიუხედავად იმისა, იმ რეგიონში არის თუ არა აღნიშნული სპეციალისტი“. ასევე, სპეციალისტის მიერ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოიყოფა არასრულწლოვანთა შემთხვევები, რომლის შემთხვევის მმართველიც არის სოციალური მუშაკი.

რაც შეეხება, სფეროს ექსპერტის მოსაზრებას, მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური მრავალფეროვნება სოციალური მუშაკისთვის: „ჩვენთან სოციალური მუშაობა უმეტესად შემთხვევის მართვასთან ასოცირდება, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ მუშაკს ბევრი სხვა მეთოდი სჭირდება მუშაობისას“. ასევე, სფეროს ექსპერტი აღნიშნავს, რომ „პრობაციის სოციალურ მუშაკს ცოტა უკეთეს მდგომარეობაში აყენებს RNA ინსტრუმენტის, სარეაბილიტაციო პროგრამების არსებობა და მათი გამოყენება... მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მუშაობა მხოლოდ შემთხვევის მენეჯმენტი არ იყოს... ასევე, ამ სისტემაში სხვა პროფილის ბენეფიციარები გვყავს და კონკრეტული სპეციფიკა

აქვს ამ სფეროს“: სფეროს ექსპერტი აღნიშნავს, რომ სოციალურ მუშაკებს, რომლებიც ახლა იწყებენ პროფესიული პრაქტიკის განხორციელებას, მათ აუცილებლად სჭირდებათ სპეციალიზაცია ამ მიმართულებით. ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს იუსტიციის სასწავლო ცენტრზე, რომელიც გამოიყენება სპეციალისტთა გადამზადებისათვის. სპეციალისტი მნიშვნელოვან საკითხად ასახელებს იმას, თუ როგორ გააგრძელებს პრობაციის სისტემა შიდა უწყვეტ განათლებას მას შემდეგ, რაც დონორები „ჩამოშორდებიან“ სისტემას. სპეციალისტი აღნიშნავს იმასაც, რომ მართლმსაჯულების სფეროში საერთაშორისო მხარდაჭერა და დახმარება ამ ეტაპზე, საკმაოდ აქტიურია.

სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორებითობის ალბათობის საკითხზე. *„მაღალი რისკის შემთხვევები უფრო პრიორიტეტულია. დღეს, სისტემაში მექანიზმი არის ის, რომ ჩართო ფსიქოლოგი და დაიხმარო პროფესიონალი მუშაობის მიმდინარეობისას“*. ასევე, სპეციალისტი ყურადღებას ამახვილებს, რომ *„თუ მოტივაცია და მზაობა ნაკლები აქვს პრობაციონერს, მთლად ეფექტური არ არის ხოლმე მუშაობა. ამიტომ, ძალიან გასათვალისწინებელია სამიზნე ჯგუფის სპეციფიკა. შეიძლება, ზიანის რისკი არ იყოს მაღალი, მაგრამ დანაშაულის განმეორებითობის ალბათობას ჰქონდეს მაღალი მაჩვენებელი“*. სფეროს ექსპერტი აღნიშნავს, რომ *„მთელი იდეა რისკის კლასიფიკაციის არის პრიორიტეტული ჯგუფების გამოყოფა და მათთან ინტენსიური მუშაობის წარმართვა“*. ამასთანავე, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ ინტენსიური მუშაობა ყველასთან მნიშვნელოვანია, რადგან ადვილი შესაძლებელია ზიანის რისკის/დანაშაულის განმეორებითობის ალბათობის დაბალი დონე ავიდეს მაღალ დონეზე. სფეროს ექსპერტის შეფასებით, გაცილებით მეტი რესურსი იხარჯება შეფასების ეტაპზე და აღარ რჩება სათანადო დრო შესაბამისი ინტერვენციისა და რეაბილიტაციისთვის: *„თითქოს სისტემა გადასულია კრიზისის მოგვარებაზე... ნაკლები სივრცე რჩება სარეაბილიტაციო მუშაობისთვის“*. სფეროს ექსპერტის აზრით, აღნიშნული მნიშვნელოვნად გამოწვეულია მცირე რესურსითა და შემთხვევების დიდი რაოდენობით.

სფეროს ერთ-ერთი ექსპერტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პრობაციის სისტემაში დანერგილია მექანიზმები რისკებისა და საჭიროებების შეფასებისთვის: *„[განისაზღვრება] რისკი ან ზიანი, როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვათა მიმართ,*

რომელიც ფასდება სპეციალურ ინდიკატორებზე დაყრდნობით, თვლის სისტემით... რომელიც ევროკავშირის პროგრამამ კიდევ უფრო დახვეწა“. სპეციალისტი აღნიშნავს, რომ ეს მექანიზმი მეტ-ნაკლებად სიზუსტის მაჩვენებლით აიდენტიფიცირებს ზიანის ან დანაშაულის განმეორების რისკის ალბათობას (RNA ინსტრუმენტი). რაც შეეხება, რისკის მიხედვით მუშაობის პროცესში პრიორიტეტული შემთხვევების გამოყოფას, სფეროს ექსპერტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სისტემის აწყობის ეტაპზე შესაძლებელი იყო პრაქტიკაში პრიორიტეტული ჯგუფების გამოყოფა (სპეციალისტის სფეროში მოღვაწეობის პერიოდი): „...მნიშვნელოვანია, რომ იყოს[პრიორიტეტული შემთხვევების გამოყოფა], რადგან სპეციალისტები არც ისე ბევრნი არიან, სპეციალისტთა თანაფარდობა ბენეფიციარებთან არც ისე მაღალია, თუ კი მკვეთრად პრიორიტიზებული არ იქნება[შემთხვევები]... სხვაგვარად სამუშაო ვერ წარიმართება“.

3.3. მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია

პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს სარეაბილიტაციო მომსახურებაზე იმ შემთხვევებში, როდესაც მსჯავრდებულებს ნაკლებად აქვთ სპეციალისტებთან კომუნიკაციის სურვილი: „ძალით ადამიანს ვერ დასვა, თუნდაც ერთი საათი... სოციალურ მუშაკს სხვა პროფესიული ურთიერთობები გჭირდება, რომ ეს ადამიანები წამოვიდნენ თანამშრომლობაზე“. ერთ-ერთი სპეციალისტი აღნიშნავს, რომ ჰქონია მსჯავრდებულთან თანამშრომლობის სირთულეები: „...ერთეული შემთხვევები... ძირითადად არ არიან ხოლმე წინააღმდეგები სარეაბილიტაციო მომსახურების წარმართვის“. რაც შეეხება, სარეაბილიტაციო მომსახურების განსაზღვრას, სპეციალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული მიმდინარეობს სოციალური მუშაკის აქტიური ჩართულობით.

პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილი აღნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, კომუნიკაცია აქვთ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებთან მსჯავრდებულზე ინფორმაციის მიღების მიზნით, თუმცა, აღნიშნული არ ატარებს სისტემატურ ხასიათს. ერთ-ერთი სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ თავად მსჯავრდებულისგან იღებს ინფორმაციას იმ სარეაბილიტაციო პროგრამების შესახებ, რომელშიც პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის დროს იყო ბენეფიციარი ჩართული, თუმცა აღნიშნული არასაკმარისია მომსახურების მიმღების შესახებ დეტალური

ინფორმაციის მიღებისთვის. პრაქტიკოსის სოციალური მუშაკები აღნიშნავენ იმასაც, რომ ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს, რათა შედგეს სისტემური კავშირი პრობაციისა და პენიტენციური სამსახურის სისტემებს შორის. ერთ-ერთი სპეციალისტი აღნიშნავს, რომ პრაქტიკაში არ ჰქონია შემთხვევა, რომ კონკრეტული ინფორმაცია მიწოდებულ ყოფილიყო საპატიმრო სასჯელაღსრულების დაწესებულების მხრიდან. ამასთანავე, გარდამავალ მენეჯმენტის კუთხით პენიტენციურ და პრობაციის სისტემებს შორის, ერთ-ერთ სოციალურ მუშაკს აქვს გამოცდილება, რომ კონკრეტული დოკუმენტაცია მოწოდებული ყოფილიყო არასრულწლოვან მსჯავრდებულთან მიმართებით. ამასთანავე, ამავე სოციალურ მუშაკს კომუნიკაცია ჰქონდა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებთან, თუმცა ამ ეტაპზე, ურთიერთთანამშრომლობას ყველა შემთხვევაზე არ აქვს სისტემატური ხასიათი.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რისკის სწორად შეფასებისა და მისი მართვისთვის მნიშვნელოვანია მულტიუწყებრივი სისტემატური თანამშრომლობა და ასევე, შემთხვევების პრიორიტეტულობის განსაზღვრა. კერძოდ, საჭიროებას წარმოადგენს გაფართოებული მონიტორინგი და მეთვალყურეობა იმ სამართალდამრღვევ პირებზე, რომლებიც საზოგადოებაში ზიანის მიყენების მაღალ საფრთხეს წარმოადგენენ ციხის დატოვების შემდეგ. აღნიშნული მოიცავს რეგისტრაციას, „სათვალთვალო სისტემების“ გამოყენებას, ინტენსიურ ჩარევას, შემზღვევადი პირობებისა და კონტროლის ზომების მიღებას (Ministry of Justice , 2009). ადგილობრივი პრაქტიკის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, სისტემატური ხასიათი არა აქვს პენიტენციური და პრობაციის სისტემების ურთიერთთანამშრომლობას, რაც ერთგვარად ხელისშემშლელი ფაქტორია მსჯავრდებულთან მუშაობის განხორციელების პროცესში. ამასთანავე, ინტერვიუებზე დაყრდნობით, არსებული პრაქტიკიდან იკვეთება, რომ სპეციალისტთა ნაწილი ნაკლებად ფლობს/ზოგიერთ შემთხვევაში არ ფლობს ინფორმაციას კონტროლის მექანიზმების შესახებ.

რაც შეეხება, რეაბილიტაციის პროცესის წარმატების გაზომვას, პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილი ასახელებს განმეორებითი დანაშაულის სტატისტიკას, რომელსაც აღრიცხავს სააგენტო, თუმცა საყურადღებოა, რომ უშუალო ინსტრუმენტი სარეაბილიტაციო პროგრამის წარმატებულობის გაზომვისათვის, ამ ეტაპზე, არ

არსებობს. ასევე, აღნიშნული მიმართულებით, საყურადღებოა საერთაშორისო გამოცდილება, რომლის მიხედვითაც განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი არ არის ერთადერთი საზომი სარეაბილიტაციო პროგრამის წარმატებისა. მკვლევარებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, თუ რა მუშაობს ინდივიდებისთვის კონკრეტულ გარემოებებში. კლინგელი გვთავაზობს მიზეზებს, რის გამოც განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი შეიძლება იყოს ცუდი საზომი რეაბილიტაციის წარმატების შეფასებისთვის და მხარს უჭერს უფრო ნიუანსურ მაჩვენებლებს (Huebner & Inzana, 2020). კლინგელის მიხედვით, განმეორებითი დანაშაულის მიმართულებით მონაცემები, რომლებზეც მახვილდება ყურადღება, ავლენს მხოლოდ იმ ქცევას, რის გამოც ადამიანმა მიიპყრო სამართალდამცავების ყურადღება და არ ავლენს იმას, როგორ იქცევა ადამიანი ქუჩასა თუ სახლში. ძირითადი მონაცემები შესაძლოა დამახინჯებული იყოს პოლიციის, ცვლილების მიმართულებით ზედამხედველების შეუსაბამო პრაქტიკით. ადამიანის კეთილდღეობის მარკერები, შესაძლოა არ იყოს რაოდენობრივი მაჩვენებელი, თუმცა ისინი არანაკლებ მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ჩარევის განხორციელებისათვის, რის შედეგადაც შეიძლება გაუმჯობესდეს/გაუარესდეს ადამიანთა მდგომარეობა (Klinge , 2019).

ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის აზრით, „[*ბენეფიციართა*] უმეტესობას გამოვლილი აქვს სასჯელაღსრულების დაწესებულება, რასაც შესაძლებელია პოზიტიური გავლენა ჰქონდეს გააზრების მიმართულებით, თუ შეიძლება ასე ეწოდოს... მიხვდნენ, რომ თუნდაც, ერთი შეხედვით „მსუქებ“ შემთხვევას შეიძლება მოყვეს სასჯელი... თუ ის არ არის შემაკავებელი ფაქტორი, რომ ბოლომდე იაზრებდეს ქცევის ნეგატიურ შედეგებს, მინიმუმ აქვს სასჯელის შიში, რაც გარკვეულ ეტაპზე, ჩემთვის მისაღებია, რადგან დროებით „შემაკავებელი“ ჰქონდეს და ქცევაზე სამომავლო ვიმუშაებ... [*მსჯავრდებულისთვის*] არ უნდა იყოს სულერთი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თუ მოხვდება...“ შესაბამისად, ერთ-ერთი სპეციალისტის აზრით, დანაშაულის დროებით „შემაკავებელი“ შეიძლება აღმოჩნდეს მომსახურების მიმღების წარსული გამოცდილება პენიტენციურ სისტემაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო გამოცდილებით, მნიშვნელოვანია შემთხვევათა

პრიორიტეტულობის განსაზღვრა არსებული რისკების გათვალისწინებით და რელევანტური ინტერვენციის დაგეგმვა მომსახურების მიმღებთან.

ერთ-ერთი პრაქტიკოსი სპეციალისტის მოსაზრებით: „ამ ადამიანებთან[პრობაციონერებთან] საკმაოდ ბევრია მოტივაციის მიმართულებით სამუშაო... ზოგადად, მე, მაგალითად არ მაქვს ხოლმე მოლოდინი, რომ დანაშაულის გაცნობიერების სესიებს რომ ჩავუტარებ, ეს ადამიანი სრულიად შეიცვლება და სხვა ადამიანი გახდება... ჩემთვის მნიშვნელოვანია ხოლმე, როდესაც მეუბნებიან, რომ თქვენთან წასვლის შემდეგ ბევრი ვიფიქრე ამ საკითხზე... ფიქრი საწყისია იმის, რომ რაღაც ცვლილება განხორციელდეს... ადამიანის რეაბილიტაცია შეიძლება ერთ წელშიც ვერ მოხდეს... მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი იწყებს ფიქრს შეხვედრის შემდეგ“. ასევე, ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ რეგიონში მუშაობის დროს არ ჰქონდა ოთახი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ჯგუფური სესიების განხორციელება. თბილისის პრობაციის ბიუროში გადმოსვლის შემდეგ, ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, მისი შეფასებით, გამართულია ეს ნაწილი. საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ 5 ადამიანისგან შემდგარ ჯგუფს ესწრებოდა ზოგჯერ 2 ან 3 ადამიანი, შემდეგ „ინდივიდუალურად მაინც გვიწევს ადამიანი დააწიოს იმ ჯგუფს, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს... ჯგუფური სესია შეიძლება იყოს ეფექტური, თუმცა სოციალური მუშაკისთვის სამართავად შეიძლება იყოს უფრო რთული... ვისთანაც დგება ხოლმე ჯგუფური შეხვედრა, არის ხოლმე უფრო ეფექტური“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის აზრით, მნიშვნელოვანია და სარგებლისმომტანია ჯგუფური სესიების განხორციელება, თუმცა ხშირად სირთულეს წარმოადგენს პრობაციონერთა ერთად შეკრება. აღნიშნულის მიზეზად, სპეციალისტი ასახელებს მომსახურების მიმღებთა განსხვავებულ სამუშაო/პირად გრაფიკს. აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესწავლასა და კვლევას, რათა გამოკვეთილ იქნას ის სირთულებები, რაც ხელს უშლის ჯგუფური სარეაბილიტაციო მომსახურებების მიწოდებას და დასახულ იქნას არსებული გამოწვევების გადაჭრის გზები.

სოციალურ მუშაკთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ალკოჰოლზე, მავნე ნივთიერებებზე, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების დროს უმეტესად ჩართულია ფსიქოლოგი: „ამ

ადამიანთან უნდა იმუშაოს უფრო ფსიქოლოგმა... ასევე ძალადობრივი შემთხვევის დროს, ფსიქოლოგი ატარებს სესიებს... სოციალურმა მუშაკმა შესაძლოა კონსულტაცია გაუწიოს მსჯავრდებულს ძალადობის შემთხვევასთან მიმართულებით“. ასევე, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ არასრულწლოვნის შემთხვევაში აუცილებლად ჩართულია სოციალური მუშაკი. „რამდენიმე სარეაბილიტაციო პროგრამას აქვს პრე და პოსტ კითხვარები, რითაც შემძლია მივიღო ინფორმაცია... ასევე, ვწერ მომსახურების მიწოდების ჩანაწერს, როგორ იყო ჩართული ბენეფიციარი... რაც რაღაცა კუთხით გვაძლევს საშუალებას გავიგოთ შეიცვალა თუ არა მისი ფიქრები/ხედვა/ღირებულებები...“ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ „ცალკე აღებული ინსტრუმენტი რეაბილიტაციის წარმატების გაზომვისთვის, ამ ეტაპზე, არ ფუნქციონირებს“.

რაც შეეხება, სარეაბილიტაციო პროგრამების უწყვეტად მიწოდების შესაძლებლობას, ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ „გზუფური სესიები უფრო მეტად კარგია, რესურსსაც ზოგავ, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი ტიპის მომსახურება შეიძლება არ იყოს რეკომენდირებული, განსაკუთრებით არასრულწლოვნების შემთხვევაში... თუმცა სხვისი აზრის მოსმენაც არის ეფექტური...“ სარეაბილიტაციო მომსახურების უწყვეტობის საკითხი მნიშვნელოვანი შესწავლის საგანია, რადგან, სავარაუდოა, რომ ამ ეტაპზე, პრობაციის სისტემაში არსებული კადრების რესურსის გათვალისწინებით, აღნიშნულ მომსახურებას შეიძლება არ ჰქონდეს სისტემატური ხასიათი. ასევე, ინტერვიუების შედეგად გამოკვეთილი ინფორმაციით, სავარაუდოა, რომ პრაქტიკოს სპეციალისტთა რესურსი უმეტესად მიმართული იყოს შეფასების პროცესზე და შედარებით ნაკლებად სარეაბილიტაციო მომსახურებაზე. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი სიღრმისეულად შესწავლის საგანია.

სოციალური მუშაკების ერთ-ერთი პროფესიული ზედამხედველი აღნიშნავს, რომ „რეაბილიტაციის პროცესი, ამ წუთას, შიდა რესურსით იმართება. თუ რომელიმე ორგანიზაცია გვეხმარებოდა, ახლა მათ აქვთ ფინანსური კრიზისი და ნაკლებად არიან ჩვენთან ჩართულები... ფაქტიურად, 95% სარეაბილიტაციო მომსახურებებისა მიწოდებულია სოციალური მუშაკების მიერ“. სპეციალისტი აღნიშნავს, რომ

სარეაბილიტაციო პროგრამები დაყოფილია 3 მიმართულებით: დანაშაულებრივ ქცევაზე ფოკუსირებული პროგრამები(სავალდებულო კომპონენტი), დანაშაულებრივ ქცევასთან დაკავშირებული პროგრამები(არაპირდაპირ ახდენს გავლენას ადამიანის ქცევაზე, შეიძლება იყოს ნებაყოფილობითი/სავალდებულო), პიროვნული და სოციალური ინტერვენციების პროგრამები. სპეციალისტი აღნიშნავს, რომ „გვაქვს 23 სახის სარეაბილიტაციო პროგრამა. თოთოეულ პროგრამას აქვს თავისი მიზანი, ამოცანები. ასევე, გვაქვს გაწერილი ვისთან შეიძლება ჩატარდეს ეს პროგრამები... ამ ეტაპზე, დაგეგმილია, რომ განახლდეს სარეაბილიტაციო პროგრამები... მთავარი რაც არის, რომ იყოს ხანგრძლივი...“ ასევე, სოციალურ მუშაკთა ერთ-ერთი პროფესიული ზედამხედველი აღნიშნავს, რომ სარეაბილიტაციო პროგრამების უმეტესობა გათვლილია ჯგუფთან მუშაობაზე: „მოსახერხებელია ჩვენთვის ჯგუფური მუშაობა, თუმცა, იმის გამო, რომ [მომსახურების მიმღებს] უჭირს დროის შეთავსება, ზოგს არ უნდა, რომ ჯგუფში ჩაერთოს... ამის გამო, ბენეფიციარების გარკვეულ ნაწილს ინდივიდუალურად ვაწვდით მომსახურებას, ნაწილს- ჯგუფურად“.

რაც შეეხება, სარეაბილიტაციო პროგრამების წარმატებას, შუალედური მენეჯერული რგოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი, აღნიშნავს, რომ სარეაბილიტაციო პროგრამებს აქვთ პრე და პოსტ კითხვარები, თუმცა ეს არ ზომავს რეაბილიტაციის წარმატებას. „რაც შეეხება, იმას, თუ რამდენად მოახდინა სარეაბილიტაციო პროგრამამ გავლენა ბენეფიციარზე, ამისთვის შეგვიძლია მხოლოდ მონიტორინგზე გადავიყვანოთ შემთხვევა, თუ აქვს ბენეფიციარს ამის შესაძლებლობა, რომ იაროს პირობით მსჯავრზე. მნიშვნელოვანია ასეთი ინსტრუმენტის არსებობა, რადგან სპეციალისტებისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება იმის ცოდნა, რამდენად შედეგია სარეაბილიტაციო მუშაობა“. ასევე, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ არასრულწლოვნების შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ უფრო აქტიურად ხდება ბენეფიციარზე პრობაციის სისტემისთვის ინფორმაციის მიწოდება. ასევე, სპეციალისტი ხაზს უსვამს, რომ სარეაბილიტაციო პროგრამა განისაზღვრება რისკის დონითაც და სპეციალისტის შეფასებითაც.

რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის წარმატების გაზომვასთან დაკავშირებით, უფროსი მენეჯერული რგოლის წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს პრე და პოსტ

ტესტებზე, რომლებიც ამ ეტაპზე, ყველა სარეაბილიტაციო პროგრამას არა აქვს. ასევე, მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „მონიტორინგის მეშვეობით, დაკვირვებით ხდება, რამდენად ინარჩუნებს ადამიანი სტაბილურობას“. სპეციალისტის თქმით, „სამწუხაროდ, კვლევა ამ მიმართულებით არ ჩატარებულა... კვლევის და სერვისების დეპარტამენტთან ერთად ვგეგმავთ ამ ტიპის კვლევის ჩატარებას“. სპეციალისტი ყურადღებას ამახვილებს ევროპულ გამოცდილებაზე, სადაც „სერვისის მიმწოდებელი პრობაციის სისტემის წარმომადგენელი კადრი ნაკლებადაა... პრობაციას ჰყავს ოფიცრები, რომლებიც პროფესიით არიან სოციალური მუშაკები... მე რასაც ვაკეთებ, მე არ უნდა შევაფასო ეს, მნიშვნელოვანია რომ ობიექტურად სხვამ შეაფასოს... რადგან ეს მოცემულობა გვაქვს ჩვენ, ამიტომ გვაქვს გეგმაში ეს მიმართულება შევამოწმოთ“. ასევე, ის აღნიშნავს, რომ „სპეციალისტები [სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, ოფიცერი] არ არიან დღეს ცალ ცალკე[თანამშრომლობის კუთხით]...“

პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსი ყურადღებას ამახვილებს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც პრობაციონერი არ თანამშრომლობს სპეციალისტებთან: „ერთადერთი გამოსავალი რაც გვრჩება არის ის, რომ მივმართოთ სასამართლოს... თუმცა, სანამ ამ ეტაპზე მივალთ, სპეციალისტები კვლავ ეცდებიან დაარწმუნონ პრობაციონერი მომსახურების საჭიროებაში... მიმართულება ასეთია, რომ, პირი, რომელიც არ არღვევს დადგენილ რეჟიმს, ის სარგებლობს შეღავათებით... ვთავაზობთ გარკვეული ხელობის შესწავლას, დასაქმების ადგილის შეთავაზებას, არ არის მასშტაბური, მაგრამ შეთავაზებები გვაქვს...“ ასევე, პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსი აღნიშნავს, რომ „ძირითადი პრობლემა არის ანაზღაურებასთან დაკავშირებით... ბენეფიციარებს აქვთ მაღალი ანაზღაურების მოლოდინი...“ ამავე სპეციალისტის მოსაზრებით: „გარე მომსახურებების თვალსაზრისით, თბილისში, სავარაუდოდ მეტი რესურსია“.

რაც შეეხება პრობაციის სისტემის შიდა ბაზაზე არსებულ სარეაბილიტაციო პროგრამებს, პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ისინი დანერგილია რეგიონებშიც. აღნიშნულის მიუხედავად, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ყველა რეგიონში ჯერ კიდევ არ არის სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, რაც მნიშვნელოვან სირთულეს ქმნის მსჯავრდებულთათვის სათანადო

მომსახურებების მიწოდებაში. პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „[მსჯავრდებული]თუ არ ჩაერთვება სარეაბილიტაციო სავალდებულო მომსახურებებში, გატარდება კანონით დადგენილი პირობები... შეიძლება შეეცვალოს ვადა, დაუმძიმდეს მსჯავრი...“ ასევე, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ მომსახურებებში ჩართვის შემთხვევაში, არსებობს წახალისების მექანიზმები. ის ხაზს უსვამს, რომ სარეაბილიტაციო პროგრამის ნებაყოფლობითი და სავალდებულო ხასიათი განისაზღვრება რისკის დონის მიხედვით.

რაც შეეხება, სფეროს ექსპერტის მოსაზრებას სარეაბილიტაციო მომსახურების მიმართულებით, „ძალიან მნიშვნელოვანია არსებული სარეაბილიტაციო პროგრამები, რადგან სოციალურ მუშაკს უნდა ჰქონდეს ინსტრუმენტი პრობაციონერებთან მუშაობისთვის... რამდენად უშუალოდ ხორციელდება სარეაბილიტაციო პროგრამები აქტიურად, ამას დასაბუთება სჭირდება...“ სფეროს ექსპერტი აღნიშნავს, რომ საჭიროებას წარმოადგენს ამ სისტემაში ისეთი ინდიკატორების გაჩენა, რომელიც გამოავლენს სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტურობას. რამდენიმე პროგრამა არის საერთაშორისო პროგრამაზე დაფუძნებული, რომელიც ადაპტირდა ადგილობრივ პრაქტიკაში. სპეციალისტი აღნიშნავს, რომ „ბენეფიციარებს ხშირად აქვთ ისეთი საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილებაც მხოლოდ სარეაბილიტაციო მომსახურებების მიწოდებით ვერ მიიღწევა... სიღარიბე, უმუშევრობა... მაგალითად, არასრულწლოვნის შემთხვევაში ოჯახის მხარდაჭერა, რომელიც მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოსკენ გადმოდის... მნიშვნელოვანია მულტიუწყებრივი თანამშრომლობა... მხოლოდ პრობაციის სოციალური მუშაკი ყველა საჭიროებას ვერ აწევს... ეს უკვე, პრობლემაა, კოორდინირებული მუშაობა...“

სფეროს ერთ-ერთი აღნიშნავს, რომ „პენიტენციური დაწესებულებების დატოვების შემდეგ, ადამიანებს ჰქონდათ ძალიან ბევრი საჭიროება, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ეტაპი „თაფლობის თვედ“ ითვლება და ფიქრობენ, რომ რისკი არ არსებობს... ზოგადად, ციხიდან გათავისუფლება ძალიან სტრესულია, მიუხედავად იმისა, რომ კარგი ამბავია... გამოჩნდა, რომ მათ გარდამავალი პროგრამა ძალიან სჭირდებოდათ... მაგალითად, სტრესის მართვა... ციხეში კრიმინალური სუბკულტურა საკმაოდ დომინანტურია, მაგრამ გარეთ გამოსვლისას ის უნარები შეიძლება აღარ გამოგადგეს“.

სფეროს ექსპერტი აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით დახმარება ძალიან სჭირდებათ ყოფილ პატიმრებს. სპეციალისტი ხაზს უსვამს პროფესიული ზედამხედველების როლს პროგრამების შემუშავება-განვითარებაში, „პროგრამას უნდა ჰქონდეს სტრუქტურა და ასევე, ზედამხედველობა უნდა იქნას გაწეული“. სპეციალისტის აზრით, „პრაქტიკით ინფორმირებული მოდულები მნიშვნელოვანია, რადგან სოციალური მუშაკები თავიანთი პრაქტიკით ახდენენ[სისტემის] ინფორმირებას რა სარეაბილიტაციო მოდულებია საჭირო“. ამასთანავე, სპეციალისტის მოსაზრებით, აღნიშნული არ გამოირიცხავს საერთაშორისო მტკიცებულებებს ადიქციის, ძალადობის განმახორციელებელ პირებთან მიმართებით. სფეროს ექსპერტის აზრით, ჯგუფური სარეაბილიტაციო პროგრამები არის საკმაოდ ეფექტური, ასევე „ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით პრობაციის სისტემაში არ ეყოფა ადამიანური რესურსი ინდივიდუალურ მუშაობას... ასევე, ეფექტურიც არის ჯგუფური სპეციფიკა... გასათვალისწინებელია, კრიმინალურ სუბკულტურაში ჩაბმული ადამიანები თუ ჩაერთვებიან ჯგუფში, შეიძლება ამან ხელი შეუშალოს მიმდინარეობას... თუმცა, ჯგუფური მუშაობა საკმაოდ ეფექტურია“. სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ სპეციალისტმა უნდა განახორციელოს მოსამზადებელი სამუშაო მომსახურების მიმღებთან ჯგუფურ მუშაობაში ჩართვამდე. ასევე, სპეციალისტი ხაზს უსვამს, რომ სტრუქტურულ პროგრამებს აქვს კრიტერიუმები, თუ ვისთვის არის ჯგუფური პროგრამა: „ჯგუფის დინამიკა მოქმედებს ადამიანზე, ამიტომ სოციალურმა მუშაკმა უნდა შეძლოს შესაბამისი მუშაობის წარმართვა“. რაც შეეხება, პენიტენციური სისტემის დატოვებას, „ციხიდან გამოსულ ადამიანს ყოველთვის სჭირდება მხარდაჭერა... მნიშვნელოვანია, რომ განგრძობითობა ჰქონდეს რეაბილიტაციისა და ზრუნვის პროცესს ციხიდან გამოსვლის შემდეგ“.

სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ მუშაობის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკოსი სპეციალისტების მოსმენა და მათი გამოცდილების პრაქტიკაში გაზიარება, რადგან „თუ უშუალო შეხება ვისაც აქვს[ბენეფიციართან] იმას არ კითხავ[აზრს]... შენ რომ შეხვედი სამუშაოდ თუ ინდივიდთან, თუ ჯგუფთან... შეიძლება საჭირო იყოს მოდიფიცირება, განახლება [პროგრამების]... საუკეთესო ვერსია ფურცელზე ან პრაქტიკა სხვა გარემოში/ქვეყანაში ზუსტად ვერ მუშაობს ჩვენს რეალობაში“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სფეროს ექსპერტის აზრით, პრაქტიკის სწორად წარმართვისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია პრაქტიკოს სპეციალისტთა მოსმენა და მათი პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინება ცვლილებებისთვის. რაც შეეხება, სარეაბილიტაციო მომსახურებების უწყვეტობას, სფეროს ექსპერტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „*სარეაბილიტაციო მომსახურებები იყო უწყვეტი [განხილულია ექსპერტის აღნიშნულ სფეროში მოღვაწეობის პერიოდი]... მოგვიანებით, სასამართლო ფუნქციამ [წინასასამართლო შეფასებები] ძალიან დაამძიმა შრომის დატვირთვა... სარეაბილიტაციო მომსახურება [განხილულია ექსპერტის სფეროში მოღვაწეობის პერიოდი] ნამდვილად იყო უწყვეტი... პრობლემა ის იყო, რომ ახალი დაწყებული იყო[პროცესები]“.* სპეციალისტი ყურადღებას ამახვილებს ჯგუფური სამუშაოების წარმართვის საკითხზე: „...*[მნიშვნელოვანი იყო] ჯგუფი შემდგარიყო და მენარჩუნებულიყო დასაწყისიდან ბოლომდე... [ზოგჯერ] ჯგუფური მუშაობა ფერხდებოდა [მომსახურების მიმღებთა სრულად დასწრების საკითხის გამო]“.*

რაც შეეხება, სარეაბილიტაციო მომსახურებების წარმატების გაზომვას, სფეროს ერთ-ერთი ექსპერტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით: „...*საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია მათ[პრობაციის სისტემას] ეხმარებოდა სხვადასხვა პროგრამის ეფექტიანობის გაზომვაში. რამდენიმე პროგრამას ჰქონდა ასეთი მექანიზმი ჩამენებული, მაგრამ არა ყველას“.* სპეციალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის“ მიერ პრობაციის სისტემის სარეაბილიტაციო მომსახურების რამდენიმე პროგრამისთვის აგებულ იქნა შესაბამისი მექანიზმი.

სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს მულტიუწყებრივი მექანიზმებისა და პროფესიული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე პრობაციისა და პენიტენციურ სისტემებს შორის: „...*დავიწყეთ ამის დანერგვა. შეიქმნა ტრანზიტული მენეჯმენტის დოკუმენტი, რომელიც საწყის ეტაპზე ვერ ამუშავდა“.* აღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალისტი ყურადღებას ამახვილებს წარსულ გამოცდილებაზე სისტემებს შორის „ჩავარდნის“ კუთხით, თუმცა, მისთვის არსებული ინფორმაციით, დღეს ნაწილობრივ ამუშავდა ტრანზიტული მექანიზმი. აღნიშნული საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ კვლევასა და შესწავლას, თუ რამდენად მუშაობს დღეს გარდამავალი

მენეჯმენტი სპეციალისტებს შორის ინფორმაციის მიმოცვლისა და აღნიშნულის პრაქტიკაში გამოყენების მიმართულებით.

3.4. კონტროლის მექანიზმები

პრობაციის სისტემაში მომუშავე პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების ნაწილი კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებენ იმ საკითხზე, „თუ რამდენად ნიშნავს, პირობითად კვირაში ერთხელ თითის ანაბეჭდის აღება“ კონტროლს. ასევე, ერთ-ერთი სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ კონტროლის ნაწილს მსჯავრდებულები უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას, ვიდრე რეაბილიტაციას. აღნიშნული მექანიზმის მიმართულებით, სოციალური მუშაკების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „მულტიგუნდის შეხვედრაზე შესაძლოა პრობაციის ოფიცერმა ყურადღება გაამახვილოს, რომ მსჯავრდებული ყოველთვის ცხადდება ანაბეჭდის დაფიქსირებისთვის“; თუმცა ერთ-ერთი პრაქტიკოსი ასევე აღნიშნავს, რომ ეს მექანიზმი მისთვის ნაკლებად დამხმარეა.

პრაქტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ ძალადობის შემთხვევებზე: „შეიძლება, მაგალითად, 2 საათზე მოვიდეს პრობაციონერი, ანაბეჭდი აიღოს და 6 საათზე სახლში ცოლს ისევ შეურაცხყოფა მიაყენოს... ამ კუთხით ეს[თითის ანაბეჭდი] არ არის კონტროლის მექანიზმი“. ასევე, ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ „მაგალითად, პირობითი მსჯავრდებულის შემთხვევაში შეიძლება აღნიშნულს[კონტროლს] ახორციელებდეს პრობაციის ოფიცერი... ჩემი, როგორც სოციალური მუშაკის [როლი] უფრო ნაკლებად“, თუმცა სპეციალისტის მხრიდან არ არის დაკონტრეტებული კონკრეტული მექანიზმი, თუ როგორ მინდინარეობს პრობაციის ოფიცრის მიერ კონტროლის განხორციელება: „...თუ პირობითი მსჯავრდებული არ ცხადდება კვირაში ერთხელ დათქმულ დღეს, ამაზე მეთვალყურეობა ევალება პრობაციის ოფიცერს და მე, როგორც სოციალურ მუშაკს, შეიძლება ჩართული ვიყო მასთან მუშაობაში, თუმცა ეს ჩემი ფუნქცია და დანიშნულება აღარ არის, რომ გავარკვიო სად არის, რატომ არ გამოცხადდა... ეს პრობაციის ოფიცრის დანიშნულება უფროა...“ ასევე, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ „ზოგჯერ სოციალური მუშაკების მიმართ [პრობაციონერებს] აქვთ უარყოფითი დამოკიდებულება მათი სუბკულტურიდან

გამომდინარე და შეიძლება უარი გითხრას რეაბილიტაციის პროცესში მონაწილეობაზე...“

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო პრაქტიკით, რისკის მართვა სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს მომსახურების მიმღების მონიტორინგისა და კონტროლის პროცედურებს, რომლის მეშვეობითაც სპეციალისტი „თვალს ადევნებს“ მსჯავრდებულს. კონტროლის პროცედურები უმეტესად გამოიყენება პირობების დაცვის ზედამხედველობისთვის, დანაშაულზე დამატებითი ინფორმაციის მიღებისათვის. ეს პროცედურები, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოიცავდეს ელექტრონულ/სატელიტურ თვალთვალს, პოლიციის დაკვირვებას. ციხის შემთხვევაში, კონტროლი შეიძლება მოიცავდეს სატელეფონო ზარების, ვიზიტორთა კონტაქტისა და პატიმართა კონტაქტის მონიტორინგს. სპეციალისტების მიერ მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ რისკი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ პატიმრობაში რისკები იყოს გაკონტროლებული, თუმცა სწრაფად გაიზარდოს პატიმრის გათავისუფლებისთანავე (Ministry of Justice , 2009), რაც გასათვალისწინებელი გარემოებაა მსჯავრდებულებთან მუშაობის პროცესში. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების მიმართულებით აღსანიშნავია პრობაციის სამსახურის მარეგულირებელი ისეთი საერთაშორისო სტანდარტები, როგორცაა „არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები“ („ტოკიოს წესები“), რომელიც ადგენს არასაპატიმრო ზომების გამოყენების ძირითად პრინციპებს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია „*ბალანსირება მოახდინოს არასაპატიმრო ზომების გამოყენების წახალისებასა და აღნიშნულზე შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას შორის, რაც ამ ზომებზე კონტროლის არაპროპორციულობის პრევენციას ისახავს მიზნად*“ (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 286). აღნიშნულიდან გამომდინარე, სისტემის მიერ მსჯავრდებულისთვის დაწესებული პირობები და პროცედურები უნდა იყოს მის მიერ განხორციელებული დანაშაულის თანაზომიერი.

ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, რომ სავალდებულო გამოცხადების გარეშე მისთვის რთული იქნებოდა სარეაბილიტაციო მომსახურებაში პრობაციონერის ჩართვა: „*ჩვენთან როცა მოდის[მომსახურების მიმღები], მერე ახერხებ რომ შეხვდე... თუნდაც პრობაციის*

ოფიცრის დახმარებით მასთან კომუნიკაცია შედგეს“. ასევე, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის აღნიშნავს, რომ „ჯერ ჯერობით არ მექონია შემთხვევა, რომ საჭირო იყოს კონტროლის მექანიზმის გამკაცრება... შესაძლოა სათანადოდ არ მიფიქრია ამ თემაზე“. ასევე, ერთ-ერთი სპეციალისტი კონტროლის მექანიზმად ნაწილობრივ მოიაზრებს მსჯავრდებულთან თანამშრომლობას იმ თვალსაზრისით, რომ საჭიროებისა და ინდივიდუალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მას შეუძლია გარკვეული რეკომენდაცია გაწიოს მაგალითად, არასაპატიმრო სასჯელის შემსუბუქებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება, თითის ანაბეჭდის მექანიზმს, ერთ-ერთი სპეციალისტის აზრით, აღნიშნული საჭიროა იმისთვის, რომ „მან[პრობაციონერმა] კონტროლი იგრძნოს... ვთვლი, რომ ეს[თითის ანაბეჭდის მექანიზმი] ეფექტიანია, იმ მხრივ, რომ პრობაციონერმა იგრძნოს პასუხისმგებლობა. ერთ-ერთი სპეციალისტის აზრით, „კონტროლის შემსუბუქება მის[პრობაციონერის] ქცევაზე დამოკიდებული“, თუმცა, ბუნდოვანია, ამ შემთხვევაში, რას მოიაზრებს პრაქტიკოსი კონტროლის მექანიზმად: „[პრობაციონერებს] აქვთ გააზრებული, რომ რაღაც ტიპის კონტროლის ქვეშ ექცვიან და საკუთარ მდგომარეობას ადარებენ თავისუფლებადაღკვეთილი ადამიანის სიტუაციას... ვერ გრძნობენ გარკვეული სახის „სიმძიმეს“ ამ მიმართულებით“. ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ყურადღებას ამახვილებს, რომ „ჩემთვის რამდენადაც ცნობილია ანაბეჭდის მექანიზმის გარდა სხვა ტიპის კონტროლი არ ხორციელდება... ასევე, შეუძლია სასამართლოს მიმართოს [პრობაციის ოფიცერმა] სასჯელის შეცვლასთან ან გაგრძელებასთან დაკავშირებით...“

ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის აზრით, „არ ვიცი უცხოეთში რა გამოცდილებაა ამ მიმართულებით [კონტროლის მექანიზმი]. ეს მექანიზმი ხშირად არ ცვლის ხოლმე არაფერს, პრევენციის მიმართულებით მუშაობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონტროლის... მაგალითად, პანდემიის პერიოდში, ანაბეჭდს საერთოდ არ იღებდნენ პირობით მსჯავრდებულები... უფრო სხვა მექანიზმებზეა შესაძლებელი ფიქრი, ვიდრე კონტროლზე... ასევე, გააჩნია მუხლებს, მაგალითად ძალადობის შემთხვევებში მექანიზმის შემუშავება“. ასევე, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ „მსჯავრდებულისთვის მაინც ერთი ორგანიზმი ხარ[კონტროლი და რეაბილიტაცია], სადამსჯელო სამსახურის თანამშრომელი ხარ მისთვის... ამიტომ, თანამშრომლობაზე

აწყობილი[სოციალური მუშაკის საქმიანობა]... ძალით ადამიანს ვერ დასვავე სარეაბილიტაციო მომსახურებაში...“ აღნიშნულის გათვალისწინებით, პრაქტიკოს სოციალურ მუშაკები ნაკლებად ასახელებენ კონტროლის მექანიზმებს, რომელთა დანერგვის საჭიროებაც შესაძლოა იყოს სისტემაში. აღნიშნული საკითხი საჭიროებს კვლევასა და სიღრმისეულ შესწავლას. ამასთანავე, სპეციალისტთა ნაწილის აზრით, კონტროლზე მეტად საჭიროა სარეაბილიტაციო მომსახურება და თანამშრომლობითი მიდგომა. ზოგიერთ შემთხვევაში სპეციალისტები აქცენტს აკეთებენ კონტროლის საჭიროებაზე შემთხვევის სიმძიმის გათვალისწინებით.

რაც შეეხება, პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა პროფესიული ზედამხედველების მოსაზრებას კონტროლის მექანიზმთან დაკავშირებით, ერთ-ერთი სპეციალისტის აზრით, „სოციალური მუშაკებისთვის კონტროლის მექანიზმები რამდენად საჭიროა არ ვიცი, თუმცა ჩვენთვისაც დამხმარეა იმ კუთხით[თითის ანაბეჭდი], რომ თუ ადამიანთან კომუნიკაციას ვერ ვახერხებთ, ვიცით, რომ იმ კონკრეტულ დღეს უნდა მოვიდეს. ვაკეთებთ მითითებას[პროგრამაში] და მერე ჩვენც შეგვიძლია რომ ამ ადამიანს შევხვდეთ...“ სხვა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ ანაბეჭდის გარდა ეს შეიძლება იყოს შინაპატიმრობა და სამაჯურით განხორციელდეს ამ ადამიანის გაკონტროლება, „თუმცა ეს ჩვენ, სოციალურ მუშაკებს ნაკლებად გვებმარება... ამ დროს, პრობაციაში შეიძლება ვერ მოიყვანო და სარეაბილიტაციო პროცესსაც სახლში ვერ ჩაუტარებ... არც კადრები გვყავს ამ ეტაპზე საკმარისი რაოდენობით, რომ ამ მიმართულებით მოხდეს მუშაობა... შინაპატიმრობის შემთხვევაში, სოციალურ მუშაკებს გვეწერება არასრულწლოვნების შემთხვევები...“

სოციალურ მუშაკთა ერთ-ერთი პროფესიული ზედამხედველი აღნიშნავს, რომ პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაკის როლი არის უფრო მეტად მხარდამჭერი, ხოლო რაც შეეხება კონტროლს, აღნიშნული მიმართულებით მუშაობას აწარმოებს ოფიცერი. ასევე, შუა მენეჯერული რგოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ სისტემაში სარეაბილიტაციო მომსახურებების გავლის შემთხვევაში არსებობს წახალისების მექანიზმებიც, „ისინი[პრობაციონერები] ნაკლებად ფიქრობენ, რომ სოციალური მუშაკის გამო შეიძლება სასჯელი გამკაცრდეს... თუმცა, თუ განაჩენით აქვს გაწერილი ადამიანს სარეაბილიტაციო პროგრამა და არ ესწრება ამ სესიებს, ამ

შემთხვევაში სოციალური მუშაკი აწვდის ინფორმაციას ოფიცერს და ის ახორციელებს შესაბამის რეაგირებას“. ასევე, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ თუ ადამიანი თავდაპირველ ეტაპზე უარს ამბობს სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართვაზე, ეს არ ნიშნავს, რომ „ჩვენ პირდაპირ ვუმძიმებთ სასჯელს... მთელი სამუშაო პროცესი მიდის, მათ შორის მოტივაციის მიმართულებით... მიუხედავად იმისა, რომ დავარღვევთ სამუშაო ვადებს, ამის საფუძვლიანი მიზეზი გვექნება... თუ ყველანაირი რესურსი ამოვწურეთ და ეს ადამიანი კვლავ უარს აცხადებს კომუნიკაციაზე, სოციალური მუშაკის მიერ შეტყობინება იგზავნება პრობაციის ოფიცერთან“. ასევე, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ ადამიანისთვის თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება არ ხდება იმის გამო, რომ ეს ადამიანი უარს აცხადებდეს სოციალურ მუშაკთან კომუნიკაციაზე: „შეიძლება სასამართლოში წარდგინებით შევიდეს ოფიცერი, თუმცა შეიძლება სასჯელი დაუმძიმდეს... ჩემი პრაქტიკის მაქსიმუმი იყო [მომსახურების მიმღების] კვირაში სამჯერ სიარული ერთის ნაცვლად“.

შუა მენეჯერული რგოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მუშაობისთვის ყველაზე მეტად, ამ ეტაპზე, მათთვის დამხმარე იქნებოდა კადრების დამატება, „ინსტრუმენტების ნაწილი გამართულია, ნაწილზე მუშაობა მიმდინარეობს, ასევე, სარეაბილიტაციო პროცესის განახლებაც მიმდინარეობს პროცესშია... მეორე საკითხია ის, რომ რამდენად გვაქვს ჩვენ შესაძლებლობა პრაქტიკა ეფექტურად განვახორციელოთ... დიდი დატვირთვა წამოვიდა სოციალურ მუშაკებზე და არ გყავს კადრების სათანადო რაოდენობა... შეფასება, ვიზიტები და გამოდის რომ რეაბილიტაცია გრჩება გვერდით... გამოცდილი კადრები ძალიან კარგი იქნება...“

სოციალური მუშაკების ერთ-ერთი პროფესიული ზედამხედველი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, რომ კონტროლის მიმართულებით პრობაციის ოფიცრები არიან ჩართულები შემთხვევაში. რაც შეეხება მექანიზმს, სპეციალისტი ხაზს უსვამს ანაბეჭდის მექანიზმის არსებობას, თუმცა სხვა მექანიზმი, ამ ეტაპზე, სპეციალისტის მიერ განხილული არ არის. სოციალური მუშაკისთვის ეს მექანიზმი ინფორმაციულია იმ თვალსაზრისით, რომ იცოდეს იყო თუ არა ადამიანი სააგენტოში. ასევე, სპეციალისტი ყურადღებას ამახვილებს შინაპატიმრობაზე მუშაობის საკითხზე, რომელზეც მუშაობა ეტაპობრივად დაიწყება „შინაპატიმრობის რამდენიმე შემთხვევა იყო და ჯერ სიახლეა ეს

მიმართულება“: ასევე, სპეციალისტი ხაზს უსვამს, პრობაციის სისტემის მიერ რეაბილიტაციისა და კონტროლის ერთობლივად განხორციელების საკითხს: „სხვა პრაქტიკით, შეიძლება სისტემის ერთი ნაწილი იყოს ჩართული კონტროლის მექანიზმში, სხვა, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია რეაბილიტაციის ნაწილში... ჩემი სუბიექტური აზრით, უმჯობესი იქნება ერთი უწყება აკეთებდეს კონტროლს, მეორე - რეაბილიტაციას... ჩვენს შემთხვევაში, ასეთ უწყებაში სოციალური მუშაკია მნიშვნელოვანი, რომ პოზიტიურად, უმტკივნეულოდ, გააზრების დონეზე დაეხმაროს პრობაციონერს, რომ გაიაროს პირობითი მსჯავრი...“ ასევე, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ საჭიროებას წარმოადგენს სოციალური მუშაკების რაოდენობა ყველა უწყებაში პასუხობდეს არსებულ გამოწვევებს. შუა მენეჯერული რგოლის ერთ-ერთი წარმომადგენელის აზრით, მნიშვნელოვანია, „...არსებობდეს ფონდი, სადაც სოციალურ მუშაკს ხელი მიუწვდება თანხებზე, როცა კრიზისშია ბენეფიციარი და სჭირდება დახმარება... [საჭიროა] სერვისების, კადრების მრავალფეროვნება, თანხების მოძიების გამარტივება...“

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, მათ შორის პრობაციის სისტემაში, სპეციალისტთა მუშაობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია პასუხისმგებლობა და რისკის კონტროლი. კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდგომ საჭიროებას წარმოადგენს ზიანის რისკის შემცირებასა და კონტროლზე მუშაობის გაგრძელება. პირებს, რომელთაც განვითარებული არ აქვთ პიროვნული პასუხისმგებლობა, ვალდებულებისა და საკუთარი თავის კონტროლის უნარი, შესაძლოა დაუბრუნდნენ ძველ დევიაციურ ქცევას. არსებობს მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც დანაშაულისგან „განდგომის“ შედეგი შესაძლოა იყოს დამნაშავესათვის მოტივაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა. ამასთანავე, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის რეაბილიტაციის განხორციელების პროცესის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს კონტროლი, რათა პირს ხელი შეეწყოს გააკონტროლოს საკუთარი ქცევა. კრიმინოგენული საჭიროების პრინციპიდან გამომდინარე, მსჯავრდებულისთვის არსებული პროგრამები ფოკუსირებული უნდა იყოს დინამიკურ ფაქტორებზე. ყველაზე პერსპექტიული სამიზნე ცვლილება მოიცავს ანტი-სოციალური დამოკიდებულებების, ფიქრების ცვლილებასა და

პირადი კონტროლის განხორციელების საკითხებს, მათ შორის მავნე ნივთიერებების მოხმარებას, აგრესიას. ამასთანავე, მსჯავრდებულებზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის. მტკიცებულებების მიხედვით, გარე კონტროლი დაიცავს საზოგადოებას და ამავედროულად, შესაძლებელი იქნება საზოგადოებასთან ურთიერთთანამშრომლობის შენარჩუნება (The Scottish Government, 2010).

რაც შეეხება პრობაციის ბიუროს უფროსების მოსაზრებას კონტროლის მექანიზმთან დაკავშირებით, *„პირობით მსჯავრდებულს აქვს ვალდებულება, რომ კვირაში ერთხელ გამოცხადდეს პრობაციის ბიუროში, შესაძლოა სასამართლოს მიერ დაეკისროს მას, რომ არ მივიდეს გარკვეულ დაწესებულებებში... შეიძლება ის დაწესებულება არ მოინახულოს, სადაც აზარტული თამაშებია... შეიძლება ეს [აკრძალვები] დააკისროს სასამართლომ [პირობით მსჯავრდებულს]“*. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსი კონტროლის მექანიზმად განიხილავს სასამართლოს მიერ პირობით მსჯავრდებულისთვის დაწესებულ შეზღუდვებს. რაც შეეხება, თითის ანაბეჭდის მექანიზმს, ერთ-ერთი ბიუროს უფროსი აღნიშნავს, რომ *„რიგ შემთხვევაში [თითის ანაბეჭდის აღება] მოიცავს მხოლოდ დაფიქსირებას, [ზოგჯერ] სპეციალისტთან კომუნიკაციასაც... კონტროლის მექანიზმი შეიძლება გაიზარდოს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდით [ელექტრონული სამაჯური], რომლითაც შეიძლება იმის მონიტორინგი, თუ სად გადაადგილდება ადამიანი. ეს მექანიზმი განსხვავდება შინაპატიმრობისგან... ჩვენი რეალობის გათვალისწინებით, ეს მექანიზმი დიდ თანხებთანაა კავშირში და ნაკლებად მოსალოდნელია... ეს მიდგომა კარგი იქნებოდა სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის ან ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირებთან მიმართებაში... ყველასთან [პრობაციონერთან] არ მგონია, რომ მიზანშეწონილი იყოს ამხელა ხარჯის გაწევა...“* ასევე, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ პრობაციის სისტემაში სარეაბილიტაციო მომსახურებას წევს სოციალური მუშაკი, ხოლო მონიტორინგისა და კონტროლის ნაწილს - პრობაციის ოფიცერი: *„რადგან შემთხვევის მენეჯერი ოფიცერია, მისი მეთვალყურეობის ქვეშ ხორციელდება სამუშაო პროცესი...“* ასევე, პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსი აღნიშნავს, რომ სპეციალისტები, შესაძლებლობის ფარგლებში,

მაქსიმალურად ცდილობენ სახლში ვიზიტების განხორციელებას, თუმცა, გასათვალისწინებელია მწირი ადამიანური და საკადრო რესურსები, რის გამოც სისტემატური ვიზიტების განხორციელება მონიტორინგის მიზნით სირთულეს წარმოადგენს. რაც შეეხება, მაღალი რისკის შემთხვევებს, „როდესაც ადამიანი თავს არიდებს სარეაბილიტაციო პროგრამებს, შეიძლება ეს წარდგინების ან რეჟიმის დამძიმების საფუძველი გახდეს...“ ამასთანავე, სპეციალისტი ყურადღებას ამახვილებს წახალისების მექანიზმებზე, რომელიც გამოიყენება მაშინ, თუ პრობაციონერი მოდის თანამშრომლობაზე და აქტიურადაა ჩართული სარეაბილიტაციო მომსახურებაში.

კონტროლის მექანიზმის მიმართულებით, პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსი ყურადღებას ამახვილებს თითის ანაბეჭდის მექანიზმსა და სასამართლოს მეშვეობით, ზოგიერთ შემთხვევაში, ბრალის დამძიმებაზე. ინტერვიუების პროცესში, სხვა ტიპის კონტროლის მექანიზმი სპეციალისტის მიერ არ დასახელებულა. ამასთანავე, პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსი აღნიშნავს ელექტრონული კონტროლის მექანიზმის(ელექტრონული სამაჯური) საჭიროებას, რომლის გამოყენებაც, მისი აზრით, მნიშვნელოვანი იქნებოდა მძიმე დანაშაულის, მათ შორის სექსუალური დანაშაულის შემთხვევებში. საერთაშორისო გამოცდილებით, სექსუალური ძალადობის განმახორციელებელ პირებთან სხვა მომსახურებების მიწოდებასთან და კონტროლთან ერთად, მნიშვნელოვანია კოგნიტურ-ქცევითი (CBT) თერაპიის გამოყენება, რომელიც მრავალი სტრატეგიის ბირთვს წარმოადგენს. კერძოდ, აღნიშნული თერაპია მიმართულია „დამახინჯებულ“ აზრებზე, რწმენებზე მუშაობასა და ქცევის ცვლილებაზე. რაც შეეხება, სექსუალური ძალადობის განმახორციელებელი პირების კონტროლს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტიპის ბენეფიციართა კონტროლი შესაძლოა განხორციელდეს ელექტრონული/სატელიტური მექანიზმების დახმარებით, ასევე პოლიციის დაკვირვებით და ა.შ. (Ministry of Justice , 2009).

რაც შეეხება, უფროსი მენეჯერული რგოლის წარმომადგენელის მოსაზრებას კონტროლის მექანიზმთან დაკავშირებით, „*მონიტორინგის კუთხით, [პრობაციონერი] მოდის კვირაში ერთხელ და აპარატზე ადებს თითს. ეს მონიტორინგი არ არის საკმარისი. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოფიცერი მიდის სახლში, სამსახურში, ამოწმებს რას აკეთებს ეს ადამიანი[პრობაციონერი]. აქ რომ უთხრა ოფიცერს, რომ*

სამსახურში მივიდეს და შეამოწმოს, გეტყვის, რომ დამსაქმებელმა არ იცის, რომ ეს ადამიანი პრობაციონერია... აქ უკვე პრობლემასთან მივდივართ... საბჭოური მენტალიტეტი, ხომ არ დავრეკავ პოლიციაში, ხომ არ „ჩავუშვებ“ და ეს გავლენა არის სამწუხაროდ ჩვენს საზოგადოებაში. რომ მივალ, საქმე არ გავუფუჭო და შეიძლება მართლა „გაუფუჭოს“, მაგრამ მეორე მხარეა მე უნდა ვიცოდე სად არის დასაქმებული ეს კაცი, რას აკეთებს... ეს არის მონიტორინგი...“ სპეციალისტი აღნიშნავს, რომ „კონტროლი არის პატარა ნაწილი ამ დიდი პროცესის... ჩემთვის პრობაციის ოფიცერი არის პირი, საჯარო მოსამსახურე, რომელიც ადამიანის რესოციალიზაციაზე, მის დაბრუნებაზე საზოგადოებაში ზრუნავს“. ასევე, უფროსი მენეჯერული რგოლის წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს ძალადობის შემთხვევებზე, როდესაც „პირი[ძალადობის განმახორციელებელი] მოწესრიგებული მოდის ჩემთან, მეუბნება, რომ ყველაფერი კარგად აქვს... მე ეს ყველაფერი უნდა გადავამოწმო, უნდა დავურეკო მის მეუღლეს და ვკითხო როგორ ხართ... შეიძლება ალკოჰოლის, ნარკოტიკის პრობლემები ჰქონდეს პირს[პრობაციონერს]... ტესტირებები უნდა ხდებოდეს...“

რაც შეეხება, სფეროს ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრებას კონტროლის საკითხთან დაკავშირებით, სპეციალისტი ყურადღებას ამახვილებს სექსუალურ ძალადობაში ბრალდებული პირების შემთხვევებზე, „როდესაც შეიძლება ადამიანმა სრულად მოიხადოს სასჯელი ციხეში, შემდეგ, აღარ ჰქონდეს პირობითი მსჯავრი და არსებობდეს რისკები, რომ ეს ადამიანი კვლავ განახორციელებს ამ ქცევას... ზოგადად, ამისთვის არსებობს საერთაშორისო მექანიზმები, პოლიციას აქვს ბაზა, რომელიც სექსუალური ძალადობის მუხლით გასამართლებული ადამიანებისთვის, რომ აკონტროლოს... უფრო თემში გადმოდის ეს[კონტროლი]... არსებობს სათემო მომსახურებები, რომელიც მარტო კონტროლს კი არა სხვა მომსახურებებსაც სთავაზობენ“. სპეციალისტი აღნიშნავს, რომ საქართველოში ნაკლებად არის სხვადასხვა სახის მექანიზმი კონტროლისათვის. სფეროს ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს MAPPA-ს კონცეფციაზე, რომელიც არ ეხება მხოლოდ ერთ სისტემას. ადგილობრივ პრაქტიკაში, კონტროლის გაწევისათვის სპეციალისტი ხაზს უსვამს სათემო მომსახურებების მნიშვნელობასა და, საჭიროების შემთხვევაში, პოლიციის მიერ მიზანმიმართული მუშაობის განხორციელების საჭიროებას.

სფეროს ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრებით, არსებული კონტროლის მექანიზმი(თითის ანაბეჭდი) „[კონტროლის მექანიზმი] კეთდება სისტემისთვის, საზოგადოებისთვის. ადამიანი იაზრებს პასუხისმგებლობას სისტემის, კანონის, საზოგადოების წინაშე“. ასევე, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მომსახურების მიმღებისთვის მასტიგმატიზირებელია არსებული მექანიზმი: „ადამიანი, რომელსაც აქვს პირობითი მსჯავრი როგორ შეიძლება განსხვავდებოდეს იმისგან, ვისაც ეს არა აქვს... თუ არც სარეაბილიტაციო მომსახურებაში არ არის ჩართული, როგორ იგრძნოს თავისი პასუხისმგებლობის ტვირთი... მაშინ რაღაც შეფასების მექანიზმი უნდა არსებობდეს, რომ თუ გრძნობს [პასუხისმგებლობას], არ უნდა კვირაში ერთხელ მოსვლა... მაგრამ, რომ ქლაქშია, რომ ჩვეულებრივი ცხოვრება აქვს ამაზე დაკვირვებას როგორ მოახდენს მისი შემთხვევის მმართველი[პრობაციის ოფიცერი]“. სფეროს ექსპერტი აღნიშნავს, რომ ბევრი მომსახურების მიმღებისთვის არსებული კონტროლის მექანიზმი დამსტრესავია, რის დასტურადაც სპეციალისტი ასახელებს ერთ-ერთ კვლევას, რომლის მიხედვითაც ბენეფიციარებს(დასახელებული კვლევის ფარგლებში ქალებს) არ აქვთ მისვლის სურვილი: „ეს რომ იყოს სადმე სხვაგან, თუნდაც ხელის დადება, თუნდაც სარეაბილიტაციო პროგრამები... ეს უფრო ადვილი იქნებოდა მათთვის. რთულია, როცა გესირცხვილება სადღაც მისვლა.რაღაც დისკომფორტი არის ალბათ“. სპეციალისტი ასევე ყურადღებას ამახვილებს მაღალი რისკის შემთხვევებზეც, სადაც სავალდებულოა, როგორც თითის ანაბეჭდის მექანიზმი, ასევე სარეაბილიტაციო მომსახურებებში ჩართვა. სფეროს ექსპერტი აღნიშნავს, რომ მომსახურების მიმღების პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია: „კონტაქტი, დაკვირვების საშუალება, როგორი ქცევა აქვს, რამდენად პუნქტუალურად ცხადდება. აქ პასუხისმგებლობის სხვადასხვა ატრიბუტზე დაკვირვების საშუალებაა მოსვლა [პრობაციის სააგენტოში]“.

სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვანთა შემთხვევებზე. სპეციალისტი მიიჩნევს, რომ „მნიშვნელოვანია, არასრულწლოვანს სისტემაში შემოსვლისთანავე შეხვდეს სოციალური მუშაკი და არა ოფიცერი. ...დახვდეს ადამიანი, რომელიც მაქსიმალურად მხარდამჭერი იქნება და თან პასუხისმგებლობის გააზრებაშიც დაეხმარება...“ ასევე, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ ღირებულებით ნაწილში სოციალურ მუშაკებთან იშვიათად არის ხოლმე პრობლემა, „[პრობლემა] უფრო

მეტად არის ცოდნისა და კომპეტენციის ნაწილში. ცოდნა, რა უნდა გააკეთო პრაქტიკაში... უშუალო პრაქტიკის განხორციელება კიდევ უფრო მეტ მუშაობას ითხოვს... რაც უფრო გაძლიერდება [სპეციალისტი], მით უფრო კარგია...“

რაც შეეხება, არასაპატიმრო სასჯელის ისეთ სახეს, როგორცაა შინაპატიმრობა, საქართველოში რეგულირდება 2017 წლის ბრძანებით „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, 2017). აღნიშნული კონტროლის მექანიზმი ვრცელდება, როგორც სრულწლოვან, ისე არასრულწლოვან პირებზე. ამავე დოკუმენტის მე-3 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის მიხედვით, „შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით ან კანონის 44⁸ მუხლის მე-8 პუნქტით¹⁴ გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით, ოფიცრის პერიოდული საკონტროლო ვიზიტების საშუალებით, რაც გულისხმობს მსჯავრდებულთან შინაპატიმრობის მოქმედების საათებში, სასჯელის აღსრულების ადგილზე თვეში არანაკლებ ექვსი, გაუფრთხილებელი ვიზიტის განხორციელებას“ (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, 2017). აღნიშნული ელექტრონული მექანიზმის არსებობაზე ყურადღებას ამახვილებს რესპონდენტთა მცირე ნაწილი. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამ მიმართულებით აქტიური პრაქტიკა ამ დროისათვის არ ხორციელდება, მათ შორის არც რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიმართულებით.

3.5. განმეორებითი დანაშაულის პრევენცია და ზიანის რისკის მართვა

მსჯავრდებულთა განმეორებითი დანაშაულის პრევენციის საკითხთან დაკავშირებით, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების ნაწილი აღნიშნულ მიმართულებას პრობაციის სისტემაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად გამოყოფს: *„ჩვენს სისტემაში ძირითადი არის დანაშაულის პრევენცია... ეს მოიაზრებს ძალიან ბევრ რამეს[საკითხს]: სწავლის მოტივაციას, მუშაობას, თავისუფალი დროის ორგანიზებას... საჭიროების*

¹⁴ საქართველოს კანონი „ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, მუხლი 44⁸ შინაპატიმრობის აღსრულების წესი: „იქ, სადაც შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით კონტროლი ტექნიკურად შეუძლებელია, კონტროლი ხორციელდება მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე პრობაციის ოფიცრის გაუფრთხილებელი ვიზიტით, თვეში არანაკლებ ექვსჯერ, რის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი“.

შემთხვევაში, ფსიქოლოგის, ფსიქიატრის ჩართვა... “ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ მისი ფუნქცია არ არის მხოლოდ დანაშაულის გაცნობიერების მიზნით მუშაობა და საჭიროებას წარმოადგენს „რისკებზე მიყოლა“. დანაშაულის პრევენციის მიმართულებით, სოციალურ მუშაკთა ნაწილი მოიაზრებს სისტემაში არსებულ სარეაბილიტაციო პროგრამებს. ასევე, პრაქტიკოსთა ნაწილი აღნიშნავს, რომ განმეორებითი დანაშაულის პრევენციაში მათთვის ზოგჯერ დამხმარე პრობაციონერებისთვის შეთავაზებული სასწავლო/დასასაქმებელი კურსები. ამასთანავე, პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილი აღნიშნავს, რომ „ინსტრუმენტები რეციდივის პრევენციისთვის ასე თუ ისე არის... თუმცა მთავარია სერვისები... როცა, მაგალითად დანაშაული არის ქურდობაზე და მომხდარს განიხილავენ ეკონომიკურ ჭრილში, მე როცა ვერ ვთავაზობ რეალურ გამოსავალს, რეალურ შემოსავლის წყაროს და ვეუბნები, რომ მხოლოდ ამაში გადაგამზადებ და მერე შენით იპოვე სამსახური, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ისევ განმეორდეს დანაშაული“. ასევე, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები საუბრობენ ძალადობის შემთხვევებზეც განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მიმართულებით: „სარეაბილიტაციო პროგრამას როცა აწოდებ, ის ინდივიდუალურ საჭიროებებზეა მორგებული და ზუსტად იმ კუთხით სჭირდება ეს[სარეაბილიტაციო პროგრამა] რომ რეციდივი აღმოფხვრას... სწორედ ეს არის ინსტრუმენტი... როცა გარე სერვისებზეა დამოკიდებული, მაშინ ძალიან რთულია ამ მხრივ მუშაობა...“

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, პრობაციის სისტემაში მსჯავრდებულებთან მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილია სარეაბილიტაციო პროგრამები, თუმცა მხოლოდ აღნიშნული არ არის საკმარისი მომსახურების მიმღებთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. განმეორებითი დანაშაულის პრევენციისთვის საჭიროებას წარმოადგენს პრაქტიკაში შემუშავებულ იქნას პრევენციის კონკრეტული სტრატეგიები. აღნიშნული განსაკუთრებით საჭირო და საყურადღებოა, ისეთი დანაშაულის განმახორციელებელ პირებთან მუშაობისას, როგორცაა მაგალითად სექსუალური ძალადობის განმახორციელებელი მსჯავრდებულები. აღნიშნულ მძიმე ხასიათის დანაშაულებთან მიმართებით, პრობაციის სისტემის გარდა, საყურადღებოა პენიტენციური სისტემის პრაქტიკა, რომელიც მიმართულია პროგრესის მონიტორინგზე,

საჭიროების შემთხვევაში მსჯავრდებულისთვის პროგრამის შეცვლაზე, რეციდივის პრევენციის გეგმასა და ინტერვენციების ინტენსივობაზე (Ministry of Justice , 2009).

რაც შეეხება, შუა მენეჯერული რგოლის მოსაზრებებს დანაშაულის განმეორების პრევენციის საკითხთან დაკავშირებით, ერთ-ერთი სპეციალისტი აღნიშნავს, რომ „სარეაბილიტაციო პროგრამები არის წამყვანი რეციდივის პრევენციაში... ერთ-ერთი სარეაბილიტაციო პროგრამა არის დანაშაულის გაცნობიერება... ის[პროგრამა] დატვირთულია ბევრი ინფორმაციით... რა შეიძლება მოყვეს დანაშაულის განმეორებას... თუ არსებობს მომსახურების დონეზე სირთულე... მაგალითად, თუ ადამიანს აქვს ფსიქიკური აშლილობა, ამ შემთხვევაში, საკმაოდ რთულია ასეთ შემთხვევაზე მუშაობა... აღნიშნული ბევრ უწყებასთან თანამშრომლობასთან და ასევე, დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული... სოციალური მუშაკი ცდილობს სათანადო რესურსების მოძიებას... სარეაბილიტაციო პროგრამების მეშვეობით ვცდილობთ განმეორებითი დანაშაული იყოს თავიდან აცილებული, თუმცა არსებობს სპეციფიკები, როცა გარკვეული მომსახურების მიწოდება საჭიროებს [ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისები]“. ასევე, მენეჯერული რგოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ „დღეს საქართველოში სოციალური მუშაკების რაოდენობა არ პასუხობს არსებულ საქმეთა რაოდენობას... ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების რიცხოვნობის ზრდა... ასევე, მნიშვნელოვანია უწყებებში გარკვეული სერვისების უწყვეტად მიწოდება...“

შუა მენეჯერული რგოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს ფინანსურ სირთულეებზე, რომელიც ხელს უშლის პრობაციონერებისთვის შესაბამისი სპეციალისტის მომსახურების დროულად მიღებას: „ამაში იკარგება სოციალური მუშაკის ძალიან დიდი დრო... ჩემი აზრით, ყველა ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს გარკვეული ხარჯები, რომ სოციალურმა მუშაკმა შეძლოს ბენეფიციარის საჭიროებების დაკმაყოფილება“. ასევე, სოციალური მუშაკების ერთ-ერთი პროფესიული ზედამხედველი ყურადღებას ამახვილებს განმეორებითი დანაშაულის პრევენციის საკითხზე: „ინსტრუმენტები რაც გვაქვს ახლა, RNA-ის რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმა, ასევე, სპეციალისტებს, პროფესიულ ზედამხედველებს აქვთ თავიანთი შეფასების ფორმები, რომლებიც აფასებენ სპეციალისტის სამუშაო საქმიანობას, თუმცა ამ საქმიანობაში რომ ვთქვათ, რეციდივი მოხდა, რა მიზეზით მოხდა, კონკრეტულად არ

არის გამოყოფილი... თუმცა აქცენტს ვაკეთებთ იმ საჭიროებებზე, რაც აქვს სოციალურ მუშაკს და ვგეგმავთ სამუშაო პროცესს... მაგრამ ეს რამდენად კავშირშია რეციდივთან... [ამ ინსტრუმენტებით] თვითონ სამუშაო პროცესთან დაკავშირებით ვმუშაობთ და არა კონკრეტულად რეციდივის შემთხვევებზე“.

რაც შეეხება, პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსის მოსაზრებებს პრობაციის სისტემაში დანაშაულის განმეორების პრევენციასთან დაკავშირებით: „სოციალური მუშაკი ბენეფიციართან მუშაობის დროს თუ მოახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას და შემდეგ, მის მოგვარებას, ეს ერთ-ერთი მთავარი გზა იქნება რეციდივის პრევენციისთვის... თუ ბენეფიციარმაც არ მისცა ამის საშუალება და ვერც სოციალურმა მუშაკმა ვერ მოახდინა ამის[პრობლემის] იდენტიფიცირება, მაშინ რისკი მაღალი იქნება... შესაბამისად, სოციალური მუშაკის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაც ესაა[დანაშაულის პრევენცია]“. რაც შეეხება, კონკრეტულ მექანიზმების არსებობას დანაშაულის განმეორების პრევენციისთვის, პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსი აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, რომ „შემთხვევის მართვის შესაბამისად ხდება რისკების შეფასება, ანუ ე.წ. RNA-ით“. რაც შეეხება, რისკის დონის გადასინჯვას, პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსი აღნიშნავს, რომ „პრობაციის ოფიცრის მიერ აღნიშნული ხორციელდება შემთხვევიდან 1 წლის შემდგომ“. ამავე სპეციალისტის აზრით, „მეტად უნდა განვითარდეს არასაკაპტიმო სასჯელები და ფინანსურად მეტი მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს... პრობაციასაც გარკვეული სახით უნდა გაეზარდოს ფინანსური რესურსი, რათა მან როგორც საკადრო მხრივ, ასევე რესურსების მხრივ მოახერხოს მეტის შეთავაზება... დღევანდელი რესურსები ძალიან მწირია, როგორც ადამიანური, ისე ფინანსური... რთულია დაგეგმო ისეთი პროგრამა, რომელსაც დიდი ფინანსები სჭირდება“.

რაც შეეხება, უფროსი მენეჯერული რგოლის მოსაზრებას დანაშაულის განმეორების პრევენციასთან დაკავშირებით, „შუქნიშნის პროცესია... თუ არის ქურდობის შემთხვევა, იმის იდენტიფიცირება უნდა მოვახდინო, თუ რამ მიიყვანა ადამიანი იქამდე... საბაზისო პრობლემები რაც არის... დავებმართო ადამიანს რომ რაღაც ფინანსური შემოსავალი გაუჩნდეს... ძალადობის შემთხვევის დროს, თუ ადამიანი ძალადობს ცოლზე, შვილზე... ამაზე ვიმუშაო მე... ინსტრუმენტი არის ბევრი... თვითონ

პროგრამებსაც აქვს შეფასების ინსტრუმენტები... [სპეციალისტის მიერ] უნდა მოხდეს გადაფასება, რომ მე სწორად მოვახდინო ზიანის რისკის, დანაშაულის ალბათობის შეფასება და სწორად მივაწოდო სერვისი...“ ასევე, უფროსი მენეჯერული რგოლის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ადამიანების[პრობაციონერების] მოტივაციას, ჩართულობას, სურვილს რომ აღარ გაიმეოროს დანაშაული...“ პრობაციის სააგენტოს სპეციალისტის აზრით, ძალიან დიდი როლი აქვს შეფასებას, ინდივიდუალურ და ჯგუფურ სარეაბილიტაციო მომსახურებაში მსჯავრდებულის ჩართვას, „ასევე, უმნიშვნელოვანესია ამ ადამიანების[პრობაციონერების] პროცესში უშუალო მონაწილეობა“. უფროსი მენეჯერული რგოლის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ „საერთაშორისო მაგალითების გათვალისწინებით... პირები, რომლებიც სარეაბილიტაციო პროცესში არიან ჩართულნი, მათი მინიმუმ 70% მაინც აღარ იმეორებს დანაშაულს... ეს არის ძალიან მაღალი რიცხვი... არიან პირები, რომლებსაც სჭირდებათ მოტივაციაში, გაცნობიერებაში დახმარება, რომ მათ დანაშაული ჩაიდინეს... უკან ამ ადამიანებს ძალიან ბევრი პრობლემა აქვთ, რომლის ტყვეობაშიც არიან მოქცეულნი...“

სფეროს ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრებით, „მთელი სარეაბილიტაციო პროცესი მიმართულია და ფოკუსირებულია იმ საკითხზე, რომ ჩვენ ჯერ გავიგოთ რა არის რისკ-ფაქტორები და მასზე ინტერვენციით შევამციროთ ეს რისკი... ცალკე ინსტრუმენტი რეციდივის შემცირებისთვის საერთაშორისო პრაქტიკიდან არ მახსენდება... ყველაზე ეფექტურია, როდესაც მთლიანად პროცესი ამაზე[დანაშაულის განმეორების პრევენციაზე] მიმართული და შენც სწორედ იმ საჭიროებებზე და რისკებზე უნდა მოახდინო ჩარევა, რომელიც კავშირშია დანაშაულის ჩადენასთან... დანაშაულს რაც იწვევს იმ რისკ-ფაქტორებს სჭირდება თანმიდევრული და ხანგრძლივი მუშაობა...“ სფეროს ექსპერტი ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, რომ მხოლოდ ერთი ინსტრუმენტით ამ საკითხის გადაწყვეტა ნაკლებად რეალისტურია და აღნიშნული საჭიროებს კომპლექსურ, თანმიმდევრულ და ხანგრძლივ მუშაობას. ასევე, სფეროს ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრებით, ინტერვენციის ნაწილში მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების აქტიური ჩართულობა: „შესაძლოა ეს[პრაქტიკოს სპეციალისტთა ნაკლები ჩართულობა] იყოს[გამოწვეული] არასაკმარისი რესურსებით, კომპეტენციის სიმწირით...“

უშუალოდ ინტერვენციის პროცესში სოციალური მუშაკების გაძლიერებული ჩართვა არის გამოწვევა“.

სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს სისტემის ისეთ გამოწვევაზე, როგორცაა კრიმინალური სუბკულტურა: „ერთ-ერთი ბოლო კვლევის მიხედვით ამის მასშტაბები [კრიმინალური სუბკულტურის] უფრო მეტია, ვიდრე შეიძლება ეს ვინმემ წარმოიდგინოს... კრიმინალური სუბკულტურა პრობლემა არის იმიტომ, რომ ძალიან მაღალ კორელაციაშია რეციდივთან და დანაშაულის განმეორებასთან. ამასთან მუშაობის ცალკე სტრატეგია ძალიან მნიშვნელოვანია...“ ასევე, ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზეც, რომ „კრიმინალურ სუბკულტურაზე მუშაობას მხოლოდ სოციალური მუშაკი ვერ შეძლებს და ეს სისტემამ ჯერ უნდა აღიაროს პრობლემად...“ სპეციალისტი აღნიშნავს, რომ პრობაციის სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს სჭირდებათ თანმიმდევრული ჩარხო: „ადამიანები, ვინც არიან ჩართულები კრიმინალურ სუბკულტურაში... ძალიან რთულად სამუშაო კატეგორიაა ბენეფიციარების... საჭიროა სერვისები, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე, ხედავ როგორ ვიმუშაოთ ადამიანებთან...“ სფეროს ექსპერტის მოსაზრებით, კრიმინალური სუბკულტურის საკითხი მნიშვნელოვანი გამოწვევაა მთლიანად სისტემაში და აღნიშნულზე მუშაობა მხოლოდ სოციალური მუშაკის ჩარევით არ იქნება საკმარისი. სპეციალისტი ერთ-ერთ გამოწვევად მიიჩნევს სპეციალიზირებული მომსახურებების დეფიციტს, „რაც შეიძლება უკავშირდებოდეს დანაშაულს“.

სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი განმეორებით დანაშაულთან დაკავშირებით, ყურადღებას ამახვილებს ბაზების საკითხზე, რომელიც გულისხმობს იმას „თუ რამდენად ხელმისაწვდომია სისტემიდან გასულ ადამიანებს მეთვალყურეობა გაუწიოს სისტემამ... სხვადასხვა სტრუქტურებმა საზიარო სისტემა შექმნან, რომ... ოფიციალურად თვალი ადევნონ ამ პროცესებს [ადამიანს სისტემის დატოვების შემდეგ]“. აღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მულტისისტემური თანამშრომლობა და შესაბამისი მექანიზმების/ბაზების დანერგვა-განვითარება, რაც ხელს შეუწყობს პრობაციის სისტემის ყოფილ მომსახურების მიმღებზე ზედამხედველობასა და ინფორმაციის მიღებას, რაც ამ ეტაპზე, შესწავლისა და კვლევის მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენს.

თავი IV ძირითადი მიგნებები და დასკვნები

კვლევის შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა მიგნებები, რომელიც ასახულია შემდეგ თემატურ თავებში: შემთხვევების პრიორიტეტულობა, მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია, კონტროლის მექანიზმები და რისკის მართვა. კერძოდ, შემთხვევების პრიორიტეტულობის ქვეთავში არსებული მიგნებებია: შემთხვევების პრიორიტეტულობის განსაზღვრის სირთულე და სპეციალისტების ერთმანეთისგან ნაწილობრივ განსხვავებული პრაქტიკა, სპეციალისტთა ცოდნისა და კვალიფიკაციის საკითხი, მათ მიერ ბენეფიციარის რისკებისა და საჭიროებების შეფასების შემდგომ ინსტრუმენტის მეშვეობით შემთხვევების გადასინჯვის სირთულე, უწყებათაშორისი მექანიზმების სიმწირე და სისტემებს შორის თანამშრომლობის პრობლემა. მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ქვეთავში გამოკვეთილი მიგნებებია: ჯგუფური სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელების სირთულე, სარეაბილიტაციო პროგრამების მოდიფიცირებისა და ხანგრძლივობის საკითხი, სპეციალისტთა ცოდნა და კვალიფიკაცია, რეაბილიტაციის წარმატების გაზომვის მექანიზმის საჭიროება, რეაბილიტაციის განხორციელებისთვის არსებული არასაკმარისი ადამიანური და მატერიალური რესურსი. კონტროლის მექანიზმების ქვეთავში წარმოდგენილი მიგნებებია: სისტემებს შორის მომსახურების მიმღებებზე მეთვალყურეობისა და ზედამხედველობის ერთიანი მექანიზმის არარსებობა, სპეციალისტთა მიერ კონტროლის განხორციელების სირთულე და სათანადო მექანიზმების არსებობის სიმწირე, სისტემის დატოვების შემდეგ ბენეფიციართა მონიტორინგის პრობლემა, სპეციალისტთა ცოდნა და კომპეტენცია კონტროლის განხორციელებისთვის პრობაციის სისტემაში, რისკებზე „მიყოლის“ სირთულე, რაც გულისხმობს სათანადო რესურსის გაღების აუცილებლობას შესაბამისი რისკების იდენტიფიცირების შემთხვევაში, მათ შორის ელექტრონული სამაჯურის მექანიზმის გამოყენებისას რელევანტური მუშაობის გაწევის საჭიროებას. რისკის მართვის მიმართულებით კვლევაში გამოკვეთილი მიგნებებია: მსჯავრდებულის პირადი და საზოგადოებისთვის არსებული რისკის მართვის, დანაშაულის პრევენციის განხორციელების სირთულე, სპეციალისტთა ცოდნისა და კომპეტენციის ამაღლების

საჭიროება რისკის მართვის სტრატეგიებთან დაკავშირებით, სპეციალისტთა დატვირთვის შეუსაბამობა შემთხვევების რაოდენობასთან.

4.1. შემთხვევების პრიორიტეტულობა

კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად საყურადღებოა მაღალი რისკის შემცველი შემთხვევები, რომელზე ყურადღებასაც ამახვილებენ, როგორც პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები, ასევე სფეროს ექსპერტები. ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ პირველადი შეფასების შემდეგ, მნიშვნელოვანია ინტენსიური მუშაობა ყველასთან, ინსტრუმენტით ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობის მაჩვენებლის ხელახალი შეფასება, რადგან შესაძლებელია, რომ საშუალო დონე ავიდეს მაღალ მაჩვენებელზე. ასევე, სპეციალისტი აღნიშნავს, რომ *„მთელი იდეა რისკის კლასიფიკაციის არის პრიორიტეტული ჯგუფების გამოყოფა და მათთან ინტენსიური მუშაობის წარმართვა“*. შემთხვევების პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით, რესპონდენტთა ნაწილი აცხადებს, რომ პრაქტიკაში აღნიშნული ხორციელდება შემთხვევათა სიმძიმისა და რისკის გათვალისწინებით. ამავე დროს, შემთხვევათა დიდი რაოდენობის ფონზე, სოციალურ მუშაკთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, რომ ხშირად პრიორიტეტულად მუშაობას ახორციელებენ შეფასების ვადების გათვალისწინებით. პრობაციის სისტემაში პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა უმეტესობა არასრულწლოვანთა შემთხვევებს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ასახელებს. სავარაუდოა, რომ სპეციალისტებს მწირი რესურსის ფონზე რისკების გათვალისწინებით სრულწლოვანი პირებისთვის არ რჩებათ სათანადო დრო რელევანტური მუშაობის სრულყოფილად განხორციელებისთვის. აღნიშნულს, სხვა პრობლემურ საკითხებთან ერთად, მივყავართ სპეციალისტთა რაოდენობისა და კომპეტენციის საკითხთან, რაც შესწავლასა და შესაბამის რეაგირებას საჭიროებს სისტემის მხრიდან.

პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა კომპეტენციის გაუმჯობესების საკითხთან მიმართებით, საყურადღებოა, რომ პროფესიული ზედამხედველები მით უფრო აქტიურად არიან ჩართულები სოციალურ მუშაკთა შემთხვევებში, რაც უფრო ახალი კადრია დასაქმებული პირი. სპეციალისტთა ცოდნის ნაწილზე ყურადღებას ამახვილებს

ერთ-ერთი ექსპერტიც, რომლის შეფასებითაც მნიშვნელოვანია, რომ სოციალურმა მუშაკმა შეძლოს საკუთარი ცოდნის გაძლიერება არსებული საჭიროებების გათვალისწინებით. ამასთანავე, შუა მენეჯერული რგოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მათთვის მუშაობის პროცესში ძალიან დამხმარე იქნებოდა სათანადო კვალიფიკაციის მქონე ახალი კადრების დამატება შემთხვევათა დიდი რაოდენობის გათვალისწინებით.

ამრიგად, სოციალური მუშაკებისთვის სირთულეს წარმოადგენს პრაქტიკაში გარკვეული პერიოდულობით რისკისა და საჭიროებების ხელახალი შეფასება და ინტენსიური მუშაობის განხორციელება მომსახურების მიმღებებთან, შემთხვევების პრიორიტეტულობის სისტემატურად განსაზღვრა და აღნიშნულთან დაკავშირებით ერთიანი პრაქტიკის არსებობა.

საერთაშორისო პრაქტიკაში, მაღალი რისკის შემთხვევებთან მიმართებით, ფუნქციონირებს საზოგადოებრივი დაცვის უწყებათაშორისი მექანიზმი (MAPPA), რომელიც პოლიციას, ადგილობრივ ხელისუფლებას, ციხის სამსახურს, ჯანდაცვის ორგანოებს აკისრებს პასუხისმგებლობას შექმნან ერთობლივი ღონისძიებები მაღალი რისკის კატეგორიის კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რისკის შეფასებისა და მართვისათვის. აღნიშნულზე პასუხისმგებელი უწყებები არიან: პოლიცია, პრობაციის სისტემა, პენიტენციური სისტემა (National MAPPA Team, 2012). აღნიშნული მექანიზმი მნიშვნელოვანია სექსუალური და ძალადობრივი ხასიათის სამართალდარღვევების სამართავად. MAPPA-ს მექანიზმის გამოყენებითა და დახმარებით უწყებებს შეუძლიათ უკეთ შეასრულონ თავიანთი საწესდებო პასუხისმგებლობა და კოორდინირებული მუშაობით დაიცვან საზოგადოება. ქვეყნებში არსებული სააგენტოები ნებისმიერ დროს ინარჩუნებენ თავიანთ სამართლებრივ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს. სამართალდამრღვევი პირები, რომლებიც MAPPA-ს კომპეტენციაში არიან, შემდეგნაირად კლასიფიცირდებიან: პირველი კატეგორიის კანონდამრღვევი პირები - სექსუალური ხასიათის დანაშაულის განმახორციელებელი პირები, მეორე კატეგორია - ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის განმახორციელებელი პირები, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 12 თვის ან მეტი დროის განმავლობაში, მესამე კატეგორია - პირები, რომელთაც შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენონ საზოგადოებას,

მაგალითად, მაღალი რისკის მქონე პირები, რომლებიც გასამართლებულნი არიან ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე (Kent Safeguarding Children Partnership , 2018). აღნიშნული მიმართულებით, მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას დამატებითი მექანიზმები მაღალი რისკის შემთხვევების მართვისათვის, არსებული საერთაშორისო მექანიზმები და ბერკეტები, მათ შორის შესაძლებელია MAPPA-ს კონცეფცია მოდიფიცირდეს ადგილობრივ პრაქტიკაზე. გასათვალისწინებელია საერთაშორისო გამოცდილება, რომლის მიხედვითაც, პრობაციის სისტემაში სპეციალიზებული ოფიცრები უფრო მეტად აკონტროლებენ მაღალი რისკის მქონე პირებს (Martin, 2020).

რაც შეეხება, არასრულწლოვანთა შემთხვევებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილის აზრით, 18 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა საქმეები პრიორიტეტულია მუშაობის პროცესში. სოციალური მუშაკების ეროვნული ასოციაცია განიხილავს სოციალური სამართლიანობის პრიორიტეტებს, რომლის შემადგენელი ნაწილია სწორედ სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, მათ შორის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. იგი მოიცავს სისტემაში ხელახლა დაბრუნების საკითხს, გირაოს გადახდას, სასჯელის სამართლიანად განსაზღვრას, სამართალდამცავ ორგანოებს, ციხის რეფორმებს, ასევე არასრულწლოვანთა დაპატიმრებას, არასრულწლოვანთა საკითხს პირობითი მსჯავრის პირობებში (National Association of Social Workers, 2018), რომლის სამართლიანად განხორციელებაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თითოეული ქვეყნის პოლიტიკასა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე.

ადგილობრივ პრაქტიკაში, პრობაციის სისტემაში *„განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის განსაზღვრასთან ერთად, შეფასების დაწყების პირველ ეტაპზე ფასდება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ ზიანის მიყენების რისკი და რისკის დონის განსაზღვრის მიხედვით მსჯავრდებული ერთვება სავალდებულო ან ნებაყოფლობით სარეაბილიტაციო პროგრამაში“* (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 116). რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დღეისათვის, არასრულწლოვნების შეფასება ჯერ-ჯერობით არ ხორციელდება RNA ინსტრუმენტის მეშვეობით, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა. სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის ვალდებულება/ნებაყოფლობითობა განისაზღვრება „მსჯავრდებულის რისკის

შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-8 მუხლის მიხედვით (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, 2015). სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი ხორციელდება გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის/პირების მიერ (ქელბაქიანი & ცაგარელი, 2020).

სამართლებრივი თვალსაზრისით, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში საერთაშორისო დონეზე არსებობს ისეთი დოკუმენტები, როგორცაა: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკინის წესები“), „გაეროს“ წესები თავისუფლებაადკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ („ჰავანას წესები“), „გაეროს“ სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით („რიადის სახელმძღვანელო პრინციპები“)⁴ (აბულაშვილი, 2019, გვ. 10). ჩამოთვლილი თითოეული დოკუმენტი ხაზს უსვამს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოსა და შესაბამისი სისტემებისა და ინსტიტუტების მიერ. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მიმართებით, როგორც სოციალური მუშაკის, ასევე სხვა ნებისმიერი სპეციალისტის მუშაობის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს ბავშვის უფლებები და „*მართლმსაჯულების სისტემა არასრულწლოვანთა მიმართ უნდა იქნას მიმართული პირველ რიგში არასრულწლოვნის კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ, რათა არასრულწლოვან სამართალდამრღვევზე ზემოქმედების ზომები იყოს ყოველთვის თანაზომადი როგორც სამართალდამრღვევის პიროვნების, ასევე სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებებთან*“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2017, გვ. 5).

4.2. მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია

იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დღეს პრობაციის სისტემის ბაზაზე ფუნქციონირებს 23 სარეაბილიტაციო პროგრამა. 2020 წლის კვლევის მიხედვით, პრობაციის ბიუროებში მომსახურების ძირითადი მიმწოდებლები (70%) არიან უშუალოდ პრობაციის ეროვნული სააგენტოს

სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები (ქელბაქიანი & ცაგარელი, 2020). მათთვის სირთულეს წარმოადგენს ჯგუფური სარეაბილიტაციო მომსახურებების განხორციელება, რომელიც, ეფექტურია და ამავდროულად უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის მართვას. პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბენეფიციართა სპეციფიკის გათვალისწინებით, მათთვის სირთულეს წარმოადგენს ჯგუფების შექმნის შემდეგ პირთა სისტემატური ჩართულობა მომსახურებაში. ამასთანავე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სისტემაში არის გამოწვევები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. რეგიონები, სადაც ხელმისაწვდომი არ არის სოციალური მუშაკი/ფსიქოლოგი, სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით იკვეთება ხარვეზები: *„პრობაციის ბიუროს იმ სამოქმედო ტერიტორიაზე, რომელზეც არ ხორციელდება სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურება, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასებას და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას პრობაციის ოფიცერი უზრუნველყოფს“* (ქელბაქიანი & ცაგარელი, 2020, გვ. 55). ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის რეკომენდაციით, ინტერვენცია მიზნად უნდა ისახავდეს რეაბილიტაციასა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციას. პრობაციის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ მომსახურების მიმღებებთან მუშაობისას გამოყენებულ იქნას სხვადასხვა რელევანტური მეთოდი (Council of Europe, 2010). სოციალური მუშაობის მეთოდების პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით, სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ *„ჩვენთან სოციალური მუშაობა უმეტესად შემთხვევის მართვასთან ასოცირდება, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ მუშაკს ბევრი სხვა მეთოდი სჭირდება მუშაობისას“*.

სოციალურ მუშაკთა ერთ-ერთი პროფესიული ზედამხედველის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, იგეგმება სარეაბილიტაციო მომსახურებების გადახედვა, ცვლილებების შეტანა და პროგრამების ხანგრძლივობის გაზრდა, რაც მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორია სარეაბილიტაციო მომსახურებების წარმართვისათვის. ამ დროისათვის, ყველა სარეაბილიტაციო პროგრამას არ აქვს პრე და პოსტ კითხვარები, საჭიროებს გადახედვას და ცვლილებების შეტანას. პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ქცევის ცვლილების მნიშვნელობაზე სარეაბილიტაციო პროგრამების მეშვეობით, თუმცა ამ ეტაპზე, არ არსებობს შესაბამისი ინსტრუმენტები და

ინდიკატორები, რომლითაც შეფასდება ადამიანის ქცევის ცვლილება. აღნიშნული მიმართულებით, სპეციალისტთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა „ბერკეტი“ არის მომსახურების მიმღებთან უშუალო კომუნიკაცია, მის ქცევაზე დაკვირვება და მომსახურების მიმდინარეობისას პირადი ჩანაწერების წარმოება. უფროსი მენეჯერული რგოლის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაკებისთვისა და ფსიქოლოგებისთვის არსებობს თვითშეფასების კითხვარები და ტესტები, თუმცა აღნიშნული არ იძლევა მომსახურების მიმღების ქცევის/რისკის ცვლილების შეფასების შესაძლებლობას.

რაც შეეხება, სარეაბილიტაციო მომსახურებების წარმატების მაჩვენებელს, პრობაციის სააგენტოს უფროსი მენეჯერული რგოლის ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე არ არსებობს აღნიშნულის გაზომვისათვის შესაბამისი ინდიკატორები და ინსტრუმენტი და კვლევისა და სერვისების დეპარტამენტთან ერთად იგეგმება შესაბამისი მუშაობის განხორციელება. სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ამ ტიპის მომსახურების შეფასებისთვის მისი დაწყების პირველი ეტაპიდან მნიშვნელოვანია გარკვეული პერიოდის გასვლა, რათა რელევანტური იყოს ამ საკითხის შესწავლა. პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ხორციელდება სტატისტიკის წარმოება განმეორებით დანაშაულთან დაკავშირებით. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მკვლევარებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, თუ რა მუშაობს ინდივიდებისთვის კონკრეტულ გარემოებებში. კლინგელი გვთავაზობს მიზეზებს, რის გამოც დანაშაულის განმეორების მაჩვენებელი შეიძლება იყოს ცუდი საზომი რეაბილიტაციის წარმატების შეფასებისთვის და მხარს უჭერს უფრო ნიუანსურ მაჩვენებლებს (Huebner & Inzana, 2020). კლინგელის მიხედვით, დანაშაულის განმეორების მიმართულებით არსებული მონაცემები, რომლებზეც მახვილდება ყურადღება, ავლენს მხოლოდ იმ ქცევას, რის გამოც ადამიანმა მიიპყრო სამართალდამცავების ყურადღება და არ ავლენს იმას, როგორ იქცევა ადამიანი ქუჩასა თუ სახლში. ძირითადი მონაცემები შესაძლოა დამახინჯებული იყოს პოლიციის, ზედამხედველების შეუსაბამო პრაქტიკით. ადამიანის კეთილდღეობის მარკერები,

შესაძლოა არ იყოს რაოდენობრივი მაჩვენებელი, თუმცა ისინი არანაკლებ მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ჩარევის განხორციელებისათვის, რის შედეგადაც შეიძლება გაუმჯობესდეს/გაუარესდეს ადამიანთა მდგომარეობა (Klinge , 2019).

იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2011 წელს 1525 არაპატიმარ მსჯავრდებულთა 3,9%-მა, 2012 წელს 1601 ბენეფიციარის 4,8%-მა, 2013 წელს 1515 პირის 13,2%-მა, 2014 წელს 637 მომსახურების მიმღების 4,1%-მა, 2015 წელს - 455-ის 2,4%-მა, 2016 წელს - 575-ის 2,7%-მა, 2017 წელს 380-ის 1,7%-მა, 2018 წელს 661-ის 3,2%-მა, 2019 წელს 643-ის 3,1%-მა, 2020 წელს 605-ის 3%-მა, 2021 წლის 31 აპრილის ჩათვლით არსებული მონაცემებით, 177 პირის 1%-მა განხორციელა განმეორებითი დანაშაული. ამავე სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, *„არაპატიმარ მსჯავრდებულთა რეციდივის მაჩვენებელს სქესის და ასაკის მიხედვით სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო არ აწარმოებს“.*

4.3. კონტროლის მექანიზმები

კვლევის განხორციელებისას გამოიკვეთა, რომ სისტემის დატოვების შემდეგ არ არსებობს ყოფილ ბენეფიციარებზე მეთვალყურეობისა და ზედამხედველობის ერთიანი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ოფიციალური ინფორმაციის მიმოცვლა უწყებებს შორის. სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი კონტროლთან და განმეორებით დანაშაულთან დაკავშირებით, ყურადღებას ამახვილებს ბაზების საკითხზე, რომელიც გულისხმობს იმას *„თუ რამდენად ხელმისაწვდომია სისტემიდან გასულ ადამიანებს მეთვალყურეობა გაუწიოს სისტემამ... სხვადასხვა სტრუქტურებმა საზიარო სისტემა შექმნან, რომ... ოფიციალურად თვალი ადევნონ ამ პროცესებს[ადამიანს სისტემის დატოვების შემდეგ]“.* აღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მულტიუწყებრივი თანამშრომლობა და შესაბამისი მექანიზმების/ბაზების დანერგვა-განვითარება, რაც ხელს შეუწყობს პრობაციის სისტემის ამჟამინდელ და ყოფილ მომსახურების მიმღებზე ზედამხედველობასა და ინფორმაციის უწყვეტად მიღებას.

რაც შეეხება, ადგილობრივ პრაქტიკაში არსებულ კონტროლის მექანიზმებს, სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებენ თითის ანაბეჭდის მექანიზმზე, რომელიც დღეს დანერგილია პრობაციის სისტემაში. პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების ნაწილის მოსაზრებით, კონტროლის მექანიზმის გამრავალფეროვნების/საჭიროების შემთხვევაში გაძლიერების ნაცვლად უფრო მეტად მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო მომსახურებების დახვეწა და მათი აქტიური განხორციელება. ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, „თუ რამდენად ნიშნავს, პირობითად კვირაში ერთხელ თითის ანაბეჭდის აღება“ კონტროლს. ასევე, ერთ-ერთი სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ კონტროლის ნაწილს მსჯავრდებულები უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას, ვიდრე რეაბილიტაციას. აღნიშნული მექანიზმის მიმართულებით, სოციალური მუშაკების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „მულტიგუნდის შეხვედრაზე შესაძლოა პრობაციის ოფიცერმა ყურადღება გაამახვილოს, რომ მსჯავრდებული ყოველთვის ცხადდება ანაბეჭდის დაფიქსირებისთვის“, თუმცა ერთ-ერთი სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ ეს მექანიზმი მისთვის ნაკლებად დამხმარეა. ამასთანავე, პრაქტიკოსები ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით შეიძლება გამრავალფეროვნდეს კონტროლის მექანიზმი მსჯავრდებულ პირებთან მიმართებით. ერთ-ერთი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, რომ სავალდებულო გამოცხადების გარეშე მისთვის რთული იქნებოდა სარეაბილიტაციო მომსახურებაში პრობაციონერის ჩართვა: „ჩვენთან როცა მოდის [მომსახურების მიმღები], მერე ახერხებ რომ შეხვდე... თუნდაც პრობაციის ოფიცრის დახმარებით მასთან კომუნიკაცია შედგეს“. ასევე, ერთ-ერთი სპეციალისტის აზრით, თითის ანაბეჭდის მექანიზმით მომსახურების მიმღები გრძნობს გარკვეულ პასუხისმგებლობას სისტემის მიმართ. კონტროლთან დაკავშირებით, უფროსი მენეჯერული რგოლის წარმომადგენლის მოსაზრებით, საჭიროებას წარმოადგენს არა მხოლოდ აღნიშნული კონტროლის განხორციელება, არამედ პრობაციის ოფიცრების მიერ ვიზიტების განხორციელება, მაგალითად, მომსახურების მიმღების სამსახურში/სხვა გარემოში, რათა ადგილზე მიიღოს ინფორმაცია სპეციალისტმა თუ როგორ გარემოშია და რას საქმიანობს მისი ბენეფიციარი. ამ ეტაპზე, აღნიშნული კვლევის ფარგლებში, უცნობია, რამდენად აქვთ პრობაციის ოფიცრებს

ცოდნა და კომპეტენცია სათანადო კომუნიკაციის დამყარებისთვის მომსახურების მიმღების მხარდამჭერ პირებთან. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, პრობაციის ოფიცრებს, რომლებსაც ხშირად საზოგადოებრივი უსაფრთხოების ოფიცრებადაც მოიხსენიებენ, ეკისრებათ მსჯავრდებულთა მონიტორინგის პასუხისმგებლობა, რათა მოხდეს განმეორებითი დანაშაულის პრევენცია და ამავდროულად, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა. ისინი მუშაობენ, როგორც არასრულწლოვან, ისე სრულწლოვან მსჯავრდებულებთან პრობაციის სისტემაში. ისინი ქმნიან ინდივიდუალურ გეგმას პირისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევისთვის, რათა მომსახურების მიმღებებმა გაიარონ რეაბილიტაციის კურსი. მათი მომსახურების მეშვეობით ბენეფიციარებს სისტემა სთავაზობს ტრენინგების რესურსს, ნარკოლოგიური შემოწმების მეთვალყურეობას, ქცევის ცვლილებაზე მუშაობას, რათა თავიდან იქნას აცილებული განმეორებითი დანაშაული. პრობაციის ოფიცრებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი ადამიანური მომსახურების სფეროში. ისინი აღჭურვილნი უნდა იყვნენ შესაბამისი ცოდნითა და უნარებით სამართალდამრღვევებთან, ოჯახებთან, მოსამართლეებთან, სამართალდამცველებთან და მკურნალობის სფეროში სპეციალისტებთან რეგულარული კომუნიკაციისთვის. შესაბამის აკადემიურ ცოდნასთან ერთად, პრობაციის ოფიცრებს ესაჭიროებათ მთავრობის მიერ მომზადებული სპეციალური სასწავლო პროგრამის გავლა, სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება და სამართალდამრღვევ პირებთან ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება. უმაღლესი აკადემიური განათლების მიღებისას, ბევრი პრობაციის ოფიცერი ირჩევს სოციალურ მუშაობის პროგრამას, რათა მოემზადოს ინტერპერსონალური, ორგანიზაციული, ანალიტიკური და სხვა ტიპის უნარების განვითარებისთვის პრობლემების გადასაჭრელად. აღნიშნული მნიშვნელოვანია მკურნალობის ინდივიდუალური გეგმის სწორად დასახვისათვის (Social Work Degree Guide, 2021).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასაპატიმრო ღონისძიებების განხორციელების ძირითად მიზანს წარმოადგენს კანონდამრღვევი პირისთვის პატიმრობის ნაცვლად ეფექტური ალტერნატივების შერჩევა ინდივიდუალური საჭიროებებისა და ჩადენილი დანაშაულის პროპორციულობის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, პრობაციის სამსახურის მარეგულირებელი ისეთი საერთაშორისო სტანდარტები, როგორიცაა

„არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები“ („ტოკიოს წესები“), რომელიც ადგენს არასაპატიმრო ზომების გამოყენების ძირითად პრინციპებს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია „*ბალანსირება მოახდინოს არასაპატიმრო ზომების გამოყენების წახალისებასა და აღნიშნულზე შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას შორის, რაც ამ ზომებზე კონტროლის არაპროპორციულობის პრევენციას ისახავს მიზნად*“ (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 286).

არასაპატიმრო ღონისძიებების განხორციელებისას გაწეული ზედამხედველობა მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის პრევენციას, მსჯავრდებულის საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობას. ზედამხედველობის გაწევას, ერთი მხრივ, აქვს კონტროლის წარმოების, ხოლო მეორე მხრივ-კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის წახალისების ფუნქცია, რათა არ განახორციელოს ხელახალი დანაშაული (არსოშვილი & მიქანაძე, 2015). წახალისების მექანიზმებთან დაკავშირებით, სოციალური მუშაკები და პრობაციის ბიუროს უფროსები აღნიშნავენ, რომ სისტემაში დანერგილია აღნიშნული მექანიზმი, რომლებიც გამოიყენება მომსახურების მიმღების მხრიდან აქტიური თანამშრომლობისა და სარეაბილიტაციო მომსახურებებში სისტემატური ჩართულობის შემთხვევაში. წახალისების მექანიზმის მეშვეობით, ადგილობრივ პრაქტიკაში, შესაძლებელია მომსახურების დაწყებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, არასაპატიმრო სასჯელის ხანგრძლივობის შემცირება/შემსუბუქება.

პრობაციის სააგენტოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიზანი უნდა იყოს მსჯავრდებულის წახალისება და მისი რეაბილიტაცია. გასათვალისწინებელია, რომ „*მსჯავრდებულის მიერ დადგენილი პირობების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს არასაპატიმრო ღონისძიების პირობების შეცვლა ან გაუქმება, თუმცა, აღნიშნული არ უნდა გულისხმობდეს არასაპატიმრო ღონისძიებების თავისუფლების აღკვეთით ავტომატურად ჩანაცვლებას*“ (არსოშვილი & მიქანაძე, 2015, გვ. 292).

რაც შეეხება, არასაპატიმრო სასჯელის ისეთ სახეს, როგორცაა შინაპატიმრობა, საქართველოში აღნიშნული რეგულირდება 2017 წლის ბრძანებით „*შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ*“ (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, 2017). შინაპატიმრობის მექანიზმი ვრცელდება, როგორც

სრულწლოვან, ისე არასრულწლოვან პირებზე. ამავე დოკუმენტის მე-3 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის მიხედვით, „შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით ან კანონის 44⁸ მუხლის მე-8 პუნქტით¹⁵ გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით, ოფიცრის პერიოდული საკონტროლო ვიზიტების საშუალებით, რაც გულისხმობს მსჯავრდებულთან შინაპატიმრობის მოქმედების საათებში, სასჯელის აღსრულების ადგილზე თვეში არანაკლებ ექვსი, გაუფრთხილებელი ვიზიტის განხორციელებას“ (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, 2017). აღნიშნული ელექტრონული მექანიზმის არსებობაზე ყურადღებას ამახვილებს რესპონდენტთა მცირე ნაწილი. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამ მიმართულებით აქტიური პრაქტიკა ამ დროისათვის არ ხორციელდება, მათ შორის არც რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიმართულებით. პრობაციის ერთ-ერთი ბიუროს უფროსის აზრით, აღნიშნული მექანიზმი დიდ თანხასთან არის დაკავშირებული, თუმცა სპეციალისტის მხრიდან არ არის გათვალისწინებული ის ფაქტორი, რომ ფინანსური თვალსაზრისით დახურულ დაწესებულებაში ადამიანის ყოფნა უფრო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე მის გარეთ. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებული პირი არ იქნება პენიტენციურ დაწესებულებაში, ნაკლებად იქნება მასზე ინსტიტუციური გავლენა და ექნება საზოგადოებაში ფუნქციონირების შესაძლებლობა. ამავდროულად, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია იმ მსჯავრდებულთა დაწესებულების გარეთ ყოფნა, რომელთა რისკი შესაძლებელია იმართოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ. გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომ აღნიშნული მექანიზმის გამოყენება კავშირშია რისკის დონეებთან და რაც უფრო მაღალია რისკი, მით მეტი რესურსის მიმართვაა საჭირო შემთხვევის სამართავად. იმის გათვალისწინებით, რომ სპეციალისტთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით ინტენსიური მუშაობა ვერ ხორციელდება ელექტრონული სამაჯურის მქონე მსჯავრდებულებთან, სპეციალისტისთვის კიდევ უფრო მეტად

¹⁵ საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, მუხლი 44⁸ შინაპატიმრობის აღსრულების წესი: „იქ, სადაც შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით კონტროლი ტექნიკურად შეუძლებელია, კონტროლი ხორციელდება მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე პრობაციის ოფიცრის გაუფრთხილებელი ვიზიტით, თვეში არანაკლებ ექვსჯერ, რის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი“.

რთულდება რისკის კონტროლი, მსჯავრდებულის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისთვის შესაბამისი მუშაობის წარმართვა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების შესწავლას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საჯარო მონაცემებით(საანგარიშო პერიოდი - 2021 წლის იანვარი), შინაპატიმრობა შეფარდებული აქვს 428 მსჯავრდებულს, საიდანაც 49,8% (N=213) არის თბილისში არსებული შემთხვევები (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021, გვ. 116). აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროებას წარმოადგენს პრობაციის სისტემაში ისეთი პრაქტიკის დანერგვა-განხორციელება, რომელიც მნიშვნელოვნად იქნება ორიენტირებული შინაპატიმრობის მქონე ადამიანებზე, რომელთაც სხვა მსჯავრდებულებთან ერთად ესაჭიროებათ რისკის მართვა, რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია, ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია რისკი, მით მეტი რესურსია საჭირო რელევანტური მუშაობის განსახორციელებლად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპეციალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ მიმართულებით, ინტენსიური პრაქტიკა ნაკლებად ხორციელდება, რაც პრაქტიკის ერთ-ერთ ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ.

4.4. რისკის მართვა

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, მათ შორის პრობაციის სისტემაში, სპეციალისტთა მუშაობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია პასუხისმგებლობა და რისკის მართვა. კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდგომ საჭიროებას წარმოადგენს ზიანის რისკის შემცირებასა და კონტროლზე მუშაობის გაგრძელება. პირებს, რომელთაც განვითარებული არ აქვთ პიროვნული პასუხისმგებლობა, ვალდებულებისა და საკუთარი თავის კონტროლის უნარი, შესაძლოა დაუბრუნდნენ ძველ დევიაციურ ქცევას (The Scottish Government, 2010). ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ დღესაც არსებობს „ჩავარდნა“ პენიტენციურ და პრობაციის სისტემებს შორის, რაც მოიაზრებს იმას, რომ ყოფილ მსჯავრდებულთა შესახებ არ ხორციელდება სისტემებს შორის ინფორმაციის სისტემატური გაცვლა მომსახურების მიმღების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილი აღნიშნავს,

რომ პენიტენციურ სისტემაში ბენეფიციარის წარსული გამოცდილების შესახებ ინფორმაციას იღებს უშუალოდ მომსახურების მიმღებისგან. ამავდროულად, სპეციალისტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ არასრულწლოვნების შემთხვევების დროს სისტემებს შორის უფრო ხშირი შეიძლება იყოს ინფორმაციის გაცვლა.

არსებობს მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც დანაშაულისგან „განდგომის“ შედეგი შესაძლოა იყოს დამნაშავისათვის მოტივაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა. ამასთანავე, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის რეაბილიტაციის განხორციელების პროცესის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს კონტროლი, რათა პირს ხელი შეეწყოს გააკონტროლოს საკუთარი ქცევა (The Scottish Government, 2010) . საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ პრობაციის ოფიცრის მიერ, როდესაც სწორად ხორციელდება მეთვალყურეობა, სამართალდამრღვევს შეუძლია გააცნობიეროს საკუთარი ქმედებების შესაძლო შედეგები. კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს შეუძლია სასარგებლო შედეგი მიიღოს პრობაციის ოფიცერთან სისტემატური შეხვედრების შედეგად (Latessa, 2021). კრიმინოგენული საჭიროების პრინციპიდან გამომდინარე, მსჯავრდებულისთვის არსებული პროგრამები ფოკუსირებული უნდა იყოს დინამიკურ ფაქტორებზე. ყველაზე პერსპექტიული სამიზნე ცვლილება მოიცავს ანტისოციალური დამოკიდებულებების, ფიქრების ცვლილებასა და პირადი კონტროლის განხორციელების საკითხებს, მათ შორის მავნე ნივთიერებების მოხმარებას, აგრესიას. ამასთანავე, მსჯავრდებულებზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება მნიშვნელოვანია, როგორც ბენეფიციარის, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის. მტკიცებულებების მიხედვით, გარე კონტროლი დაიცავს საზოგადოებას და ამავდროულად, შესაძლებელი იქნება საზოგადოებასთან ურთიერთთანამშრომლობის შენარჩუნება (The Scottish Government, 2010).

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასა და კონტროლში საჭიროა სპეციალისტთა, მათ შორის სოციალური მუშაკების აქტიური ჩართულობა. დღეს, სოციალური მუშაკებს მოუწოდებენ, ისე როგორც არასდროს, იმოქმედონ კანონმდებლობის ფარგლებში და ითანამშრომლონ სხვა სისტემებთან სოციალური ცვლილებების მისაღწევად. თუ სოციალური მუშაობის პროფესია უნდა

აკონტროლებდეს პროფესიის მომავალს, ის უნდა გახდეს იურიდიულ/საკანონმდებლო სისტემაზე გავლენის მომხდენი ადვოკატირების მეშვეობით (Maschi & Leibowitz, 2017).

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა სოციალური მუშაკის როლი განმეორებითი დანაშაულის პრევენციისა და ზიანის რისკის შემცირებაში, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. მკვლევრის მიერ განხორციელებული კვლევის, ოფიციალური დოკუმენტებისა და ლიტერატურის შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ პრობაციის სისტემა და თავად არაპატიმარ მსჯავრდებულებთან მომუშავე სპეციალისტები დგანან ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორც არის შემთხვევათა დიდი რაოდენობა და შეზღუდული დროითი რესურსი, რის გამოც, სრულყოფილად ვერ ხორციელდება მომსახურების მიმღებებისთვის სისტემატური მომსახურების მიწოდება. სისტემაში არსებული საკადრო სიმცირე, ზოგიერთ შემთხვევაში, სპეციალისტთა სათანადო ცოდნისა და კომპეტენციის სიმწირე ართულებს ბენეფიციარებისთვის სათანადო მომსახურების შეთავაზებასა და რელევანტური მიმართულებებით მუშაობის წარმართვას. კერძოდ, პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შემთხვევათა დიდი რაოდენობის გამო, მათი მუშაობა უმეტესად მიმართულია კანონმდებლობით დადგენილი შეფასების ვადების დაცვაზე, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა შემთხვევებში, რის გამოც, სფეროს ერთ-ერთი ექსპერტის შეფასებით: *„თითქოს სისტემა გადასულია კრიზისის მოგვარებაზე... ნაკლები სივრცე რჩება სარეაბილიტაციო მუშაობისთვის“*.

2011 წლის კვლევის მიხედვით, პირობით მსჯავრდებულები აფასებდნენ პრობაციის სააგენტოს საქმიანობას რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიმართულებით. ყველაზე ეფექტურად ისინი მიიჩნევდნენ დახმარების გაწევას ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და დასაქმებაში, თუმცა, საყურადღებოა, რომ სამსახურში დასაქმებას პროცენტულად საკმაოდ მცირე მაჩვენებელი აქვს. ამავე კვლევის მიხედვით, პირობით მსჯავრდებულები ყველაზე ნაკლებ ეფექტურად მიიჩნევდნენ ტრენინგებზე დასწრებასა და ინდივიდუალური გეგმის შემუშავების ნაწილს (წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო ცენტრი, 2011). იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კვლევა რამდენიმე წლის წინ არის განხორციელებული, რის შემდეგაც

პრობაციის სისტემაში ეტაპობრივად განხორციელდა ცვლილებები სრულწლოვან მსჯავრდებულთა შეფასების ინსტრუმენტისა და სარეაბილიტაციო მომსახურებების მიმართულებით, აღნიშნული საკითხი საჭიროებს ხელახლა შესწავლასა და დღეისათვის არსებული მდგომარეობის შეფასებას.

ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლისას ზიანის რისკის შემცირებასა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციის საკითხთან დაკავშირებით, პრაქტიკოსი სოციალურ მუშაკებისა და მათი პროფესიული ზედამხედველების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სრულწლოვან მსჯავრდებულთა შემთხვევაში შეფასება მიმდინარეობს RNA ინსტრუმენტით, რაც სპეციალისტებს (პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი) აძლევს შესაძლებლობას, რომ ქულობრივი სისტემით იქნას შეფასებული ბენეფიციარის ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობა. აღნიშნული ინსტრუმენტის სისტემაში დანერგვა დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ, თუმცა მწირი რესურსებისა და სხვადასხვა ფაქტორის გამო, სპეციალისტებს ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა, რომ 6 თვეში ერთხელ ინსტრუმენტით გადასინჯონ აღნიშნული მაჩვენებლის ცვლილება. აღნიშნული კი ხელს უშლის რისკის ეფექტურად მართვას. პრაქტიკოს სპეციალისტთა და მათ პროფესიულ ზედამხედველთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პირველადი შეფასების შემდეგ, სოციალური მუშაკები უმეტესად ეყრდნობიან პირად ჩანაწერებსა და მომსახურების მიმღებზე დაკვირვებას, რაც არ იძლევა სრულყოფილად რისკების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. სპეციალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათთვის დღეს არსებული ძირითადი რესურსია RNA-ის შეფასების ინსტრუმენტი და შიდა სარეაბილიტაციო მომსახურებები, რომელთა მხოლოდ ნაწილს აქვს დღეისათვის პრე და პოსტ კითხვარები. რაც შეეხება, გარე სერვისებს, რესპონდენტების თქმით, აღნიშნული საკმაოდ მწირია თბილისის მასშტაბით, რეგიონებში კი კიდევ უფრო მეტი სირთულეა ამ კუთხით.

ადგილობრივ პრაქტიკაში შემთხვევის მმართველი არის ოფიცერი, რომელიც რისკის დონის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციარს ამისამართებს სოციალურ მუშაკთან და ფსიქოლოგთან. 2015 წლის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანების, „მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის

პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“, მიხედვით განსაზღვრულია ზიანის რისკის 3 დონე: დაბალი, საშუალო და მაღალი. აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლის მიხედვით, „ზიანის რისკის დონე განისაზღვრება მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმის მე-2 ნაწილის საინფორმაციო ველებისათვის მინიჭებული ქულების ჯამის მიხედვით“ (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი, 2015).

ინტერვიუების შედეგად, სპეციალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დაბალი რისკის შემთხვევაში მომსახურების მიმღების შემთხვევა რჩება პრობაციის ოფიცერთან, საშუალო და მაღალი რისკის იდენტიფიცირებისას, ბენეფიციარი მისამართდება სოციალურ მუშაკთან, ასევე მაღალი რისკის არსებობისას აუცილებლად ერთვება ფსიქოლოგი. მკვლევრის აზრით, მნიშვნელოვანი შესწავლის საგანია, რამდენად პასუხობს არსებული სარეაბილიტაციო მომსახურებები ბენეფიციარების ინდივიდუალურ საჭიროებებს, რამდენად არის შესაძლებელი მომსახურების უწყვეტ რეჟიმში წარმართვა, მაღალი რისკის იდენტიფიცირების შემთხვევაში, რამდენად ეფექტურად იმართება შემთხვევები პრობაციის ოფიცერის/ფსიქოლოგის/სოციალური მუშაკის მიერ და ხომ არ არსებობს სისტემაში დამატებითი მექანიზმების განვითარების საჭიროება რისკების მართვისათვის. სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ბენეფიციარებს ხშირად აქვთ ისეთი საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილებაც მხოლოდ სარეაბილიტაციო მომსახურებების მიწოდებით ვერ მიიღწევა... სიღარიბე, უმუშევრობა... მაგალითად, არასრულწლოვნის შემთხვევაში ოჯახის მხარდაჭერა, რომელიც მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოსკენ გადმოდის... მნიშვნელოვანია მულტიუწყებრივი თანამშრომლობა... მხოლოდ პრობაციის სოციალური მუშაკი ყველა საჭიროებას ვერ აწევს... ეს უკვე, პრობლემაა, კოორდინირებული მუშაობა...“

რისკის შეფასებას შეუძლია მხოლოდ ზიანის ალბათობის დადგენა, გავლენის შეფასებით კი შესაძლებელია ინდივიდებისათვის ისეთი სტრატეგიული ინტერვენციის დაგეგმვა, რომელსაც შეუძლია შეამციროს რისკი ან ზიანი. მხოლოდ შეფასების განხორციელებით არ არის შესაძლებელი რისკის პრევენცია (Hope & Sparks, 2015). გამოკითხულ პრაქტიკოს სოციალურ მუშაკთა ნაწილი აღნიშნავს, რომ მათი პრაქტიკული მუშაობის განხორციელების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს რისკის

პრევენცია, თუმცა ერთ-ერთი სპეციალისტის განცხადებით: „ინსტრუმენტები რეციდივის პრევენციისთვის ასე თუ ისე არის... თუმცა მთავარია სერვისები... როცა, მაგალითად დანაშაული არის ქურდობაზე და მომხდარს განიხილავენ ეკონომიკურ ჭრილში, მე როცა ვერ ვთავაზობ რეალურ გამოსავალს, რეალურ შემოსავლის წყაროს და ვეუბნები, რომ მხოლოდ ამში გადაგამზადებ და მერე შენით იპოვე სამსახური, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ისევ განმეორდეს დანაშაული“.

4.5. რეკომენდაციები

მკვლევრის მიერ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებისა და მეორეულ მონაცემთა გაანალიზების საფუძველზე წარმოდგენილი რეკომენდაციები:

- იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცი-რეაბილიტაციის დეპარტამენტში საჭიროებას წარმოადგენს სოციალური მუშაკების კადრების რაოდენობის ზრდა. სპეციალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სოციალური მუშაკებს აქვთ დაახლოებით 100 ან მეტი შემთხვევა, რის გამოც ბენეფიციარებისთვის სრულყოფილად ვერ ხორციელდება სათანადო მომსახურების მიწოდება. საქართველოს კანონის, „სოციალური მუშაობის შესახებ“, 47-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით: „სოციალური მუშაკის სამუშაოს სირთულიდან გამომდინარე, დადგენილია მიმდინარე საქმეთა (შემთხვევათა) ზღვრული ოდენობა. შემთხვევების რაოდენობა 50-ს არ უნდა აღემატებოდეს. დამატებით მიღებული საქმეებით გათვალისწინებული შემთხვევები არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ ოდენობას ამ ოდენობის ერთი მესამედით“ (საქართველოს პარლამენტი, 2018);
- საჭიროებას წარმოადგენს სარეაბილიტაციო მომსახურებების გადახედვა, მათი მოდიფიცირება და პროგრამების ხანგრძლივობის გაზრდა, მათ სრულ სტრუქტურულიზაციაზე მუშაობის განხორციელება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მკვლევრისთვის ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, მიმდინარეობს მუშაობა, კერძოდ,

სარეაბილიტაციო მომსახურებების რაოდენობის შედარებით შემცირება, მათი მოდიფიცირება და ხანგრძლივობის გაზრდა;

- საჭიროებას წარმოადგენს რეაბილიტაციის წარმატების გაზომვა, რასთან დაკავშირებითაც, ამ ეტაპზე, პრობაციის სისტემაში ჯერ-ჯერობით არ არსებობს ინსტრუმენტი და არ არის განსაზღვრული ინდიკატორები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია საერთაშორისო გამოცდილება, რომლის მიხედვითაც დანაშაულის განმეორების მაჩვენებელი შეიძლება იყოს ცუდი საზომი რეაბილიტაციის წარმატების შეფასებისთვის და მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნას ნიუანსური მაჩვენებლები (Huebner & Inzana, 2020) ;
- მნიშვნელოვანი საკითხია სპეციალისტთა კომპეტენციის გაუმჯობესებაზე მუშაობა, რათა მათ მიერ შესაძლებელი იყოს რისკის დონის გათვალისწინებით პრიორიტეტულ შემთხვევებზე ინტენსიური მუშაობა. დღეისათვის არსებული მწირი ადამიანური და დროითი რესურსით, სოციალური მუშაკებისთვის სირთულეს წარმოადგენდეს შემთხვევათა პრიორიტეტულობის განსაზღვრა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ რისკის საშუალო მაჩვენებელი შესაძლოა ავიდეს მაღალ დონეზე, რასთან დაკავშირებითაც სპეციალისტების მხრიდან მნიშვნელოვანია დროული რეაგირების განხორციელება. იმის გათვალისწინებით, რომ მწირი დროითი რესურსის ფონზე, სპეციალისტების მიერ RNA ინსტრუმენტით ვერ ხორციელდება 6 თვეში ერთხელ ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობის მაჩვენებლის ხელახალი შეფასება, შესაძლოა ეს დამაზიანებელი აღმოჩნდეს მთელი სამუშაო პროცესისათვის. ამ ეტაპზე, მკვლევრისთვის არსებული ინფორმაციით, ინტერვენციის განხორციელებისას სრულწლოვან მომსახურების მიმღებზე ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი წყაროა მის ქცევაზე დაკვირვება და სპეციალისტის მიერ გაკეთებული ჩანაწერები. სრულწლოვანი პირის შემთხვევაში, სოციალურ მუშაკს ესაჭიროება ბენეფიციარის თანხმობა ოჯახში ვიზიტის განხორციელების თაობაზე;

- კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანი შესწავლის საგანია სარეაბილიტაციო მომსახურებების საკითხი. 2020 წლის კვლევის მიხედვით, პრობაციის ბიუროებში მომსახურების ძირითადი მიმწოდებლები (70%) არიან უშუალოდ პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები (ქელბაქიანი & ცაგარელი, 2020). იმის გათვალისწინებით, რომ პრობაციის ბიუროს ყველა ფილიალში (რეგიონებში) არ არის სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, სირთულეს წარმოადგენს ბენეფიციარებისთვის რელევანტური მომსახურების მიწოდება. 18 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან დაკავშირებით, *„პრობაციის ბიუროს იმ სამოქმედო ტერიტორიაზე, რომელზეც არ ხორციელდება სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურება, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასებას და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას პრობაციის ოფიცერი უზრუნველყოფს“* (ქელბაქიანი & ცაგარელი, 2020, გვ. 55);
- კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ სოციალური მუშაკებისთვის სირთულეს წარმოადგენს ჯგუფური სარეაბილიტაციო მომსახურებების განხორციელება. სპეციალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბენეფიციართა ნაწილი მუშაობს, ზოგიერთს აქვს სხვა ტიპის სირთულეები, რის გამოც სრულად არ/ვერ ესწრებიან სარეაბილიტაციო მომსახურებას. პრაქტიკოსი სპეციალისტები და სფეროს ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რესურსის დაზოგვის მიზნით მნიშვნელოვანია ჯგუფური სარეაბილიტაციო მომსახურება, რადგან, დღეისათვის, შემთხვევათა რაოდენობა არასათანადო ფარდობაშია სოციალურ მუშაკთა რიცხვთან. ამავდროულად, პრაქტიკოსი სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამ ტიპის მიდგომა ეფექტურია მომსახურების მიმღებებთა ნაწილთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილ იქნას ჯგუფური მუშაობის განხორციელებისთვის არსებული შემაფერხებელი ფაქტორები და დაისახოს გამოწვევის გადაჭრისთვის საჭირო გზები;

- იუსტიციის სამინისტროს „სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დღესაც არსებობს „ჩავარდნა“ პენიტენციურ და პრობაციის სისტემებს შორის სისტემატური ინფორმაციის მიმოცვლისათვის. პრაქტიკოსები აღნიშნავენ, რომ ჰქონიათ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებთან კომუნიკაცია, მიუღიათ მათგან დოკუმენტაცია ბენეფიციარის შესახებ, თუმცა აღნიშნული, ამ ეტაპისათვის, არ არის ინტენსიური ხასიათის. შესაბამისად, საჭიროებას წარმოადგენს აღნიშნულ სისტემებს შორის ისეთი მექანიზმის/ბაზების არსებობა, რომლის მეშვეობითაც მუდმივად იქნება შესაძლებელი ოფიციალური ინფორმაციის გაცვლა სპეციალისტებს შორის;
- არასაპატიმრო ღონისძიებების განხორციელებისას გაწეული ზედამხედველობა მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის პრევენციას, მსჯავრდებულის საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობას. ზედამხედველობის გაწევას, ერთი მხრივ, აქვს კონტროლის წარმოების, ხოლო მეორე მხრივ-კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის წახალისების ფუნქცია, რათა არ განახორციელოს ხელახალი დანაშაული (არსოშვილი & მიქანაძე, 2015). დღეისათვის, არ არსებობს ერთიანი მექანიზმი/ბაზა, რომლითაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა უწყებას შორის ოფიციალური ინფორმაციის მიმოცვლა ბენეფიციარების შესახებ. მათ შორის, მნიშვნელოვანია, სისტემის დატოვების შემდეგ ყოფილ მომსახურების მიმღებთა ზედამხედველობის ნაწილი. *„...ზედამხედველობა გაგებული უნდა იყოს არა მხოლოდ როგორც კონტროლის, არამედ როგორც მსჯავრდებულისათვის დახმარების აღმოჩენის საშუალება“* (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2020, გვ. 10);
- დღეისათვის, ადგილობრივ პრაქტიკაში, ბენეფიციარის კონტროლის მიზნით არსებობს თითის ანაბეჭდისა და ელექტრონული სამაჯურის მექანიზმები. სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ მომსახურების

მიმღებებისთვის ხშირად მასტიგმატიზირებელია პრობაციის ეროვნულ სააგენტოში თითის ანაბეჭდისთვის მისვლა. მნიშვნელოვანი შესწავლის საგანია, ხომ არ არსებობს სისტემაში კონტროლის მექანიზმის გამრავალფეროვნების/ცვლილების შეტანის საჭიროება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფიქსირდება მაღალი რისკის მაჩვენებელი. კონტროლის სხვა მექანიზმებთან დაკავშირებით, პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ნაწილი ნაკლებად ფლობს ინფორმაციას. საერთაშორისო გამოცდილებით, კონტროლის პროცედურები უმეტესად გამოიყენება პირობების დაცვის ზედამხედველობისთვის, დანაშაულზე დამატებითი ინფორმაციის მიღებისათვის. ეს პროცედურები, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოიცავდეს ელექტრონულ/სატელიტურ თვალთვალს, პოლიციის დაკვირვებას. სპეციალისტების მიერ მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ რისკი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ პატიმრობაში რისკები იყოს გაკონტროლებული, თუმცა სწრაფად გაიზარდოს პატიმრის განთავისუფლებისთანავე (Ministry of Justice , 2009).

- პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბიუროებში მომუშავე შუა მენეჯერული რგოლის წარმომადგენელთა ნაწილისთვის, სავარაუდოა, რომ სირთულეს წარმოადგენდეს სოციალური მუშაკის როლისა და ფუნქციის სიღრმისეულად გააზრება სასჯელაღსრულების სისტემაში. ისინი უმეტესად აქცენტს აკეთებენ სოციალური მუშაკის მიერ ბენეფიციარის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და რელევანტური ინტერვენციების განხორციელებაზე, თუმცა მნიშვნელოვანი შესწავლის საგანია, რამდენად აქვთ სათანადო ცოდნა და კომპეტენცია აღნიშნული სფეროს წარმომადგენლებთან, მათ ფუნქციებთან და როლთან დაკავშირებით. საერთაშორისო გამოცდილებით, ორგანიზაციამ „სოციალური მუშაკები განმარტოების წინააღმდეგ“ (Social Workers Against Solitary Confinement (SWASC)), სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში პრიორიტეტად დააყენა ინსტრუქტორების, სტუდენტების, პრაქტიკოსი

პროფესიონალებისა და ინდივიდუალური პირებისათვის სასწავლო მოდულების შემუშავება. აღნიშნული მოდელები შეეხება ადამიანის უფლებებს, საგანმანათლებლო პოლიტიკასა და აკრედიტაციის საკითხს (Social Workers Against Solitary Confinement, 2018).

- კვლევის განხორციელებისას გამოიკვეთა, რომ საჭიროებას წარმოადგენს სისტემატური მუშაობის განხორციელება ზიანის რისკის შემცირებაზე, განმეორებითი დანაშაულის პრევენციასა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სათანადო ცოდნისა და კომპეტენციის სპეციალისტთა კადრების დამატება და დამატებითი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების განვითარება რისკის მართვისათვის. მხოლოდ შეფასების განხორციელებით არ არის შესაძლებელი რისკის პრევენცია (Hope & Sparks, 2015). რისკის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია, როგორც სარეაბილიტაციო, ასევე სხვა ტიპის მომსახურებები ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სფეროს ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ მხოლოდ არსებული სარეაბილიტაციო მომსახურებებით შეუძლებელია ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება და ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სხვა უწყებებისა და გარე სერვისების პასუხისმგებლობა.
- მაღალი რისკის შემთხვევებში, საერთაშორისო გამოცდილებით, სხვადასხვა ქვეყანაში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი დაცვის უწყებათაშორისი მექანიზმი (MAPP) მექანიზმი, რომელიც რელევანტურ უწყებებს აკისრებს პასუხისმგებლობას შექმნან ერთობლივი ღონისძიებები მაღალი რისკის კატეგორიის კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რისკის შეფასებისა და მართვისათვის. აღნიშნულზე პასუხისმგებელი უწყებები არიან: პოლიცია, პრობაციის სისტემა, პენიტენციური სისტემა (National MAPP Team, 2012). აღნიშნული მექანიზმი მნიშვნელოვანია სექსუალური და ძალადობრივი ხასიათის სამართალდარღვევების სამართავად. MAPP-ს მექანიზმის გამოყენებითა და დახმარებით უწყებებს

შეუძლიათ უკეთ შეასრულონ თავიანთი საწესდებო პასუხისმგებლობა და კოორდინირებული მუშაობით დაიცვან საზოგადოება (Kent Safeguarding Children Partnership , 2018).

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაშვილი, ს. (2019). „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თეორიული საფუძვლები, ტენდენციები და ქართული მოდელი“ მოპოვებული <http://sjss.tsu.ge/wp-content/uploads/2020/07/salome-abulashvili1.pdf>-დან

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. (2020 წლის 13 ივლისი). „დასკვნა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2018-2019 წლებში შესრულების შუალედური ანგარიშების“ თაობაზე“ მოპოვებული <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/257854>-დან

